

მართლმსაჯულება N2(25)^{'10}
კანონი

რედაქტორი
ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეკაური

ნომერზე მუშაობდნენ:
ბეკა ჭედიია
ლეილა კოშკაძე
ნანა ფრიდონაშვილი
მარინა ვასაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

ფოტოზრუნველყოფა:
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
კონსტანტინე კუბლაშვილი, ზაზა მეიშვილი,
ვალერი ტსერტსვაძე, გიორგი სუბუა

Editorial Board:
KONSTANTINE KUBLASHVILI, ZAZA MEISHVILI,
VALERI TSERTSVADZE, GIORGI KHUBUA

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by:
BEKA CHEDIA
LEILA KOSHKADZE
NANA PRIDONASHVILI
MARINA VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVIT KHIZANISHVILI

English version of articles has been provided
by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

დაბეჭდილია შპს „ფორმაში“
Printed in Forma Ltd

შპს (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-388X

N²(25)'10
მართლმსაჯულება
და
კანონი
Justice and Law

საპარტვილოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
LEGAL JOURNAL OF JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



© 2010, საპარტვილოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.



გამოცემა მომზადებულია პროექტის „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme Georgia (UNDP) and Supreme Court of Georgia within the frame of the project "Support to Justice System".

Views expressed in the edition belongs to its authors and don't necessarily reflects the official position of UNDP and Supreme Court Georgia

საჩივრი

| | |
|--|-----------|
| ვალერი ტსერცვაძე: „ერთად შევქმნათ სამართლებრივი აღმშენებლობისკენ მიმართული სანაპართლო“ Valeri Tsertsvadze; “Let’s Create the Court Aspiring to the Legal Revival” | 5 |
| ნუკრი გელაშვილი ძირითად უფლებათა და მოვალეობათა ურთიერთმიმართება NUKRI GELASHVILI Relationship Between the Basic Rights and Responsibilities | 17 |
| ლალი შაიშმელაშვილი პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში Introduction of the President’s Institute in Foreign Countries and in Georgia LALI SHAISHMELASHVILI | 28 |
| მარიამ ჯიქია აღმავის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორისი სისტემა Inter-American System of Human Rights Protection MARIAM JIKIA | 40 |
| შოთა დეისაძე მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის გარდაქმნა და საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების საკითხები Transforming the Semi-Presidential System of Government and the Issues Related to Establishing the Parliamentary Republic SHOTA DEISADZE | 46 |
| დავით გეგერიძე სამართლებრივი სავაერო კანონმდებლობის თანამედროვე რეალიზაცია, პრობლემები და პერსპექტივები Current Day Realities, Problems and Perspectives of the Georgia Aviation Legislation DAVID GEPERIDZE | 57 |
| რობიზონ ხურცილაძე ბაზარტივული წარმოების ზოგადი დანახიათება General Characteristics of the Summary Proceedings ROBIZON KHURTSILAVA | 64 |
| ფრიდონ ბასილაია დაუსრულებელი გადაწყვეტილების ცნება The Concept of Default Judgment PRIDON BASILAIYA | 83 |
| გიორგი ბარაბაძე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის თავისებურებანი Peculiarities of Individualization of the Accomplices’ Liabilities GIORGI BARABADZE | 92 |

ელენე გვენცაძე

**დანაშაულები თანამონაწილეობა სავაჭრო სისტემის საერთაშორისო
ანგლოსაქსონური ქვეყნების მიხედვით**

Accomplicity in the International Criminal Law – by Anglo-Saxon countries

ELENE GVENTSADZE

100

გურამ როგავა

კრიმინოლოგია და ორგანიზებული დანაშაულის მეცნიერული შესწავლის ძირითადი ასპექტები

Criminology and Main Aspects of Scientific Study of the Organized Crime

GURAM ROGAVA

116

ნინო ოსაძე

სუიციდური ტერორიზმი

Terrorism – Suicidal Terrorism

NINO OSADZE

123

გიორგი ბარამიძე

თანამონაწილეობის გუნების აქტუალური კავშირების

130

„ერთად შევქმნათ სამართლებრივი ადმინისტრაციისკენ მიმართული სასამართლო“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივანი ვალერი ცერცვაძე მიიჩნევს, რომ წლების
წინათ დაწყებული სასამართლო რეფორმის დიდი
ნაწილი დასრულდა და საკმაოდ წარმატებითაც.
„თუმცა, ჩვენი საქმიანობის ინდიკატორი
საზოგადოებასა და მოსახლეობის შეფასება, თუ
რამდენად კმაყოფილები არიან ისინი
სასამართლო სისტემის მუშაობით“, – აცხადებს
ვალერი ცერცვაძე. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს
სასამართლო სისტემის მუშაობასთან
დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

უკვე საუბრობენ სასამართლო რეფორმის დიდი
ნაწილის დასრულების შესახებ, თქვენ როგორ
შეაფასებდით შედეგს და რეფორმის მიმდინარე
პროცესს?

– რეფორმა საქართველოს სასამართლო სისტემაში 2004-
2005 წლებიდან დაიწყო და ახლა უკვე შეგვიძლია გარკვეული
შედეგების ანალიზი გავაკეთოთ – რა წარმატებებს
მივალწიეთ რეფორმის განხორციელებისას და შევავსოთ
მისი მიმდინარეობა. ამ ეტაპზე თავისუფლად შეიძლება
თქმა, რომ რეფორმის დიდი ნაწილი დასრულებულია და
ნათლად ჩანს, რომ სასამართლო სისტემა ის აღარ არის,
რაც წლების წინათ იყო. ამის დასტურად, მოკლე ექსკურსს
გავაკეთებ.

სასამართლოში ისევე, როგორც სხვა უწყებებში მომძღვრებული იყო კორუფცია, მოსამართლეებს ჰქონდათ დაბალი ანაზღაურება და შეუფერებელი სამუშაო პირობები, რაც არ შეესაბამებოდა დემოკრატიული ქვეყნების სასამართლო სისტემას, ხოლო სასამართლო პროცედურები გაუმართლებლად იყო გართულებული. აღრეული იყო ინსტანციურობა და უზენაესი სასამართლოც კი, ზოგ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის საქმეებს განიხილავდა. ამასთან, სასამართლო სისტემა მოსამართლეთა აშკარა სიმცირეს განიცდიდა, რადგან რეფორმის დაწყების პირველ ეტაპზევე ნაწილი საკუთარი ინიციატივით წავიდა, ნაწილი დისციპლინური წესით დაისაჯა – გათავისუფლდა თანამდებობიდან. გარდა ამისა, სასამართლო დარბაზებში არ იყო წესრიგი და შესაბამისად, ვერ ხორციელდებოდა ეფექტიანი მართლმსაჯულება. მიზეზი იყო სპეციალური სამსახურის არარსებობა, რომელიც წესრიგს დაამყარებდა და მართლმსაჯულების ნორმალურად განხორციელებას შეუწყობდა ხელს.

იმდროინდელი ხარვეზების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ სისტემა ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა – სასამართლო დარბაზებში სიტუაცია მონესრიგდა, რაც მოსამართლეს კონცენტრირების და სასამართლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის საშუალებას აძლევს. სამართალწარმოება გამარტივებულია, მოსამართლეებს ანაზღაურება საგრძნობლად გაეზარდათ, სასამართლო დარბაზები თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, შემოვიღეთ მანდატურის ინსტიტუტი და წესრიგის დაცვაც უმაღლეს დონეზე ხორციელდება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არაერთი

გამოცდა ჩავატარეთ და 100-ზე მეტი კვალიფიციური, პროფესიონალი მოსამართლე დავნიშნეთ, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ. ეს მცირე ჩამონათვალია, რაც ამ წლების მანძილზე სასამართლო რეფორმის ფარგლებში განვახორციელეთ. ჩვენი საქმიანობის ინდიკატორი საზოგადოებაა, მოსახლეობის შეფასებაა, თუ რამდენად კმაყოფილები არიან ისინი სასამართლო სისტემის მუშაობით.

აღრე, რეფორმის საწყის ეტაპზე, მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, საზოგადოების ნაწილი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა და სკეპტიკურად იყო განწყობილი, თუმცა, ჩვენზე ამ ფაქტორმა გავლენა არ მოახდინა. პირიქით, მეტი ძალისხმევით განვაგრძეთ მუშაობა, რომ დემოკრატიული ქვეყნების შესაბამისი სასამართლო მიგველო.

თუ ფლობთ ინფორმაციას, ამჟამად, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ქართული მართლმსაჯულებისადმი?

– უკანასკნელი კვლევები გვაჩვენებს, რომ სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობა საგრძნობლად გაიზარდა და დღითიდღე იზრდება. გამოკითხულთა 60-70 პროცენტი სასამართლოსადმი დადებითად არის განწყობილი. ეს ძალიან კარგი შედეგია, რადგან რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად მოსახლეობას გაუჩნდა ნდობა და განცდა, რომ სასამართლოში სამართლის პოვნა შეიძლება. საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით გაიზარდა ნდობის ხარისხი მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც სასამართლოსთან გარკვეული შეხება ჰქონდა. მათ კი, ვისაც სასამართლოსთან არა აქვს ურთიერთობა, მართლმსაჯულებაზე

პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადებების მიხედვით ექმნებათ უარყოფითი წარმოდგენა. არადა, ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების მაჩვენებელი ძალზე დაბალია, იმის დასტურია, რომ მხარეები სასამართლოს გადაწყვეტილებას ეთანხმებიან. რა თქმა უნდა, ორივე მხარის კმაყოფილებაზე საუბარი ძნელია, მაგრამ, როცა ერთი მხარე აღარ ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ გამოიტანა ობიექტური გადაწყვეტილება – შესაძლოა, მხარისათვის არასასურველი, მაგრამ კანონიერი. თუმცა, სასამართლო სისტემაში კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი, გვინდა, მივალწიოთ შედეგს, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სასამართლოსადმი სრული ნდობით იქნება განწყობილი. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ სასამართლო დაიცავს მის დარღვეულ უფლებებს და თუ მისი პოზიციები მყარი იქნება, გამარჯვების შანსიც ექნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რა საინტერესო სიახლეები გაქვთ სასამართლოში?

– სამწუხარო რეალობაა, რომ საქმეთა დიდი რაოდენობის გამო, მოსამართლეებს უჭირთ საქმეების დასრულება. თუ ადრე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს წარმოებაში 200-250 საქმე ჰქონდა, ეს ციფრი ახლა 40-50-მდეა ჩამოსული. თუმცა, საარბიტრაჟო დავების სასამართლოში შემოსვლამ გარკვეული სირთულის წინაშე დააყენა სამოქალაქო საქმეთა პალატა. ამდენად, ამ კუთხით ერთ-ერთი პრობლემა სწორედ საქმეთა განხილვის ვადების დაჩქარებაა.



დღეს, როცა სასამართლო სისტემა გაიმართა და მუშაობის საუკეთესო პირობებია, აუცილებელია მოსამართლეს ჰქონდეს ობიექტურობისა და პროფესიონალიზმის განსაკუთრებული ნიშა, რაც ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია – სისტემაში გამორჩეულად პროფესიონალი მოსამართლეები გვყავდეს. მართალია, ასეთი მოსამართლეები გვყავს, მაგრამ ტრენინგებითა და სემინარებით აქტიურად ვმუშაობთ მათ ზემდგომ პროფესიულ განვითარებაზე.

შემოვიღეთ სასამართლო გადაწყვეტილების ახალი ფორმები, რომელიც ახლა ადმინისტრაციულ საქმეებზე ინერგება. თუ ადრე დიდი დრო სჭირდებოდა გადაწყვეტილების გაცნობას, რადგან მხარეებს უძნელდებოდათ მათი გაგება – ახალი ფორმების მეშვეობით, მოქალაქეების უმეტესობა, ვისაც იურიდიული განათლება არა აქვს, ძალზე ადვილად იგებს მოსამართლემ რა გადაწყვეტილება გამოიტა-

ნა. მსგავსი ფორმები სისხლის სამართალშიც შემოვა.

დავწერეთ სარჩელის ახალი ფორმები, რომელმაც დიდი წარმატებით იმუშავა. მნიშვნელოვანი სიახლეები გვაქვს სასამართლოს ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისითაც. ვგულისხმობ, ვიდუკონფერენციის სისტემაზე გადასვლას, რაც სააპელაციო სასამართლოს საშუალებას მისცემს დაუკავშირდეს მის იურისდიქციაში შემავალ სასამართლოებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ პროცესზე აღარ დაგვჭირდება რეგიონებიდან მოწმეთა ჩამოყვანა, რაც ხშირად პროცესის გაჭიანურებას იწვევს. ამ სისტემის მეშვეობით, მაგალითად, თუ მოწმე იქნება ხაშურში, იგი დაიკითხება ხაშურის სასამართლოში და ა.შ.

ვგვემავთ, სასამართლოში სპეციალური საპრეზენტაციო მოწყობილობების შემოღებას, რაც საშუალებას მისცემს მხარეებს სრულყოფილად წარმოაჩინონ თავიანთი პოზიციები სასამართლოს წინაშე.

რამდენიმე ხნის წინათ დავწერეთ მოქალაქეებთან კომუნიკაციის ახალი სტანდარტები. მოქალაქეზე, რომელიც სასამართლოში პრობლემის გადასაჭრელად მოდის, სასამართლო მოხელის პირადი განწყობა არ უნდა გავრცელდეს, მას უნდა მოექცნენ თავაზიანად, კორექტულად და რა თქმა უნდა, სამართლიანად. ჩვენი მიზანია, სასამართლოში ბიუროკრატიული პრობლემები არ შეექმნათ მოქალაქეებს. აქვე აღვნიშნავ, რომ მსგავსი სისტემა სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილია და ვიმედოვნებ, რომ ანალოგიური სტანდარტები ფართო გავრცელებას პოვებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

მალე ამოქმედდება მოქალაქეთა სერვისის ახალი ფორმა და სასამართლოში მოსული მოქალაქე თავს კიდევ უფრო კომფორტულად იგრძნობს. მოქალაქეს, რომელსაც არ აქვს დამცველის აყვანის სახსრები, სასამართლო სთავაზობს სერვისს – ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება სპეციალურ ოთახში, სადაც კომპიუტერები დაიდგმება, მოიძიოს კანონი, მიიღოს სამართლებრივი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, უკეთ გაერკვეს სასამართლოს პროცედურებში და ა.შ.

სიახლეები მართლაც ბევრია. ეს უწყვეტი პროცესია – სიახლეების შემოღებას კვლავაც ვაგრძელებთ, რადგან გვინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთი თვალსაჩინო იყოს.

ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის ამოქმედებით სასამართლო სისტემაში არსებული ქაოსი გარკვეულწილად დალაგდა, ეფექტიანი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. თუმცა, მას ჰყავს მოწინააღმდეგეები, საინტერესოა, თქვენი აზრი, სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაში ამ მეთოდმა გაამართლა?

– ერთგვაროვანმა პრაქტიკამ ნამდვილად მოანესრიგა არსებული ქაოსი და სწორი განვითარებისაკენ წაიყვანა სასამართლო სისტემა. მოქალაქეების თვალსაზრისით, მიზანშეუწონელია ერთ საკითხზე ერთმა კოლეგიამ მიიღოს ერთი გადაწყვეტილება, მეორემ კი, სხვა, ვინაიდან პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელი ხდება. მოქალაქე დაბნეულია და არ იცის რას უნდა ელოდოს სასამართლოსგან. არიან ოპონენტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთგვაროვანი

პრაქტიკის შემოღებას და აცხადებენ, რომ მოსამართლე არ უნდა იყოს ჩარჩოში მოქცეული, მოსამართლეს დამოუკიდებლობა სჭირდება. ვეთანხმები მათ და მეტიც, ჩვენ ვმუშაობთ, რომ მოსამართლეები იყვნენ სრულად დამოუკიდებლები. თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს თვითნებობას, მოსამართლემ გადაწყვეტილება მხოლოდ მისი პირადი შეხედულებიდან გამომდინარე არ უნდა გამოიტანოს, აუცილებელია კანონის მოთხოვნებისა და არსებული ერთგვაროვანი პრაქტიკის გათვალისწინება.

ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებამ მართლმსაჯულების შედეგი პროგნოზირებადი გახადა. სისტემა ძალზე სწორად მოქმედებს და ეფექტიანად ვითარდება. უპირველესად, ეს ადვოკატებისათვის არის ხელსაყრელი, რადგან მათ უკვე წინასწარ იციან, რა შედეგი დადგება ამა თუ იმ დავისას. თუ ადვოკატი კეთილსინდისიერია, მან წინასწარ იცის რომელ საქმეს მოიგებს და რომელს ვერა და, შესაბამისად, კლიენტს არ მოატყუებს.

რეფორმის განხორციელების პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ამჟამად რა მიმართულებებია პრიორიტეტული?

– იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეფორმების კოორდინატორია, რომლის დიდი ნაწილი სწორედ მისი ეგიდით ხორციელდება. ზემოთ არაერთი რეფორმატორული საკითხი ვახსენე, რომელიც სწორედ საბჭოს ეგიდით განხორციელდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დიდი დამსახურებაა, რომ მის მიერ ორგანიზებული კონკურსების საფუძველზე სისტემაში ბევრი ახალი და კვალიფიციური მოსამართლე მოვიდა. ჩვენს მიერ შერჩეული წარმატებული

კანდიდატები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ირიცხებიან, სადაც საბოლოოდ ხდება მათი მოსამართლედ ჩამოყალიბება-დახვეწა.

მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე ახლაც ხშირად მოისმენთ კრიტიკას, არსებობს მოსაზრება, რომ ისინი პროფესიონალიზმის დეფიციტს განიცდიან.

– ეს გადაჭარბებული შეფასებაა. თუმცა, მოსამართლეთა შემდგომი განვითარება აუცილებელია და როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე კვლავაც ვზრუნავთ. თუმცა, არის ერთი უმთავრესი მომენტი – მოსამართლის თვითგანვითარების სურვილი. თუ მოსამართლე იფიქრებს, რომ მისი შემდგომი განვითარება აღარაა საჭირო და მან უკვე ყველაფერი იცის, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ყველა მცდელობა ფუჭი აღმოჩნდება და დაკარგულად ჩაითვლება ის თანხებიც, რაც მოსამართლეთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე იხარჯება. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მოსამართლეებს, რომლებიც ინიციატივას იჩენენ, აქვთ ახალი აზრი, იდეა და ფიქრობენ როგორ გაუმჯობესდეს სისტემა. დღევანდელ სიტუაციაში, როცა ახალი გამონგვევები და ახალი მიდგომებია, უპირველესად, მას მოსამართლეებმა უნდა აუწყონ ფეხი.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მოსამართლეთა შეფასების სისტემა არსებობს, რაც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხორციელდება და განაპირობებს მათ შემდგომ წინსვლას. ეს საკმაოდ რთული მექანიზმია, მაგრამ შესაძლებელია მსგავსი სისტემის ჩვენთან დანერგვა.

გადანყვეტილების ახალი ფორმების შემოღება ვახსენე, ამან მოსამართლეთა პროფესიონალიზმი კიდევ უნდა დახვეწოს, რადგანაც ამ ფორმების მეშვეობით სასამართლო გადანყვეტილება უფრო დასაბუთებული და მოქალაქეებისათვის ადვილად აღსაქმელი იქნება. ფორმის მეშვეობით ნათლად გამოჩნდება მოსამართლემ როგორ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და რა სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. მხარის მიერ დასმულ ყველა საკითხზე მოსამართლემ არგუმენტირებული და კვალიფიციური მოსაზრება უნდა დააფიქსიროს, რაც საბოლოოდ, გახლავთ გარანტია იმისა, რომ სასამართლოს გადანყვეტილება იყოს დასაბუთებული და სამართლიანი.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მსმენელთა უკვე ორი ნაკადი გამოუშვა, როგორ ფიქრობთ, სკოლადამთავრებული მოსამართლეები რით განსხვავდებიან წინა წლებში დანიშნული კადრებისაგან და რამდენად მომზადებულები არიან სამოსამართლო საქმიანობისათვის?

– თავისთავად ცხადია, რომ სკოლადამთავრებულმა მოსამართლეებმა ბევრად უფრო წარმატებულად მოიხრეს მოსამართლის მანტია. თუმცა, ეს ნამდვილად არ ნიშნავს, რომ მოსამართლეები, რომელთაც სკოლა არ დაუმთავრებიათ პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის დეფიციტს განიცდიან. განსხვავება ის არის, რომ ვინც სკოლა დაამთავრა მეტად მოემზადნენ მოსამართლეობისათვის. სასამართლოში მისვლისას მათ აკლიმატიზაციის პერიოდიც კი, უკვე გავლილი ჰქონდათ. სკოლაში სწავლებისას მონაწილეობდნენ იმიტირებულ პროცესებში, შექმნილი

ჰქონდათ მოსამართლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. თუ ადრე მოსამართლეს პრაქტიკულად სასამართლოში უნდა შეეძინა პროფესიისათვის საჭირო თვისებები, უნარ-ჩვევები და ა.შ. სკოლადამთავრებულები ამ ყველაფერს სკოლაში სწავლობდნენ და ისე მოვიდნენ სასამართლოში – უკვე ჩამოყალიბებულ მოსამართლეებად. ამიტომაც, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც მომავალ მოსამართლეებს ამზადებს, ერთ-ერთი წარმატებული პროექტია.

მალე ძალაში შევა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და მისი შემადგენელი ნაწილი – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. საინტერესოა, თქვენი აზრი ამ მნიშვნელოვანი ნოვაციის შესახებ.

– სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღება მართლაც რევოლუციური მოვლენაა. ერთი მხრივ, ამარტივებს სამართალწარმოებას და მეორე მხრივ, უფრო მეტ უფლებას ანიჭებს, განსაკუთრებით, დაცვის მხარეს. უფრო მეტი შანსია, რომ ობიექტური მართლმსაჯულება განხორციელდეს. დემოკრატიისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებით, რომელიც პირველ ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოდგომაზე ამოქმედდება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის საქმეებზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გარანტი იქნება ობიექტური მართლმსაჯულებისა, სწორედ ხალხი განსჯის კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავეა თუ არა პირი. საზოგადოების ჩართვა მართლმსაჯულებაში ხელს შეუწყობს სასამართლოს იმიჯის კიდევ

უფრო გაზრდას და საზოგადოებაც უფრო მეტად დაცული იქნება. ვფიქრობ, რომ ეს ინსტიტუტი გაამართლებს.

ახლახან გაიმართა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის საერთო კრება, სადაც თქვენც მონაწილეობდით. როგორ შეაფასებდით ასოციაციის მნიშვნელობას მოსამართლეთა საზოგადოებრივ საქმიანობაში?

– მოსამართლეთა ასოციაცია არის ის ორგანო, რომელიც ყველა მოსამართლის ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ასოციაცია მისთვის არის შექმნილი, სადაც იგი ცენტრალური ფიგურაა. ასოციაციის საქმიანობა მოსამართლეთა პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული. კარგია, რომ არსებობს ორგანო, რომელიც ფიქრობს და ზრუნავს სასამართლო სისტემის შემდგომ განვითარებაზე, მოსამართლეთა პირობების გაუმჯობესებაზე.

დაბოლოს, რამდენად მნიშვნელოვანია გამართული სასამართლო სისტემა ზოგადად, ქვეყნის განვითარებისათვის?

– უპირველესად აღვნიშნავ, რომ მართლაც, მზარდი და განვითარებადი სასამართლო სისტემა გვაქვს, რაც მხოლოდ რეფორმატორების მიღწევა არ არის. სასამართლოს პრესტიჟის ამაღლება უპირველესად, მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების დამსახურებაა. ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მოსამართლეთა კვალიფიკაცია და ყველა მოსამართლეს

ჰქონდეს განცდა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივი აღმშენებლობისკენ არის მიმართული – სწორედ ხელისუფლების მესამე შტო – სასამართლო მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის წარმატებულ განვითარებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას.

მიმაჩნია, რომ ყველა მოსამართლე მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული რეფორმაში, ამიტომ მინდა ვთხოვო მათ, რომ უფრო მეტი წინადადება, იდეა და მოსაზრება შემოგვთავაზონ და ერთობლივად შევძლოთ სისტემის საბოლოო გაჯანსაღება და განვითარება.

“Let’s Create the Court Aspiring to the Legal Revival”

VALERI TSERTSVADZE, THE CHAIRMAN OF TBILISI APPEAL COURT AND THE SECRETARY OF HIGH COUNCIL OF JUSTICE CONSIDERS THAT A MAJOR PART OF THE COURT REFORM THAT STARTED YEARS AGO HAS COMPLETED QUITE SUCCESSFULLY. “THOUGH, THE MEASUREMENT CRITERION OF OUR PERFORMANCE IS THE COMMUNITY AND THE ASSESSMENT OF THE POPULATION AS TO WHAT EXTENT THEY ARE SATISFIED WITH THE WORK OF THE COURT SYSTEM,” – SAYS VALERI TSERTSVADZE. WE OFFER THE READER AN INTERVIEW WITH HIM COVERING A RANGE OF ISSUES.

As they say a major part of the court reform has been already completed. What would be your evaluation of the result and the ongoing reform process?

– The court reform in Georgia started in 2004-2005 and at this point of time we can analyze certain results identifying the successes we have achieved in course of implementing the reform and evaluate its progress. At this stage it can be said without any hesitation that a major part of the reform has been completed and it is apparent the court system is no longer what it used to be years ago. To prove this I will make a short review of it.

In the courts, like in other institutions, corruption prevailed. The judges had low salaries and inappropriate work conditions which were not compatible with the court system in democratic countries with the court procedures being unjustifiably complicated. The jurisdiction issue was

all mixed up and even the Supreme Court in some cases would hear the cases falling with the jurisdiction of the first instance court. Besides, there was a sheer lack of judges in the court system since a certain pool of judges resigned at their initiative at the very first stage of the reform while against some of them were punished by disciplinary measures were dismissed. Further, there was no order in the courtrooms and consequently, justice could not be administered effectively. The underlying reason was absence of a special office that would ensure that the order is maintained and which would facilitate appropriate administration of justice.

It will take us much time to enumerate the flaws from that period. I would like to simply point out that the system was actually paralyzed. Not all this is the past. The situation in the court rooms has been adjusted which allows the judge to be focused and perfectly lead the proceeding. The legal procedure has been simplified and the salaries of the judges have been increased significantly. The courtrooms are up to the international standards, the institute of bailiff has been introduced and the order is maintained at the highest level. We conducted various exams at High Council of Justice and appointed more than 100 qualified and professional judges who work successfully. This is a short list of the activities that we have carried out within the framework of the court reform in these years. The measurement criterion of our performance is the community and the assessment of the population as to what extent they are satisfied with the work of the court system.

At the earlier stage of the reform, notwithstanding our efforts, a part of the community expressed their dissatisfaction and was skeptical. Though this factor did not affect us, and quite the opposite, we continued to work putting in more efforts in order to have in place the court in line with the courts in democratic countries.

Do you have information what is attitude of the community to the Georgian justice now?

– The recent surveys show that the trust of the population in the court has significantly increased and is increasing daily. 60-70 of the persons surveyed are positively disposed to the courts. This is a very good result since the activities carried out within the framework of the reform built the trust and instilled the feeling in the population that justice can be served in the courts. It is remarkable that the degree of trust especially increased in the part of population who has some experience with the court. A negative opinion of community members who have never related with the court is formed by the critical statements the politicians make about administration of justice. Though, the fact that the number of first instance judgments appealed in an upper-instance court, is low proves, that the parties agree with the court judgments. Certainly, it is difficult to speak about the satisfaction of both of the parties, but when a party does not appeal the judgment; it means that the court delivered an objective judgment, maybe not desirable for the party, but a lawful judgment. Though much is needed to be accomplished in the court system; we would like to achieve the result when a majority of the population has a full trust in the court. The community should have a trust that the court will protect their violated rights and if their positions are strong, they will stand a chance to win a case.

Tbilisi Appeal Court is one of the most significant levels in administration of justice. What interesting novelties are there in the court?

– It is a sad reality that due to a large number of cases it is difficult for the judges to complete them. If a judge at an appeal court used to have 200-250 to hear,

this figure has decreased to 40-50 cases. Though, the inflow of arbitrage cases in the courts posed some difficulties for the Chamber of Civil Cases. Thus, in this respect one of the problems is to reduce the timeframes for hearing cases.

At this point of time when the court system has started to function smoothly with the best conditions being created for work, it is necessary that the judge occupy a special niche of objectiveness and professionalism, which is one of our major goals, that is i.e. to have outstanding professional judges. Though we have such judges, we try our best to take care of their further professional development through conducting trainings and workshops.

We have introduced new forms of court judgments. They are being introduced now in administrative cases. In the past it took much time of the parties to get familiar with the judgment since it was difficult for them to understand it. By using new forms a majority of citizens who do not have a legal background quite easily comprehends the judgment delivered by the judge. Similar forms are also to be introduced in criminal cases.

The forms of claims we introduced have proved to be very successful. We have significant novelties in terms of technical equipment; I mean that we have moved to the video conference system which allows the appeal court to contact the courts under its jurisdiction. Most importantly, we will not have any longer to bring witnesses from the regions to attend a court proceeding which oftentimes delayed the proceeding. By using this system, for instance, a witness located in Khashuri will be questioned by the court in Khashuri, etc. We plan to introduce special presentation facilitates in the court so that the parties be able to comprehensively present their positions before the court.

Some time ago we introduced new standards of communication with the citizens. Citizens, who apply

to the court to get their problem solved, should not be affected by the mood of the servant in the court. They should be treated politely, courteously, and of course, fairly. Our goal is that the citizens do not encounter bureaucratic problem in the courts. I would also like to point out that this system is a novelty for other administrative bodies and I hope that similar standards will be widely replicated in various state bodies.

Soon a new form of citizens' service will become operational so that citizens who apply the court feel themselves more comfortable. Those citizens who cannot afford to hire a counsel the court will offer the following service: in a special room equipped with a computer any citizen will be able to obtain a law, legal information on different issues and become more aware of the court procedures, etc.

Indeed, there are many novelties. It is a continuous process and we will continue to introduce more of them as we want that Tbilisi Appeal Court be one of the exemplary courts.

Introduction of uniform practice which settled the chaos existing in the court system to a certain extent is an important component in effective administration of justice. Though, it has some opponents. It is interesting to know your opinion whether this method has proved to be successful in the appeal court.

– The uniform practice certainly solved the current chaos and put the court system on a right track. For the sake of citizens it is not appropriate that in one case a collegiate redelivers a decision which differs from the decision delivered by another collegiate. This makes it difficult to make a prediction. The citizen gets confused and does not know what to expect from

the court. There are opponents who oppose introduction of the uniform practice and arguing that limitations shall not be imposed against the judges and they require freedom. I agree with them and even more, we work that the judges be completely independent. Though it should not mean voluntarisms; the judge shall not make a judgment only based on his personal viewpoint. It is a must that the law provisions and the existing uniform practice be followed.

By introducing the uniform practice the result of justice become predictable. The system works very well and develops efficiently. Firstly, it is beneficial for the defense counsels since they know in advance the result in case of a certain claim. If the defense counsel is honest he/she knows in advance which case he/she is going and accordingly, will not deceive a client.

Currently what are the priority directions for the High Council of Justice of Georgia in course of implementing the reform?

– High Council of Justice is the coordinator of the reforms and a major part of them are implemented under its aegis. I have mentioned a lot of reformist issues. They have been carried out under the aegis of the Council. It is to be credited to the High Council of Justice that there are many new and qualified judges in the system. They were recruited based on the competitions organized by the Council. The successful candidates we select are enrolled in the High School of Justice where their training as judges is finalized.

Now we frequently hear criticism about the qualification of judges. There is an opinion that they lack professionalism.

– This is an exaggeration. Though further development is necessary and as I mentioned it above, we

continue taking care of increasing their qualification and professionalism. If a judge thinks that there is no need for his/her further development and he/she knows everything, in this case our efforts will be futile and also the funds spent on raising professionalism and qualification of judges will be wasted. We prefer the judges who are initiative, have new ideas and think about the improvement about the system. Given the new challenges and new approaches it is the judges who are supposed to keep up with them.

An evaluation system of judges, which is based on many criteria, is in place in many foreign countries and ensures further development of judges. This is a very complex mechanism but it is feasible to introduce a similar system in our country as well.

I have underlined the introduction of new forms of judgment. This should facilitate further development of professionalism of judges since the judgments delivered by the court will be more justified and easily understandable for citizens because of the forms used. The forms will clearly show as to how a judge established the facts of the case and what legal valuation was given to them. The judge should provide reasoned and qualified opinion for every question asked by a party which is a guarantee that subsequently the court judgment will be reasoned and fair.

High School of Justice has trained already two groups of trainees. What do you think what makes the judges who completed the HSC different from the cadre appointed in the prior years and how well are they prepared to carry out the court activities?

– Certainly, the graduates from the HSC have undertaken the role of judge much more successfully. Though, it definitely does not mean that those judges who have not taken the training at HSC lack profes-

sionalism and qualification. The difference is that those who graduated from HSC were more prepared to act in the capacity of judge as they have participated in mock court trials while at HSC and acquired necessary skills for judges. If previously the judges actually acquired the necessary skills, etc in the courts, the trainees of HSC develop these skills in the HSC and only after start working as already established judges. Therefore, High School of Justice which trains future judges is one of the successful projects.

A new Criminal Procedure Code and its integral part, the institute of jury will come into force soon. It is interesting to know your opinion about this significant novelty.

– Adoption of a new Criminal Procedure Code is indeed a revolutionary event. On the one hand, it simplifies the court proceeding, and on other hand, it gives more authority, especially to the defense counsel. There is more chance that objective justice will be administered. Still another step was made forward towards democracy by introducing the jury court. At the first stage it will be introduced in Tbilisi City Court and be applied in intentional murder cases committed under aggravated circumstances.

The jury court will be a guaranty for objective justice and it will be the people who will judge a person is guilty or not in a specific case. Engaging the community in administration of justice will facilitate boosting the image of the court to a greater extent and the community will also be more protected. I believe that this institute will be successful.

The Congress of Georgia Association of Judges has been recently conducted in which you participated. How would you

evaluate the meaning of the Association in public activities of lawyers?

– Georgia Association of Judges is an institution that should express the interests of all judges. The judges shall have a feeling that the Association is established for them and they have a central role in it. The activities of the Association are focused on professional development of judges and raising their qualification. It is pleasant that there is an entity in place which thinks and takes care of further development of the court system, and improvement of conditions for judges.

Finally, how important is it to have a smoothly functioning court system for the development of the country, generally?

– Firstly, I would like to mention that we have a growing and developing court system which is not only the achievement of the reformers. Primarily, increasing the prestige of the court is to be credited to the judges, and court servants. I wish that the qualification of judges be further improved and all the judges have a feeling that judgments they delivered aspire to the legal revival. It is the third branch of the Government, i.e. the court, which significantly facilitates successful development of the country and creation of democratic institutions.

I consider that all the judges shall be maximally involved in the reform. Therefore, I would like to ask them to offer us more proposals, ideas and opinions so that we jointly achieve the final recovery and development of the system.

ძირითად უფლებათა და მოვალეობათა ურთიერთმიმართება

ნუპრი გელაშვილი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იქ, სადაც არსებობს უფლება, ყოველთვის არის მოვალეობა. ასევე, პირიქითაც – სადაც მოვალეობაა, იქ, დამკვიდრებული აზრით, უფლებაც მოიაზრება. უფლებები და მოვალეობები წყვილ კატეგორიებად არიან აღქმული და სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებად გვევლინებიან. ხშირად ეს ორი ინსტიტუტი მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ატრიბუტად არის დასახელებული. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს უფლებისა და მოვალეობის ურთიერთმიმართების განხილვა და გარკვევა, თუ რა საერთო მახასიათებლები და რა განმასხვავებელი ნიშნები აქვს ამ ორ სამართლებრივ ფენომენს.

უფლების წინსახელმწიფოებრივი ბუნების შესახებ

უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთმიმართების კვლევისას, მიზანშეწონილია საკითხის განხილვა დავინყოთ მათ ბუნებით ხასიათზე მსჯელობით. ამ მხრივ თითქმის ჩამოყალიბებული, ერთიანი პოზიცია არსებობს ძირითად უფლებებთან მიმართებაში. მათი ბუნებითი ხასიათი ეჭვგარეშეა აღიარებული, რასაც ვერ ვიტყვით ძირითად მოვალეობებზე.

ასე მაგალითად, გ. ხუბუა, ეყრდნობა რა ჰ. ჰოფმანს, ამბობს, რომ ადამიანის უფლებები არაა წარმოებული სახელმწიფოსაგან. მოვალეობის სუბიექტი კი, არ შეიძლება იყოს ადამიანი, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სუბიექტი. ძირითადი უფლებისაგან განსხვავებით, მოვალეობა არ შეიძლება იყოს წინსახელმწიფოებრივი. მოვალეობას არ შეიძლება

ლება ჰქონდეს ძირითადი უფლებების ანალოგიური რანგი. მოვალეობა არის მეორადი, განპირობებული, წარმოებული და არა მაკონსტიტუირებელი ცნება¹.

მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა ნიშნავს, რომ ისინი ადამიანს დაბადებიდან ეკუთვნის და ბუნებითი ხასიათისაა. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ არეგულიროს მათი განხორციელება და დაადგინოს შესაბამისი გარანტიები².

ავითარებს რა იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს, ფ. საყვარელიძე აცხადებს, რომ ადამიანის უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, მათი წყარო არ არის სახელმწიფო, კანონმდებლობა ან საზოგადოება. უფლებები თანდაყოლილია. ისინი ჩვენ სწორედ იმიტომ გვეკუთვნის, რომ ადამიანებად დავიბადეთ. აქედან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩანერილია თუ არა ეს უფლებები კონსტიტუციაში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში, ვინაიდან ჩვენი კუთვნილი უფლებები და თავისუფლებები ყველა კონსტიტუციასა და კანონმდებლობაზე მალა დგას³.

თუმცა, ავტორი იქვე წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც წერს, რომ „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება. არაერთი მცდელობა იყო ადამიანის უფლებათა მეთოდოლოგია და ტერმინოლოგია ადამიანთა შორის ურთიერთობებშიც გამოეყენებინათ, თუმცა ამგვარმა მცდელობებმა არ გაამართლა“⁴. საინტერესოა, თუ უფლებები მხოლოდ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს მიეკუთვნება, როგორ იარსებებდნენ უფლებები სახელმწიფოს წარმოშობამდე?

უფლებების წინარესახელმწიფოებრივი ბუნება, რომ სადავო საკითხია სხვა გარემოებებიც მიუთითებენ. მაგრამ უმჯობესი იქნება მივყვეთ საკვლევი პრობლემის ლოგიკურ ჯაჭვს და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს გადავხედოთ.

იდეა ადამიანის უფლებათა შესახებ ძველ საბერძნეთში (ათენი), ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV სს ჩამოყალიბდა, ხოლო შემდგომი განვითარება მან ძველ რომში ჰპოვა, რასაც ხელი შეუწყო მოქალაქეობის პრინციპის შემოღებამ. იმ დროს, მონათმფლობელურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა განაწილება არათანასწორად ხდებოდა და მონისთვის ყოველგვარი უფლების ჩამორთმევა საყოველთაოდ იყო აღიარებული⁵.

ადამიანის ძირითად უფლებათა კონცეფციის საფუძველი – ბუნებითი სამართლის სკოლის იდეები ადამიანის განუყოფელი უფლებების შესახებ საფრანგეთის რევოლუციის დროს განვითარდა. ეს იდეები ჰუგო გროციუსის, მონტესკიეს, ლოკის, რუსოს და სხვა განმანათლებელთა შეხედულებებს ემყარებოდა. საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი, თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოების წევრებისადმი განსხვავებული მიდგომა მხოლოდ საყოველთაო სარგებლობას შეიძლება ეფუძნებოდეს.“⁶ ასევე, გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლის შესაბამისად, „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“⁷.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ იდეების განვითარება სოციალურ ფენებს შორის ჭიდილის მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპზე ხდებოდა, როდესაც ადამიანის უფლებათა ბუნებითი ხასიათის მტკიცებას პროგრესული და, რაც მთავარია, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შესაბამისმა იდეოლოგიურმა, დოქტრინალურმა დასაბუთებამ – მოძღვრებამ

ადამიანის ბუნებით თანდაყოლილი უფლებების შესახებ. მიჩნეული იყო, რომ უფლებები და თავისუფლებები არაა დამოკიდებული სახელმწიფო ხელისუფლების შეხედულებასა და თვითნებობაზე. სახელმწიფოს მიზანია უზრუნველყოს უფლებები, რომლებიც ბუნებითა ან უფლის მიერაა ბოძებული. ამ იდეათა გაჩენამდე გაბატონებული შეხედულებები ორიენტირებული იყო ინდივიდის მორჩილებაზე სახელმწიფოსადმი, როგორც უზენაესი ძალისადმი, რომელსაც შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ განეგო ადამიანთა ბედი. ბუნებითსამართლებრივი კონცეფცია კი, აქცენტს აკეთებდა პიროვნების თავისუფლებასა და ავტონომიურობაზე, მის ინდივიდუალურობაზე. ადამიანის ბუნებითი, თანდაყოლილი უფლებების იდეამ დაბრკოლება შეუქმნა სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობას, რომელიც წინ ეღობებოდა თავისუფლების, ინდივიდუალიზმის განვითარებასა და პიროვნების ავტონომიას. მან საფუძველი ჩაუყარა სამართლებრივ სახელმწიფოს⁸.

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, უფლების არსი მისი დამცავი ხასიათია. ქართველ მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ (გ. ხუბუა, კ. კულაშვილი, კ. კორკელია, პ. ცნობილაძე) ძირითადი უფლებები სახელმწიფოსაგან დამცავ უფლებებადაა აღიარებული. „ადამიანის უფლებები არის ყოვლისშემძლე სახელმწიფოსაგან დაცვის ძირითადი გარანტია“⁹. შესაბამისად, გავრცელებული მოსაზრებით, ძირითადი უფლებების მოქმედება მხოლოდ ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს ეხება. ძირითადი უფლებების შემოჭველი ძალა ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე და ასევე, ყველა იმ სუბიექტზე, ვინც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში. ძირითადი უფლებების ადრესატი არის სახელმწიფო. იგი შებოჭილია ძირითადი უფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით¹⁰.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითად უფლებებს ზოგჯერ, კერძო პირთა შორის ურთიერთობაზეც ავრცელებენ. აღნიშნული საკითხი კონსტიტუციურ დონეზე განმტკიცებული პორტუგალიაში. კერძოდ, პორტუგალიის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „უფლებების, თავისუფლებებისა და მათი გარანტიების შესახებ კონსტიტუციის დებულებები წარმოადგენენ პირდაპირი მოქმედების ნორმებს და სავალდებულოა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისათვის“¹¹. ჩვენ, ისევე როგორც მეცნიერთა უმრავლესობა, არ ვიზიარებთ მოსაზრებას ძირითადი უფლებების კერძო პირთა შორის ურთიერთობებზე გავრცელების შესახებ. მიგვაჩნია, რომ კერძო პირებს შორის ურთიერთობებში ძირითად უფლებათა არარსებობას დაცვის მექანიზმის არარსებობა ცხადყოფს. კერძოდ, უშუალოდ ძირითადი უფლების დარღვევის შედეგად მოპასუხე არც ერთხელ არაა კერძო პირი. ეს საკითხი, მართალია ჩვენი კვლევის საგანი არ არის, მაგრამ აქ დამატებით აღვნიშნავთ, რომ კერძო პირთა შორის ურთიერთობებზე ძირითადი უფლებების გავრცელების საკითხი სოციალური უფლებების ქრილში განიხილება. ეს უფლებები კი, წინარესახელმწიფოებრივი ნამდვილად ვერ იქნებიან, რადგანაც სოციალური უფლებები სწორედ სახელმწიფოსაგან გარკვეული შეღავათებისა და დახმარებების განევას ეხება. საერთოდ, უფლებების ნაწილის (სოციალური და პოლიტიკური უფლებები, ასევე, პირის მოქალაქეობიდან გამომდინარე, ყველა უფლება) არანინარესახელმწიფოებრივი ბუნება არ ინვეს აზრთა სხვადასხვაობას.

კ. კულაშვილის თანახმად, „ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსაგან ადამიანის დამცავი უფლებებია. ისინი იცავენ ადამიანს სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ჩარევისაგან და ამით უზრუნველყოფენ ადამიანი-

სათვის ცხოვრების (სახელმწიფოსაგან) თავისუფალ სფეროს. ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს, სახელმწიფო ხელისუფლებას და გამორიცხავს, რომ ხელისუფლებას ყველაფრის უფლება ჰქონდეს¹².

სრულიად ვიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „სიცოცხლის ძირითადი უფლება იცავს ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძვლებს, რომელიც აუცილებელია ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიანის სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების რეალიზაციისათვის“¹³. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ერთმანეთისაგან გამიჯნულია ის, რაც არის დაცული, ანუ ბიოლოგიური არსებობა, სიცოცხლე და ის, რაც იძლევა მისი დაცვის საშუალებას, ანუ უფლება. შესაბამისად, დაცვის ობიექტი მართლაც წინარესახელმწიფოებრივია, დაცვის საშუალება, მექანიზმი (უფლება) კი, სახელმწიფოსთან ერთად, ან მოგვიანებითაა წარმოშობილი.

ჩვენ არ ვავითარებთ პოზიტივისტურ მიდგომას ადამიანის უფლებების ბუნებისადმი და სახელმწიფოსა და პიროვნების დამოკიდებულებისადმი. არ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რომელი უფლება უნდა გვქონდეს და რომელი – არა. სახელმწიფო არ ჩუქნის ადამიანს უფლებებს, მაგრამ ვერც უფლება იარსებებს სახელმწიფოს მიღმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფლებები, მართალია, იმიტომ გვაქვს, რომ ადამიანებად დავიბადეთ, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივი/დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში. შესაბამისად, სახელმწიფო კი არ ჩუქნის უფლებებს, არამედ ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, მაგრამ უფლებით დაცული სფეროს (თავისუფლების ფარგლების) დადგენა სახელმწიფოს მიერ ხდება.

ისევე, როგორც სიცოცხლის უფლება განსხვავდება სიცოცხლისაგან, ღირსების უფლება – ღირსებისაგან და საკუთრების უფლება – საკუთრებისაგან, ასევე, ნებისმიერი სხვა უფლება განსხვავდება იმ ობიექტისაგან, რომელსაც იგი იცავს. სახელმწიფო, როგორც წესი, იცავს უფლებას და არა უფლების ობიექტს. ანუ სახელმწიფო იცავს საკუთრების უფლებას და არა თვით საკუთრებას. საკუთრება თავად მესაკუთრემ უნდა დაიცვას. ადამიანს შეუძლია უარი თქვას უფლებით დაცული ობიექტის ქონაზე (მაგალითად: საკუთრებაზე, სიცოცხლეზე, ღირსებაზე და ა.შ.) და მოსპოს იგი. მაგრამ უფლებაზე უარის თქმა არ სპობს უფლებას. ადამიანმა რომც მიმართოს სახელმწიფოს, რათა მან წაართვას ქონება ან სიცოცხლე, სახელმწიფო ამას ვერ განახორციელებს. ამასთან, ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს უნარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას აქვს უფლება. მაგალითად, ადამიანს, რომელიც ავადმყოფობის გამო სანოლსაა მიჯაჭვული და არ შეუძლია სიარული, მიმოსვლის უფლება მაინც აქვს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ბუნებამ ადამიანს უბოძა სხვადასხვა უნარი, რომელთა დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა (ფუნქციაა). უფლება კი, ამ უნარების დაცვის საშუალებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ბუნებითი ყოფისათვის უფლება კი არაა განმსაზღვრელი, არამედ ის, რასაც იცავს უფლება. უფლება, როგორც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ფასეულობების დაცვის საშუალება, სახელმწიფოსთან ერთად, ან მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშობა.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ფრაზა – ადამიანს უფლებები აქვს დაბადებიდან. ასეთი შეხედულება დღეისათვის არაა სადავო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უფლებები ადამიანს ადამის გაჩენის დღიდან, ანუ კაცობრიობის დასაბამიდან აქვს. დღეს, როდესაც ყოველი სახელმწიფო, თუნდაც ნორმატიულ დონეზე მიილტვის, რომ იწოდებოდეს სამართლებრივ სახელმწიფოდ და დაამყაროს დემოკრატიული რეჟიმი, ასეთ პირობებში ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღნიშნული მიზნის მისაღ-

წევად. მოკლედ რომ ვთქვათ – ის, რომ უფლებები დაბადებიდან გვაქვს, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის გამოძახილია.

არადემოკრატიულ, არასამართლებრივ სახელმწიფოებში ძირითადი უფლებები არ არსებობს. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს ძირითად უფლებათა დიდი ნაწილი არ იყო განწერილი კონსტიტუციით, ან იყო, მაგრამ ფასადურ ხასიათს ატარებდა. იმის მტკიცებას, რომ ადამიანს უფლებები ამ დროსაც ჰქონდა, მაგრამ სახელმწიფო არ იცავდა და ლახავდა მათ, აბსურდამდე მივყავართ. განა შეიძლება გქონდეს ის, რითიც ვერ სარგებლობ და რის არსებობასაც ვერ გრძნობ. განა შეიძლება არსებობდეს ისეთი რამ, რაც ერთდროულად გაქვს და არა გაქვს.

მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საზოგადოების ფენებს შორის უფლებრივი სხვაობა არსებობდა. საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლები თანაბარი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ. მაგრამ დღევანდელი გაგებით, ეს არა მათი უფლებები, არამედ პრივილეგიები იყო. ჩვენი აზრით, უფლებები მოგვიანებით, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად იქმნება, მანამდე მხოლოდ საუბრები იყო ამ თემაზე. განა მონას, რომელსაც ყიდდნენ, როგორც ნივთს, უფლებები ჰქონდა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანს ბუნებით აქვს ის ღირებულებები, რასაც უფლება იცავს. მათ შორის, ადამიანს ბუნებით აქვს თავისუფლება და არა უფლება. უფლება ფაქტობრივად, ამ თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. ანუ, უფლება ადგენს ფარგლებს, რომლებშიც მე ვარ თავისუფალი და შემიძლია სხვასაც მოვთხოვო მათი დაცვა. უფლება სწორედაც რომ **სახელმწიფოს მიერაა დადგენილი**. ამ დადგენილ ფარგლებში დარჩენილი თავისუფლების დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. რა თქმა უნდა, ყველა უფლება არ ზღუდავს ბუნებით თავისუფლებას. უფლების ფარგლები ხშირად ემთხვევა თავისუფლების არეალს (ეს ითქმის მაგალითად, ღირსებაზე). „სალ თეორიაში, ისევე როგორც პრაქტიკაში, თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქცევა უფლებად, როდესაც ის აღიარებული იქნება კანონის მიერ, კანონის დადგენა კი, ეკუთვნის სახელმწიფოს“¹⁴. მ. ბაგლაისა და ბ. გაბრიჩიძის თანახმად, თავისუფლების გზაზე ყოველთვის დგას სახელმწიფო, რომელიც ადამიანების მიერ იქმნება თავისუფლების რეალიზების ხელშემწყობი პირობების მხარდასაჭერად. სახელმწიფო კანონების მეშვეობით განამტკიცებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რის შემდეგაც ისინი ხდებიან შესაძლებლობის ზომა, ანუ იძენენ ნებადართულის საზღვრებს¹⁵. მართლაც, მხოლოდ სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზეა შესაძლებელი ვისაუბროთ უფლებებზე, როგორც რეალურად არსებულ დამცავ საშუალებაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უფლებების განწერას კონსტიტუციაში. უფლებების პოზიტიური გამოხატვის მნიშვნელობა დამტკიცებულია აშშ-ის კონსტიტუციური განვითარების ისტორიით. როგორც ვიცით, აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუცია არ შეიცავს ძირითადი უფლებების ნუსხას. დამფუძნებელი მამები გამოდიოდნენ იქიდან, რომ ადამიანისათვის ბუნებით მინიჭებული უფლებები არ საჭიროებენ ძირითადი კანონის ტექსტით პოზიტიურ დადასტურებას. მათი ნუსხა შესაძლოა გაგებულიყო, როგორც უფლებებისა და თავისუფლებების ამომწურავი ჩამონათვალი. ეს კი გამოიწვევდა იმ უფლებების უგულებელყოფას, რომლებიც არ შევიდნენ კონსტიტუციაში. თუმცა, აშშ-ის ძირითად კანონში ფედერალურად განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების ნუსხის არარსებობამ გამოიწვია ამ დოკუმენტის კრიტიკა. ახლადარჩეულ კონგრესზე საზოგადოების ზენოლის ფონზე, 1789 წელს შეთავაზებული იქნა შესწორებათა პროექტები, რომლებიც შეიცავდნენ დებულებებს პოლიტიკური და პირადი უფლებების შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც უფლების წინარესახელმწიფოებრივ ბუნებას ეწინააღმდეგება, არის თანასწორობის პრინციპი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ადამიანი ბუნებით თავისუფალია. ადამიანის ბუნებით პირობებში ყოფნისას – წინარესახელმწიფოებრივ პერიოდში არ არსებობდა თანასწორობა. ბუნებით პირობებში ძლიერი ყოველთვის რჩებოდა გამარჯვებული და მას ყოველთვის შეეძლო მიეღო, რაც მას არ ეკუთვნოდა. ისმის კითხვა – შესაძლებელია უფლებების არსებობა თანასწორობის პრინციპის არსებობის გარეშე? ისტორიულად ცნობილია, რომ თანასწორობის პრინციპი და მისი თანმდევი რეალური შედეგი უკანასკნელი ეპოქის მონაპოვარია. თანასწორობის პრინციპი არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობას, არამედ სახელმწიფოს მხრივ თავის მოქალაქეებზე მეტ-ნაკლებად თანაბარ ზრუნვასაც მოიცავს. ეს კი მხოლოდ სახელმწიფოს (სრულყოფილად – მხოლოდ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს) არსებობის პირობებშია შესაძლებელი. იმდენად, რამდენადაც თანასწორობის პრინციპი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფოს მიღმა, შესაბამისად, ვერც უფლების წარმოდგენაა შესაძლებელი სახელმწიფოს გარეშე. თანასწორობისათვის ბრძოლა უფლებების დადგენით წარმოებს, რადგანაც სწორედ უფლებრივი გათანაბრება არის რეალური თანასწორობა.

მოვალეობის წინარესახელმწიფოებრივი ბუნება

განსხვავებით ძირითადი უფლებებისაგან, რომელთა წინარესახელმწიფოებრივი ბუნებითი ხასიათი, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელია, ძირითადი მოვალეობების შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. მართალია, იმთავითვე ნათელია, რომ ძირითადი ვალდებულებების გარკვეული ნაწილი (მაგალითად, სამხედრო ვალდებულების მოხდის მოვალეობა, ან კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის ვალდებულება) წმინდა სახით ვერ იარსებებდნენ სახელმწიფოს წარმოშობამდე, მაგრამ დღევანდელი ძირითადი მოვალეობების არსი და მათი დანიშნულება პირველყოფილი საზოგადოებისათვისაც აქტუალური იქნებოდა. ის, რომ ძირითადი მოვალეობები წინარესახელმწიფოებრივ ეპოქაში ვერ იქნებოდნენ მოქცეული სამართლის ფორმაში, სულაც არ უარყოფს იმ პერიოდში მათ არსებობას. განსხვავებით ძირითადი უფლებისაგან, რომლის რეალურად აღქმისა და არსებობის დადასტურებისათვის აუცილებელია მისი გამოხატვა ნორმის ფორმით, ძირითადი მოვალეობა მისი ფარგლების განსაზღვრისათვის არ საჭიროებს ნორმაში მოქცევას. როცა მოვალეობა გვაკისრია, ჩვენთვის ცხადია, რაც უნდა გავაკეთოთ. ძირითადი მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, შესრულების ფარგლები სუბიექტზეა დამოკიდებული (განსხვავებით დარგობრივი მოვალეობისაგან, როდესაც მოვალეობის შესრულების ფარგლები შესაძლოა ზედმინვენით განსაზღვრული იყოს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფლებით ვერ ვისარგებლებთ, თუ იგი ნორმაში განერილი არაა. მოვალეობა კი, იმისათვის რომ შესრულდეს, სულაც არ საჭიროებს ნორმაში განერას (მოვალეობის არსიდან გამომდინარე, მისი შესრულება ნორმაში გაუნერლადაც შესაძლებელია სუბიექტის მიერ). უფლება კი, თუ ნორმაში არაა მოქცეული და მისი ფარგლები დაუდგენელია, მაშინ იგი სრულ განუკითხაობად (აბსოლუტურ თავისუფლებად) შეიძლება იქცეს. უფრო მეტიც, ნორმაში მოქცევის გარეშე, უფლება საერთოდ ვერ იარსებებს (სახელდობრ, რომელი სოციალური ან პოლიტიკური უფლება იარსებებს ნორმაში გამოხატვის გარეშე?), ან რიგ შემთხვევაში, საქმე გვექნება თავისუფლებასთან და არა უფლებასთან.

უფლების სამართლიანობას განსაზღვრავს მისი დაწერილი ხასიათი, ანუ ის, რომ უფლება კანონით გვაქვს მონიჭებული. ძირითადი მოვალეობების სამართლიანობა კი, არა ფორმით, არამედ მისი შინაარსით განისაზღვრება.

ის, თუ რა დონეზე უნდა შევასრულოთ ესა თუ ის ძირითადი მოვალეობა, ნორმით არაა განსაზღვრული – ეს თავად კონკრეტული მოვალეობის შინაარსის ჩვენეული აღქმიდან გამომდინარეობს. თუ რა „დოზით“ და „ხარისხით“ შევასრულებთ კონკრეტულ ძირითად მოვალეობაში მოცემულ მოთხოვნებს, მისდამი ადამიანის განწყობაზეა დამოკიდებული. ქვეყნის დაცვისათვის თავს გავწირავთ თუ უბრალოდ სამხედრო სამსახურს გავივლით, ანდა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისათვის რა ძალისხმევას დავხარჯავთ, ეს ინდივიდის გადასაწყვეტია და სახელმწიფოს აქ ნომინალური როლიც კი, არ აკისრია, იგი საერთოდ ვერ ერევა ამ საკითხის გადაწყვეტაში. უფლების შემთხვევაში კი, სუბიექტი ნორმით დადგენილ ფარგლებში მოქმედებს და მას ვერ გასცდება. მარტივად რომ ვთქვათ – უფლებისაგან განსხვავებით, მოვალეობა განხორციელების თვალსაზრისით ზღვარდაუდებელია.

თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ უფლება და მოვალეობა.

კონკრეტულად შეგვიძლია ავიღოთ საკუთრების უფლება, რომელიც მოქცეულია კონსტიტუციის ნორმაში. ერთი მხრივ, ამ ნორმიდან ჩანს, თუ **რომელ** უფლებასთან გვაქვს საქმე და მეორე მხრივ, თუ რა ფარგლებში იცავს ეს უფლება ადამიანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ კონკრეტულ უფლებას აქვს თავისი ფარგლები, რომელიც განსაზღვრავს უფლებით დაცულ სფეროს და შესაბამისად, აწესებს ზღვარს. ეს ფარგლები თავად კონსტიტუციის შესაბამის მუხლშია მოცემული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, კანონით დადგენილ შემთხვევებში, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა, ან საკუთრების ჩამორთმევა სათანადო ანაზღაურებით. ამგვარად, თავად უფლებადადგენი ტექსტითაა განსაზღვრული, თუ **როგორია** მოცემული უფლება და ის არეალი, რის ფარგლებშიც ადამიანს შეუძლია თავისი საკუთრებითი ინტერესის დაცვა. კონსტიტუციაში განერილია უფლებით მონიჭებული მოთხოვნის ფარგლები (რეალურად დაცული სფერო). სწორედ ამ ფარგლების (მოთხოვნის მაქსიმუმის) განერთ ხდება თვით უფლების დადგენაც.

ახლა კონკრეტულად განვიხილოთ განათლების მოვალეობა. იგი მოიცავს დაწყებით და საბაზო განათლებას. ამით ირკვევა, განათლების თუ **რომელ** საფეხურს მიიჩნევს სახელმწიფო სავალდებულოდ. რაც შეეხება, ამ მოვალეობაში მოცემული მოთხოვნის შესრულების ფარგლები **როგორია**, ამაზე კანონმდებელი დუმს. მართალია, კანონმდებელი ამბობს, კონკრეტულად რას ითხოვს ჩვენგან, მაგრამ არ გვამცნობს – რა ფარგლებში სურს ამ მოვალეობის შესრულება. კერძოდ, ნორმა არ განსაზღვრავს ძირითადი მოვალეობის შესრულების ზღვრულ მომენტს – თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება მოთხოვნა შესრულებულად, არ ადგენს იმ მინიმუმსა და მაქსიმუმს, რომელ ფარგლებშიც ვალდებულ პირს ნორმის მოთხოვნა შესრულებულად ჩაეთვლებოდა. უფრო მეტიც, ამ მოვალეობის შესრულების ზღვარი არც მიმდინარე კანონმდებლობითაა განსაზღვრული („აკრძალულია საბაზო განათლების მიღებამდე სასწავლო დაწესებულებიდან მოსწავლეთა გარიცხვა“¹⁶). ანალოგიურად შეიძლება ითქვას სხვა ძირითად მოვალეობებზეც.

ლოკის აზრით, არისტოტელემ სწორი დასკვნა გააკეთა, რომ ადამიანის მოვალეობა გონების შესაბამისად მოქმედებით გამოიხატება; ადამიანი ვალდებულია აკეთოს ის, რასაც გონება უკარნახებს¹⁷. ჩვენც ვეთანხმებით მოცემულ აზრს. სწორედ ადამიანის გონებით და არა სამართლის ნორმით არის განსაზღვრული ის ზღვარი, რომელშიც მოვალეობა უნდა შესრულდეს.

ვფიქრობთ, ძირითადი მოვალეობები, როგორც მორალური კატეგორია, ადამიანის მიერ გაგებული სამართლიანობისა და კაცობრიობის თვითგადარჩენის ინსტინქტის შედეგია. საერთოდ, ძირითად მოვალეობათა მნიშვნელობა სამართლის ფორმაში მოქცევაზე არაა დამოკიდებული. თუმცა, საკანონმდებლო აქტში მათი ასახვა სწორედაც რომ ძირითადი მოვალეობების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა საჭიროებამ განაპირობა. თუ რომელი მოვალეობა მოქცევა სამართლის ფორმაში, სამართლიანობის შესახებ შეხედულებები, ბუნებრივი, განსაკუთრებით, სოციალური გარემოს ცვლა განაპირობებს.

უნდა ითქვას, რომ ადამიანთა მოვალეობები ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა, რადგანაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებთან. მოვალეობები წარმოადგენენ ერთგვარ ზღვარს ინდივიდებს შორის ურთიერთობებში, რაც ძალზე ნათლადაა ასახული ციცერონის სენტენციაში: „არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა – არც სახელმწიფო საქმე, არც კერძო, არც სასამართლო, არც საშინაო, არც შემთხვევა, როცა შენ აყენებ საკითხს საკუთარი თავის წინაშე, არც შემთხვევა, როცა შენ დებ გარიგებას ახლობელთან – არ შეიძლება თავისუფალი იყოს მოვალეობებისაგან. და მისდამი (მოვალეობისადმი) სამსახურში არის ცხოვრების მთელი მორალური სილამაზე; მის უგულვებელყოფაში – სირცხვილი“¹⁸. ამ შეგონების გავრცელება თავისუფლად შეიძლება კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპზე.

თუ საისტორიო ლიტერატურას დაუფერებთ, ცივილიზებული ქვეყნების კონსტიტუციებში ასახული ძირითად მოვალეობათა დიდი ნაწილი წინარესახელმწიფოებრივ პერიოდშიც გვხვდება. აქ საუბარია არა მოვალეობათა დღევანდელი ფორმით არსებობაზე, არამედ იმ შინაარსსა და მნიშვნელობაზე, რომლის მატარებელიცაა ცალკეული ძირითადი მოვალეობა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ საგადასახადო მოვალეობის წარმოშობის ისტორია. კერძოდ, გ. ნადარეიშვილის დაკვირვებით, „საზოგადოებრივი თანამდებობის პირები, რომლებსაც სახალხო კრება ირჩევდა გარკვეული ვადით, დროთა ვითარებაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების გართულებასთან ერთად, სახალხო კრებისაგან მოითხოვენ ანაზღაურებას საზოგადოებრივი თანამდებობის შესრულებისათვის. წინარესახელმწიფოებრივ ხანაში, სავარაუდოა, რომ სახნავ-სათესი მიწების ნაწილი განკუთვნილი იყო თემის, გვარის, „სახლის“ უპირველესი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიწები მუშავდებოდა „სახლის“ ე.ი. გვარის საერთო ძალებით და აქედან აღებული მოსავალი მოხმარდებოდა ისევე თემის წევრებს მოუსავლიანობის წლებში, აგრეთვე საზოგადოებრივი თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურებას მას შემდეგ, რაც სახალხო კრების დადგენილებით დანესდებოდა მათთვის გარკვეული გასამრჯელოს გაღება. რაკი ერთხელ დაწესდა, რომ საზოგადოებრივი თანამდებობის პირის ღვანლი, როგორც მმართველობითი და მართლმსაჯულებითი ხასიათის შრომა ანაზღაურებადია, ამით საფუძველი ჩაეყარა ერთი მხრივ, საჯარო ხელისუფლებას და მეორე მხრივ, **გაჩნდა გადასახადი**, როგორც ხელისუფალთა შენახვის საშუალება“¹⁹.

გარდა საგადასახადო ვალდებულებისა, აგრეთვე, გვხვდება ქვეყნის დაცვის მოვალეობის ნაირსახეობა. ცხადია, რომ ქვეყნის დაცვა დაკავშირებულია ტერიტორიასთან, რომლის ფარგლებშიც ადამიანი აღიქვავს თავის ვალდებულებებს. პირველყოფილი საზოგადოება, მართალია, არ იყო სახელმწიფოდ ორგანიზებული, მაგრამ თემი თუ გვარი გარკვეულ ტერიტორიას ეპატრონებოდა და იცავდა კიდეც. მ. კოსვენის მოსაზრებით, პირველყოფილ საზოგადოებაში ტექნიკის განვითარება ხორციელდებოდა როგორც შრომის, ასევე საბრძოლო და თავდაცვითი იარაღის გაუმჯობესების გზით²⁰. ეს მეტყველებს, რომ პირველყოფილ ადამიანთა საგვარეულო თუ

სატომო გაერთიანებები ერთობლივად იცავდნენ თავს და სხვებზე თავდასხმასაც ასევე, კოლექტიურად წარმართავდნენ.

სამეცნიერო წრეებში სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთ ფაქტორად ომს და ომის საშიშროებას ასახელებენ. გ. მამულიას მართებული მოსაზრების თანახმად, ომით, ომის საშიშროებითა და თავდასხმისაგან თავის დაცვით აიხსნება, რომ ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მინა-წყალზე მდებარე „გორები“ საგანგებოდ იყვნენ გამაგრებულნი, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იჯდა ამ „გორაზე“ – მინათმოქმედი თუ მესაქონლე პატრიარქალური გვარი²¹.

პირველყოფილი საზოგადოებისათვის არ იყო უცხო ურთიერთდახმარების მოვალეობაც. კერძოდ, როდესაც ადამიანი განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა, ცეცხლის მოპოვება ერთობ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა. ამასთან, ცალკეული ტომებისათვის ცეცხლის მოპოვების „ხელოვნება“ ცნობილი იყო. ხოლო ის ტომები, რომლებიც თავად ვერ მოიპოვებდნენ ცეცხლს, მას სხვა ტომებიდან იღებდნენ. ცეცხლის „თხოვება“ მოვალეობას წარმოადგენდა²².

ბუნებითი სამართლის კვლევისას ლოკი სვამს კითხვას: ადგენს თუ არა ბუნების კანონი ვალდებულებებს ადამიანებისათვის? ლოკი ამ კითხვას დადებითად პასუხობს და ამბობს, რომ „ბუნების კანონები აიძულებს ყველას შეასრულოს ბუნებითი ვალი, ანუ ის მოვალეობები, რომელსაც ადამიანისაგან მისი საკუთარი ბუნება ითხოვს...“²³. ლოკის აზრით, „თუ ბუნების კანონები არ ავალდებულებენ ადამიანებს, მაშინ ვერც ერთი პოზიტიური ადამიანური კანონი ვერ დაავალდებულებს მათ, რადგანაც სამოქალაქო მმართველის კანონები მთელ თავის ძალას სესხულობენ იმ მოვალეობისაგან, რომელიც ბუნების კანონებითაა დაკისრებული, ყოველ შემთხვევაში, კაცობრიობის უმეტესობისათვის“²⁴.

ადამიანი, როგორც გონიერი არსება, მგრძნობიარეა სამართლიანობისა და უსამართლობის მიმართ. მოვალეობის ბუნებითი ხასიათი მომდინარეობს სამართლიანობიდან. სამართლიანობა იურიდიული მოვალეობის ფუნდამენტად გვევლინება. ბუნებითი მოვალეობები ყოველ კონკრეტულ საზოგადოებაში ისეთივეა, როგორიცაა სამართლიანობის კრიტერიუმი, რომელიც მათ შემადგენლობას განსაზღვრავს.

„მოვალეობების ბუნებითსამართლებრივი შინაარსი ვლინდება სამართლიანობაში, რომელიც დეტერმინირებულია ბუნებითი, კულტურული და ბიოლოგიური ფაქტორებით. სამართლიანობა თვითდავალდებულების შინაგანად გაცნობიერებული სტიმულია. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორებად გვევლინებიან სინდისი და ბრალი, ისინი თვითდავალდებულებისათვის ერთგვარ ნოციერ ნიადაგს წარმოადგენენ“²⁵.

ძირითადი მოვალეობისადმი, როგორც „დადებითი მუხტის“ მატარებლისადმი დამოკიდებულება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მასში აისახება ისეთი ფასეულობები, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავსმოხვეული, გაუმართლებელი ტვირთი იქნებოდა; მოვალეობის დამაგრების ვერანაირი ფორმა ვერ გახდებოდა მისი არსებობის გარანტია.

ყოველივე ზემოთქმული ემსახურება, ვამტკიცოთ, რომ ძირითადი მოვალეობების შინაარსი ბუნებითი ხასიათისაა და კაცობრიობის გაჩენიდან განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანთან და იმდენად, რამდენადაც ადამიანი დასაბამიდან მიისწრაფვის იცხოვროს სხვა ადამიანების საზოგადოებაში, რაც შეუძლებელია კომპრომისების გარეშე. საზოგადოებაში ცხოვრებისათვის ადამიანი მოწოდებულია იპოვოს სახელმძღვანელო იდეალი, რომელიც სამყაროს გონივრულ

მონყობას უპასუხებს. სწორედ ძირითადი მოვალეობის შინაარსი და ზოგადად, ვალდებულებები, რომლებსაც ადამიანი შინაგანად განიცდის წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ საზოგადოების შენარჩუნების აუცილებელ ელემენტს. მოვალეობა არის საზოგადოების არსებობის საშუალება. სწორედ ამიტომ, ადამიანზე ძირითადი მოვალეობის მოქმედება მისი სამართლის ფორმაში მოხვედრამდე იწყება. შესაბამისად, სამართალი სულაც არაა ის აუცილებელი „ძალა“, რაც მოვალეობას სავალდებულო ხასიათს სძენს.

შენიშვნები:

- ¹ ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), თბ., 2005, გვ. 393.
- ² პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I, თბ., 2005, გვ. 240.
- ³ ფ. საყვარელიძე, კიდევ ერთხელ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, ჟურნ. „თავისუფლება“, 2004, №3 (27), გვ. 18.
- ⁴ იქვე გვ. 19.
- ⁵ მ. კვაჭაძე, ნ. ჩერქეზიშვილი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თბ., 2005, გვ. 17.
- ⁶ http://www.concourt.am/hr/rus/un/6_5.htm
- ⁷ იხ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 60 წლისთავის სპეციალური გამოცემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საქართველოს ოფისი, 2008.
- ⁸ Права Человека (учебник для вузов), Ответственный редактор — член-корреспондент РАН, доктор юридических наук Б. А. Лукашева, М., 2001, ст. 21-22.
- ⁹ OSCE Human dimension commitments, a reference guide, Warsaw, 2001, pg. 5.
- ¹⁰ ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ., გვ. 9, 10.
- ¹¹ http://www.servat.unibe.ch/icl/po00000_.html
- ¹² კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, გვ. 39.
- ¹³ იქვე, გვ. 123.
- ¹⁴ Б. Чичерина, Собственность и государство, ч. 2, М., 1883, с. 302.
- ¹⁵ М. В. Баглай, Б. Н. Габричидзе, Конституционное право Российской Федерации, М., 1996, с. 156.
- ¹⁶ იხ.: „განათლების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ¹⁷ Джон Локк, Сочинения в трех томах, Т.3, М., 1988, с. 5.
- ¹⁸ Цицерон, О старости, о дружбе, об обязанностях, М., 1975, с. 59.
- ¹⁹ გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 13-14.
- ²⁰ М. О. Косвен, Очерки истории первобытной культуры, М. 1953, с. 39-52.
- ²¹ გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 165.
- ²² М. О. Косвен, назв. раб., с. 52.
- ²³ Джон Локк, Сочинения в трех томах, Том 3, М., 1988, с. 36-37.
- ²⁴ ჯ. ლოკი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.
- ²⁵ Р. Каримова, Юридические обязанности: сущность и проблемы реализации (диссертация), Екатеринбург, 2008, с. 7.



Relationship Between the Basic Rights and Responsibilities

NUKRI GELASHVILI

Doctoral Student, Tbilisi State University of Economic Relations

This article covers the intrinsic aspects of the relationship between the basic rights and responsibilities.

The paper questions the generally accepted opinion about the pre-statehood character of the basic rights. The basic right exists only in the relation of the person and the state as a protection from the state. Therefore, it is certain that its existence before the states emerged is illogical.

The article differentiates the good protected by the right and the right per se (life and the right to life, property and the right to the property). It is not arguable that the object protected by the right is a pre-statehood phenomenon. According to the author the right was 'emerged' along with establishing a substantially democratic state.

The author considers that the freedom, not the right, is an inherent of the person. Factually, the right is a certain limitation of this freedom: the right establishes the boundaries within which the human being is free and may also demand it from others do protect the given right. It is the state which determined the right. The state is responsible for protecting the freedom put within the established framework.

Unlike the basic right the basic responsibility is considered to be of pre-statehood character. The author considers that for the responsibility to be met it is not necessary to define norms for it. Accordingly, its existence is not linked to putting it in the legal form. After discussing the historical background of the basic responsibility, the author states the essence of the demand explained would have been topical for the primitive society as well.

To conclude, the article sets out a thesis that the nature of the basic responsibilities is intrinsic: the basic responsibility is integrally linked to the person since the human being has always been seeking to live together with the other persons in the community which is unfeasible without making compromises. To live in the community the person is dedicated to seek a guiding ideal which will match to the reasonable arrangement of the world of Homo Sapiens. It is the essence of the basic responsibility, and generally responsibilities, that are the intrinsic experience of persons and which have always been a necessary element to keep the community together.

პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში

ლალი შაიშველაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

პრეზიდენტის ინსტიტუტის ანალიზი ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა იურიდიულ მეცნიერებაში. მისი შესწავლა განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე პერიოდში, ვინაიდან დღეისათვის, პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყნის აუცილებელი ელემენტია და დაახლოებით 150 ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. ვინაიდან თითოეული სახელმწიფო ხასიათდება თავისი სპეციფიკური თავისებურებებით და მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ნაირსახეობებით, აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოებში პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები თვისებრივად განსხვავებულია. მასზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი, მათ შორის, ქვეყნის ისტორიული განვითარება, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, ეთნიკური შემადგენლობა, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონე და ა.შ.

ამასთან, პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური წყობილების დემოკრატიულობის კრიტერიუმი როდია. მრავალრიცხოვანი

მაგალიტები მოწმობს, რომ ხშირად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა შეფარვით აშკარად დიქტატორული, ტოტალიტარული რეჟიმებია.

მიუხედავად ამისა, საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა, როგორც წესი, უკავშირდება სახელმწიფოებრივი მმართველობის დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ამიტომ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე სხვა სახელმწიფოებშიც, პრეზიდენტის ინსტიტუტი და მისი განვითარების ისტორია სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი ისტორიული და პოლიტიკური სპეციფიკა, ტრადიციები და ჩვეულებები. ამიტომ სხვა ქვეყნებისა და ხალხების სოციალური და პოლიტიკური გამოცდილების ბრმად გადმოღება არავის მოუტანს საარგებლობას. თუმცა, ნებისმიერ ერს უფლება აქვს და ვალდებულიცაა გაიზიაროს სხვათა გამოცდილება.

1995 წლის 24 აგვისტო საქართველოს მათიანეში შევიდა, როგორც ისტორიული დღე. ამ დღეს საქართველოს პარლამენტის საგანგებო სესიამ თავის სხდომაზე მიიღო საქართველოს კონსტიტუცია და მის საფუძველზე დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახალი ეტაპი – დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ აღიარა საპრეზიდენტო რესპუბლიკა და წარმოადგინა პრეზიდენტის ინსტიტუტის მრავალფეროვანი მხარეები ხელისუფლების დანაწილების ფონზე.

პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში სამართლებრივ-დემოკრატიულ რეჟიმში ცხოვრებისაკენ სწრაფვა ხშირად ქაოსსა და პოლიტიკურ ანარქიას იწვევს. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური სიძნელებები, ჩამოუყალიბებელი სოციალური სტრუქტურა, ზნეობისა და მორალის გარკვეული დევალვაცია, ძალოვანი სტრუქტურების დასუსტების ფონზე დამნაშავეობის აღზევება და ბევრი სხვა ფაქტორი.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ ამ რთული პერიოდის წარმატებით დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი ხელისუფლების მეშვეობით, რომელსაც ძალუძს პრინციპული, აუცილებელი, თუმცა ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება და მათი ცხოვრებაში გატარება. უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ნებას, უნარსა და ინტელექტუალურ ძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქაოსური, ნგრევითი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, დროული და გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებისათვის. ძლიერი ხელისუფლების გარეშე შეუძლებელია კარდინალური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელება.

ამ პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნების ადეკვატურია ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, რადგან პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს, ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა. ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საშუალებას იძლევა ოპერატიულად მოგვარდეს არა მარტო მრავალრიცხოვანი საშინაო პრობლემები, არამედ წარმატებით განხორციელდეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: სახელმწიფო ან მისი რომელიმე განშტოება რომ არ გახდეს დიქტატორული, საჭიროა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სისტემა ჩამოყალიბდეს ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრების ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით, არ უნდა მოხდეს ერთი პირის ან ორგანოს ხელში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თავმოყრა და შეიქმნას ამ ორგანოთა შორის თანამშრომლობისა და ნონასწორობის მექანიზმები. გარკვეულ პირობებში, როგორც ისტორია გვიჩვენებს, არ არის

გამორიცხული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ გამოიწვიოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ტრანსფორმაცია და მისი ანტიდემოკრატიულობა. მაგრამ არა მაშინ, როდესაც კონსტიტუციამ სამოქმედოდ შემოიტანა ისეთი სრულფასოვანი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორცაა არჩევითი პარლამენტი, რომელსაც აქვს პრეზიდენტის ამბიციების „დაძლევის“ საშუალებები (ბიუჯეტი, მთავრობის ფორმირებაში გადაწყვეტი მონაწილეობა, იმპიჩმენტი), საკონსტიტუციო ზედამხედველობა, მრავალპარტიულობა და სხვა.

საპარლამენტო რესპუბლიკა მიუღებელი იყო ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ეკონომიკა განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა, არ არსებობდა მკვეთრად გამოხატული, სოციალურად დეტერმინირებული პარტიული სისტემა, სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, საპარლამენტო დემოკრატია და პოლიტიკური კულტურის საკმარისი დონე, გართულებული იყო ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. საპარლამენტო რესპუბლიკის კანონზომიერება გამოიწვევდა გაუთავებელ საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისებს, რაც დამლუპველი აღმოჩნდებოდა საქართველოსათვის.

1995 წლიდან დღემდე, პრეზიდენტის ინსტიტუტმა ქვეყანაში განიცადა გარკვეული მოდიფიკაცია, სრულყოფა და ცვალებად პოლიტიკურ პროცესებთან ადაპტაცია. 2004 წლის 6 თებერვალს, განხორციელდა კონსტიტუციური შესწორებები, რომელიც ძირითადად, ეხებოდა ხელისუფლების განაწილების პრობლემას პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას შორის. საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გარდაიქმნა შერეული, ანუ ნახევრადსაპრეზიდენტო ფორმის რესპუბლიკად.

იურიდიულ ლიტერატურაში პრეზიდენტის ინსტიტუტის სამეცნიერო-თეორიული შემეცნების ფუძემდებლური ნაშრომები შექმნეს ამერიკელმა მეცნიერებმა ვ. ვილსონმა, ა. ჰამილტონმა, დ. ადამსონმა, თ. ჯეფერსონმა, ჯ. მედისონმა და ა.შ.

პრობლემის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლატონის, ჰობსის, არისტოტელეს, რუსოს, მონტესკიეს, კანტისა და ლოკის ნაშრომებს.

ტერმინი „პრეზიდენტი“ წარმოიშვა ლათინური Preasidens-დან, რაც სიტყვასიტყვით „წინ მჯდომს“, ხოლო აზრობრივად „თავმჯდომარეს“, „მეთაურს“, ნიშნავს. როგორც ჩანს, ანტიკურ დროში პრეზიდენტებს უწოდებდნენ სხვადასხვა კრების თავმჯდომარეებს. სიტყვა „პრეზიდენტის“ ასეთი თავდაპირველი მნიშვნელობიდან შემდგომში წარმოიშვა ისეთი თანამდებობა, როგორცაა სენატის პრეზიდენტი. ამასთან, ადრეული ბურჟუაზიული რესპუბლიკების პერიოდში, ტერმინი „პრეზიდენტი“, როგორც სახელმწიფოს მეთაური არ იხმარებოდა საბერძნეთში, რომში, ინგლისსა და ნიდერლანდებში. მაგალითად, ინგლისში, რომელიც მცირე ხნით იყო რესპუბლიკური სახელმწიფო, აღმასრულებელ ხელისუფლებას დამხობილი მონარქის ნაცვლად ახორციელებდა სახელმწიფო საბჭო, ხოლო ნიდერლანდებში – უმაღლესი კოლეგიური ორგანო.

ისტორიულად, პრეზიდენტის ინსტიტუტი აშშ-ში ჩამოყალიბდა. ამერიკის სახელმწიფოებრიობის პირველ ეტაპზე როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა წარმომადგენლობითი ორგანო – კონტინენტური კონგრესი. სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური იმ დროს არ არსებობდა. კონგრესი თავისი შემადგენლობიდან ირჩევდა პრეზიდენტს, რომლის ფუნქციებიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ სხდომებზე თავმჯდომარეობით.

მაღე ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე — კონგრესის საკმარისობის არაეფექტურობისა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების დანა-

ნილების შესახებ. ამიტომ საკონსტიტუციო კონვენტის დელეგატებმა, რომლებიც 1787 წელს, ფილადელფიაში აშშ-ის ფედერალური კონსტიტუციის მისაღებად შეიკრიბნენ, გააკეთეს ისტორიული არჩევანი მონარქიასა და რესპუბლიკას შორის. კონვენტის 55 დელეგატი პატარა, მაგრამ შთამბეჭდავ კრებას წარმოადგენდა. ამ კრების ყველა მონაწილეს მოგვიანებით, „მამა-დამფუძნებლები“ უწოდეს – პირველი პრეზიდენტი ჯ. ვაშინგტონი, ს. ადამსი, ა. ჰამილტონი, ჯ. მედისონი, ე. რენდოლფი, ჯ. უილსონი და სხვა სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, ფილოსოფოსი და იურისტი. ხანგრძლივი დებატების შემდეგ დაადგინეს, რომ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს ერთიანი, ესე იგი თავმოყრილი ერთ და არა რამდენიმე თანამდებობის პირის ხელში. ამდენად, აშშ-ის ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლებაში განმტკიცდა ერთმართველობის პრინციპი. რეალური აღმასრულებელ ხელისუფლების მეთაურს ეწოდა აშშ-ის პრეზიდენტი. სახელმწიფოს მეთაურის ასეთი სახელწოდება დაკავშირებული იყო არა მარტო იმ ფაქტთან, რომ პრეზიდენტი ასოცირდებოდა მმართველობის რესპუბლიკურ ფორმასთან, ასევე მთელ რიგ შტატებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს ერქვა პრეზიდენტი და არა გუბერნატორი.

საბოლოოდ, აშშ გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც წარმოიშვა პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც ერთ პიროვნებაში აერთიანებდა სახელმწიფოს მეთაურსა და მთავრობის მეთაურს. გარდა ამისა, სწორედ აშშ-ში დაიბადა პრეზიდენტობა, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. „მამა-დამფუძნებლებმა“ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას საფუძვლად დაუდეს ხელისუფლების დანაწილებისა და ფედერალიზმის პრინციპები. იმ პერიოდის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას მონარქიული, მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა, აშშ-ში სახელმწიფოს მეთაურს ირჩევდნენ საყოველთაო არჩევნების საფუძველზე.

აღმასრულებელ ხელისუფლებას შემდეგი უფლებამოსილებები მიენიჭა:

1. კონგრესის მიერ მიღებულ კანონთა შესრულება;
2. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადება;
3. ომის წარმოება.

„შემქმნელებს“ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება სურდათ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა შესრულება, მაგრამ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ მას არ ექნებოდა მეტისმეტი ძალაუფლება. კონგრესთან პრეზიდენტის უფლებამოსილებების განაწილებით კონვენტმა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებანი შეზღუდა. ეს გაკეთდა ხელისუფლებათა განონასწორებისა და კონგრესის მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლების მიზნით, რაც გულისხმობდა შემდეგს:

1. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის უფლება კონგრესსაც გაუნაწილდა. პრეზიდენტს ჰქონდა თანამდებობაზე პიროვნების დასახელების უფლება, ხოლო სენატს შეეძლო დათანხმებოდა ან უკუეგდო დასახელებული კანდიდატი;
2. უცხოეთის სახელმწიფოებთან ხელშეკრულებათა დადების უფლებამოსილება ასევე, კონგრესს გაუნაწილდა. პრეზიდენტს უფლება ჰქონდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის, მაგრამ შემდგომ ის სენატს უნდა დაემტკიცებინა;
3. ომის წარმოება (ომში მთავარსარდლობა) პრეზიდენტის უფლებამოსილება იყო, მაგრამ მხოლოდ კონგრესს ჰქონდა ომის გამოცხადების უფლება და მხოლოდ ის აკონტროლებდა ომისათვის საჭირო ხარჯებს;

4. პრეზიდენტს შეეძლო ვეტო დაედო კონგრესის მიერ მიღებულ კანონზე, მაგრამ ხმათა ორი მესამედით კონგრესის წევრებს შეეძლოთ ვეტოს გადალახვა და კანონი კვლავ ძალაში რჩებოდა;

5. კონსტიტუცია კონგრესს ანიჭებდა პრეზიდენტის იმპიჩმენტის უფლებას.

საპრეზიდენტო მმართველობის ამერიკული მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია: აშშ-ის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. კონგრესს არ შეუძლია უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადოს მთავრობას, თუმცა პრეზიდენტსაც არა აქვს კონგრესის დათხოვნისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის უფლება; მთავრობას აყალიბებს პრეზიდენტი, ხოლო მის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს სენატი; საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს კონგრესი. თავის მხრივ, პრეზიდენტს აქვს შეყოვნებითი ვეტოს უფლება; პრეზიდენტი მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების სრულუფლებიანი მეთაურია. ყველა სახელმწიფო მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს მისი გადაწყვეტილებები; თავის მხრივ, კონგრესი თვალყურს ადევნებს, როგორ ხდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ კანონების შესრულება და კონგრესის მიერ ასიგნებული თანხების ხარჯვა; პრეზიდენტი გამოსცემს აღმასრულებელ ბრძანებებს, რომელთა ანუღირება შეუძლია აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს, თუ ისინი არ შეესაბამება აშშ-ის კონსტიტუციას; საპრეზიდენტო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფო ბიუჯეტი. მხოლოდ პრეზიდენტს აქვს ბიუჯეტის პროექტის წარდგენის უფლება კონგრესში განსახილველად. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს იღებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო; პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. თუმცა, ომის გამოცხადების უფლება ეკუთვნის კონგრესს; პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, თუმცა საბოლოოდ, მათ ამტკიცებს სენატი; პრეზიდენტს უფლება აქვს გამოაცხადოს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ოღონდ კონგრესის სანქციით; კონგრესს უფლება აქვს იმპიჩმენტის წესით გადააყენოს თანამდებობიდან პრეზიდენტი; როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ყველა თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადები სხვადასხვაგვარია და ამდენად, ისინი არ არიან დამოკიდებული ერთმანეთზე.

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტი ამ მოდელის მიხედვით აღჭურვილია ფართო და მრავალფეროვანი უფლებამოსილებებით, მაგრამ ის მოქმედებს მხოლოდ ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, არ შეუძლია ერთპიროვნულად მართოს მთელი სახელმწიფო აპარატი. მის სრულუფლებიან პარტნიორებს და მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ კონგრესი და უზენაესი სასამართლო. ამასთანავე, პრეზიდენტის საქმიანობაზე სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან ხორციელდება ფრიად სერიოზული კონტროლი. აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს პარტიათაშორისი წინააღმდეგობები და კონგრესში არსებული ოპოზიცია. მისი ყოველი ნაბიჯი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შუქდება.

ყოველივე ამის შედეგად, აშშ-ში საპრეზიდენტო ხელისუფლება, ამა თუ იმ პრეზიდენტის სუბიექტური სურვილის მიუხედავად, არ შეიძლება გადაიზარდოს პირადი ხელისუფლების რეჟიმში. ნებისმიერი მისწრაფება, დაარღვიოს ხელისუფლების ბალანსი თავის სასარგებლოდ – წინააღმდეგობას აწყდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საპრეზიდენტო მმართველობის ამერიკული მოდელის რაციონალურობაც: აქ არ არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი, რომლის დროსაც პრეზიდენტი

და პრემიერ-მინისტრი ხშირად მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს, რათა მოიპოვონ უპირატესი გავლენა სამთავრობო პოლიტიკაზე. გარდა ამისა, ეს მოდელი გამოირჩევა სიმტკიცის მაღალი ხარისხით. პრეზიდენტის ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელია მისი არსებობა და განვითარება სტაბილურობის პირობებში. აშშ-ის კონსტიტუცია ორ საუკუნეზე მეტია არსებობს. ის დაზუსტდა, შეივსო შესწორებებით, მაგრამ მან გაუძლო ყველაზე სერიოზულ გამოცდას – დროს.

აშშ-ის მაგალითს პირველად, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა მიბაძეს. უკვე XIX საუკუნის I ნახევარში, ძლიერი ჩრდილოელი მეზობლის გავლენით სამხრეთ ამერიკის ბევრ ქვეყანაში შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი.

დღეისათვის, აქ ფართოდაა გავრცელებული საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა. აშშ-ის მსგავსად, აქაც სახელმწიფო წყობილების კონსტიტუციური პრინციპია ხელისუფლების დანაწილება. როგორც წესი, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი კონგრესი, ხოლო ქვეყნის მართვას – პრეზიდენტი. მიუხედავად აშშ-ის მმართველობის ფორმასთან მსგავსებისა, ლათინური ამერიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკები ხასიათდებიან ისეთი სპეციფიკური ნიშნებით, როგორცაა, სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი, საგანგებო მდგომარეობის ინსტიტუტის ჰიპერტროფული გარება, პოლიტიკურ ცხოვრებაში არმიის მნიშვნელოვანი როლი, ხელისუფლების (უპირველესად, პრეზიდენტის პოსტის) მოპოვება ძალადობითი მეთოდებით, გარებული პარტიული სისტემების თითქმის არარსებობა, შედარებით სუსტი და ნაკლებად ეფექტიანი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებაა ხელისუფლების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია პრეზიდენტის ხელში და აღმასრულებელი ხელისუფლების როლის აბსოლუტიზაცია. სამართლიანად აღნიშნა ო. ჟიდკოვმა, რომ „XIX საუკუნეში ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური ბატონობის რეალური ფორმა გახდა დიქტატორული რეჟიმები.“¹ კოლუმბიელი იურისტის კარლოს საჩიკას მიხედვით, „ხელისუფლების აღმასრულებელი სფერო მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრია... თავის თავში აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის ზოგადი პოლიტიკის ხელმძღვანელობას.“² მექსიკელი იურისტის პედრო პაბლო კამარგოს თანახმად, „...როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას, ახდენს კანონების პრომულგირებას და სანქცირებას, ნიშნავს მოსამსახურეებს, განაგებს შეიარაღებულ ძალებს, ხელმძღვანელობს სამხედრო მოქმედებებს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, ახორციელებს დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობებს, დანაშაულის დევნას, იღებს სესხებს, კრებს გადასახადებს და ა.შ.“³

ლათინური ამერიკის ქვეყნებში საპრეზიდენტო ხელისუფლების ლეგიტიმურობა და სტატუსი არაერთხელ დაარღვია მრავალრიცხოვანმა სამხედრო გადატრიალებებმა, რის შედეგადაც არმიის მეთაურებმა დაამხეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტები (აღსანიშნავია, რომ 1810-1980 წლებში კონტინენტზე მოხდა დაახლოებით 600 სახელმწიფო გადატრიალება, მარტო ბოლივიაში, ამ სახელმწიფოს შექმნის დღიდან 1986 წლამდე – 19 სახელმწიფო გადატრიალება).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო მმართველობის ლათინურ ამერიკულ მოდელებს დემოკრატიული ელემენტებიც ახასიათებთ. ამ კონტინენტის ბევრ ქვეყანაში პრეზიდენტს არა აქვს განმეორებით არჩევის უფლება, რაც შესაძლებლობას უსპობს პირადი ხელისუფლების რეჟიმის დასამყარებლად. ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში არსებობს მრავალპარტიული სისტემები, რაც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმოშობის პირობებს ქმნის. გარდა ამისა, ძლიერდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაც.

ევროპაში პრეზიდენტის თანამდებობა პირველად, 1848 წელს შემოიღეს საფრანგეთსა და შვეიცარიაში.

ამ ქვეყნების ისტორიული გარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებები განსხვავებულია.

შვეიცარიაში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ფედერალური საბჭო, რომელიც შვიდი წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი აირჩევა პრეზიდენტად.

XX საუკუნეში ისეთმა გრანდიოზულმა მოვლენებმა, როგორცაა რევოლუციები, მსოფლიო ომები, კოლონიური იმპერიების ნგრევა, გამოიწვია ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაშლა. ყველა მათგანი არ გამხდარა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, მაგრამ ბევრ ქვეყანაში დაწესდა პრეზიდენტის პოსტი. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიაში, ვაიმარის რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, თურქეთში პრეზიდენტები გახდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი შემოიღეს დასავლეთ ევროპისა და აზიის ბევრ სახელმწიფოში: იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, ისლანდია, მალტა, სამხრეთ კორეა, სამხრეთ ვიეტნამი, ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ირანი, ერაყი, ავღანეთი, ფილიპინები, სირია, ლიბანი.

თუმცა, ყველაზე ფართოდ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი აფრიკაში გავრცელდა. ეს პროცესი 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და დღეისათვის, აფრიკის თითქმის ყველა ქვეყნის სათავეში პრეზიდენტი დგას.

აფრიკულ-აზიური მოდელი (გარდა მცირე გამოწვევებისა) ხასიათდება კიდევ უფრო დიდი ავტორიტარიზმით, რაც ხშირად ტოტალიტარული რეჟიმის ფორმას ღებულობს. აქ გავრცელდა მმართველობის ისეთი ფორმა, როგორცაა საპრეზიდენტო-მონოკრატიული რესპუბლიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, რომ პრეზიდენტი – აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთპიროვნულად განაგებს, აღჭურვილია განსაკუთრებული სტატუსით და ფართო უფლებამოსილებებით. ამ ქვეყნების უმრავლესობაში პრეზიდენტები იმავდროულად მმართველ პარტიებს ხელმძღვანელობენ. თავად ეს პარტიები ერთადერთია, ან გაბატონებულია ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს საშუალებას აძლევს პრეზიდენტებს თავისი მომხრეებით დააკომპლექტონ არა მარტო მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, არამედ პარლამენტიც. ზოგადად, ასეთი პარლამენტი არ ასრულებს არსებით როლს და არ გააჩნია რეალური საკანონმდებლო უფლებამოსილებები. იგი დაუცველია პრეზიდენტის თვითნებობისაგან, შეუძლია მისი დათხოვნაც და ამიტომ, უსიტყვოდ უჭერს მხარს პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილებას. სასამართლო ხელისუფლებაც დამოკიდებულია პრეზიდენტზე, რომელიც პირადად ნიშნავს მოსამართლეებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტობის ავტორიტარული და ტოტალიტარული ტიპიც კი, ვერ შევლის ამ ქვეყნებს თავი დააღწიონ სოციალურ აფეთქებებსა და სამოქალაქო ომებს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დაახლოებით 30 პრეზიდენტი დაამხეს სამხედრო გადატრიალებების შედეგად. თუმცა, ზოგიერთ აზიურ-აფრიკულ ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტმა შეიძინა მყარი ლეგიტიმური ხასიათი და გაუძლო დროის გამოცდას. ასეთი ქვეყნებია: ინდოეთი, ისრაელი, კვიპროსი, ტაივანი, სირია, ინდონეზია, ეგვიპტე, ტუნისი, სენეგალი, ტანზანია, ზამბია და ზოგიერთი სხვა.

80-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო არენაზე მომხდარმა ფუნდამენტურმა ცვლილებებმა სტიმული მისცა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემდგომ გარებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში (მათ შორის, საქართველოშიც) შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი.

საბჭოთა კავშირში პრეზიდენტის თანამდებობა 1990 წელს დაწესდა, ხოლო რუსეთში – 1991 წელს.

როგორ აღვნიშნეთ, პრეზიდენტობა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტია. ამავდროულად, თითოეული ქვეყანა თავად განსაზღვრავს, რა როლი უნდა შეასრულოს პრეზიდენტმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში საპრეზიდენტო ხელისუფლების ინსტიტუტს თავისი ისტორია აქვს. საბჭოთა საქართველოსათვის ასეთი ინსტიტუტი ორგანულად მიუღებელი იყო. საბჭოების სრულხელისუფლებიანობა, მათში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაერთიანება ვერ თავსდებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში პრეზიდენტის არსებობაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ სახელმწიფოებში კონსტიტუციური ინსტიტუტების ფორმირების დროს ხელისუფლების დანაწილების პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

1991 წლის 14 აპრილს, მიიღეს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებისა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზე, 18 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.“ ამ ფაქტით საქართველოს ისტორიაში პირველად დაფიქსირდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. იმავე წლის 26 მაისს აირჩიეს პირველი პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი იმავდროულად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენდა. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულიყო დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35-დან 65 წლამდე. ასაკობრივი შეზღუდვის გარდა, აუცილებელი იყო პირის საქართველოში მუდმივად ცხოვრება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. პრეზიდენტს ჰქონდა საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ტიპური კომპეტენციის ფარგლები. კერძოდ, იგი წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ხელმძღვანელობდა მმართველობის ორგანოთა სისტემას, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით, ქმნიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს და ცვლილებები შეჰქონდა მის შემადგენლობაში, ხელს აწერდა კანონებს, ჰქონდა შეყოვნებითი ვეტოს უფლება, ანუ უფლება ორი კვირის ვადაში დაებრუნებინა კანონი თავისი შენიშვნებით საქართველოს უზენაესი საბჭოსათვის ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის და ა.შ.

პრეზიდენტის მიერ მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ცვლიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თუ მასაც არ შეეძლო აღნიშნულის განხორციელება, ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტის უფლებამოსილება ეკისრებოდა პრემიერ-მინისტრს, რასაკვირველია, ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელიც უნდა ჩატარებულიყო არა უგვიანეს სამი თვისა.

1991 წლის ბოლოს, საკმაოდ გამწვავდა პოლიტიკური მდგომარეობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებშიც. 1991-92 წლების საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება მოჰყვა. 1992 წლის 6 იანვარს, შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელმაც დროებით მთავრობასთან ერთად იკისრა ქვეყნის ხელმძღვანელობა. 1992 წლის 21 თებერვალს, სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია 1921 წლის 21 თებერვლის

კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. იმავე წელს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია თავისი შინაარსით, იურიდიული თვალსაზრისით მეტნაკლებად სრულყოფილი იყო, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი გარეობის მოცემულ ეტაპზე არსებული სინამდვილისათვის უკვე შეუსაბამო ნორმატიულ აქტს წარმოადგენდა, რაც აშკარად გამომჟღავნდა აღნიშნულ პერიოდში. ფაქტობრივად, გაურკვეველი იყო სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ მის აღდგენას მისი რეალური განხორციელება არ მოჰყოლია. დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის რაც შეიძლება სწრაფად შექმნის აუცილებლობა.

ამასობაში სახელმწიფო საბჭომ თითქმის რვათვიანი მოღვაწეობის შემდეგ დანიშნა საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები. 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, ეს ორგანო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სახელწოდებით უნდა არჩეულიყო. 1992 წელს არჩეულ იქნა პარლამენტი, რომელმაც თავის პირველ სხდომაზე მიიღო „მცირე კონსტიტუციის“ სახელით ცნობილი კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. იგი კონსტიტუციური ხასიათის აქტი იყო, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხები. აღნიშნული კანონის თავისებურება იყო, რომ მასში პირველად ჰპოვა ასახვა 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადმა დებულებებმა და აგრეთვე, ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მექანიზმის ახალი სტრუქტურა.

დასახელებული კანონის მიღებასთან ერთად აღიარებული იყო საქართველოს ახალი კონსტიტუციის, როგორც შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სამართლებრივი მომსახურების ძირითადი აქტის მიღების აუცილებლობა.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღეს.

კონსტიტუციური რეფორმის განხორციელება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

1. კონსტიტუციური რეფორმა აუცილებელი წინაპირობა იყო იმ მიზნების განსახორციელებლად, რაც საქართველოს სუვერენული და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირდება. თუ ამ პროცესებს არ ახლავს დაცვის კონსტიტუციური გარანტიები, ეს პროცესები შეიძლება ადვილად შესუსტდეს ან საერთოდ დაირღვეს.
2. საქართველოში მყარად დამკვიდრდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების ჩვენთვის უცნობი სახეები. საზოგადოება გადავიდა წარმოების ახალ წესზე, რომლის საფუძველსაც სოციალისტური საერთო-სახალხო საკუთრების ნაცვლად კერძო საკუთრება წარმოადგენს. ცხოვრებამ განაპირობა სახელმწიფოს მექანიზმის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, ანუ დემოკრატიული ცენტრალიზმის ნაცვლად ხელისუფლების დანაწილების პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა და ა.შ.
3. დადგა ქვეყანაში სტაბილური კონსტიტუციის შექმნის დრო, რომლის მოქმედების ვადა ხანგრძლივი პერიოდით უნდა განისაზღვროს. კონსტიტუციის სტაბილურობა კი, თავის მხრივ, გამოხატავს მის დანიშნულებასა და ხასიათს.

ახალმა კონსტიტუციამ საქართველოში დაამკვიდრა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ქართულმა კონსტიტუციამ შექმნა საკმაოდ მყარი სამართლებრივი გარანტიები, რათა ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ დაეძლია მმართველობის მანკიერი სისტემა და სახელმწიფო ხელისუფლება ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელებინა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონსტიტუციურ დემოკრატიაზე გადასვლა რთული აღმოჩნდა. „ჯერ ერთი, ის დაიწყო გაცილებით გვიან, ვიდრე სხვა ქვეყნებში; მეორე, ის მიმდინარეობს მრავალეროვანი ქვეყნის პირობებში მკაფიოდ გამოხატული სეპარატისტული მისწრაფებების ფონზე; მესამე, იგი ვითარდება ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს ავტორიტარიზმის მყარი ისტორიული ტრადიციები. მთელი ამ პერიოდის მანძილზე კონსტიტუციური დემოკრატიის ამ პროცესს თან ახლდა პოლიტიკური კრიზისები თავისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმით, რომლის აპოგეა დადგა 2003 წლის მიწურულს“.⁴ ამას მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“ და ხელისუფლების შეცვლა. შემდგომ კი, 2004 წელს – „საკონსტიტუციო რეფორმა“, რომლის შედეგად საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გარდაიქმნა შერეულ, ანუ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ხოლო მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი. მთავრობა კოლეგიური ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე. ახალ მოდელში პრეზიდენტს უფლება მიეცა კრიზისულ სიტუაციებში გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტი, თავის მხრივ, უფლებამოსილია, აღძრას პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა და მთავრობის შემადგენლობას უნდობლობა გამოუცხადოს. პრეზიდენტი ასრულებს ერთგვარი არბიტრის როლს მთავრობასა და პარლამენტს შორის მწვავე პოლიტიკური კრიზისების დროს.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტს არა აქვს დიდი ხნის ისტორია, თუმცა წარმოშობის მომენტიდან იწვევს დისკუსიებს – სჭირდება თუ არა საქართველოს ეს ინსტიტუტი და რა სახით? აღნიშნულის შესახებ საზოგადოებაში ჯერ კიდევ, არ არსებობს ერთგვაროვანი აზრი. პრეზიდენტის ინსტიტუტს ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

ამ ინსტიტუტის მომხრეთა აზრით, რეფორმის პირობებში ქვეყანაში აუცილებელია ცენტრალიზებული ხელისუფლება. სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების „საპრეზიდენტო ვარიანტი“ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება. „ერთ ხელში“ თავმოყრილი ძლიერი ხელისუფლება საშუალებას იძლევა ვმართოთ და თავიდან ავიცილოთ პოლიტიკური კონფლიქტების წარმოქმნა. ის აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის უზრუნველსაყოფად.

მმართველობის არსებული ფორმის ნაკლოვანებები გამონვეულია საპრეზიდენტო ხელისუფლების რთულ პირობებში, არასასურველ სოციალურ ფონზე საქმიანობით.

ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ საპრეზიდენტო ხელისუფლება პირიქით, სხვადასხვა ხელისუფლებებს შორის, უპირველესად, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის მკვეთრი კონფლიქტების საშიშროებას ქმნის და შესაძლებელია, დიქტატურის საფრთხე წარმოშვას. ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი სისტემაა, სადაც პრეზიდენტი ფლობს ძლიერ ძალაუფლებას, რაც მას საშუალებას აძლევს გაატაროს რადიკალური რეფორმები, ხოლო პარლამენტი დაუსუსტებულია და ამიტომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არაა რეალიზებული. „კონტროლისა და განონანსორების“ სისტემა არაეფექტიანია. ხელისუფლების ბალანსი ირღვევა აღმასრულებელი, უფრო ზუსტად კი, საპრეზიდენტო ხელისუფლების სასარგებლოდ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეჭვს არ იწვევს, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს თავისებური სიმბოლო და გავლენიანი ფიგურა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ არ მოხდეს ხელისუფლების უზურპაცია, აუცილებელია ძირითად კანონში და სხვა სამართლებრივ ნორმებში მაქსიმალურად მკაფიოდ და სრულად განისაზღვროს პრეზიდენტის სტატუსი, უფლებამოსილებები და ამ უფლებამოსილების ფარგლები. კონსტიტუცია არ მიუთითებს პრეზიდენტის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე, თუმცა სასურველია, ასეთი კანონი არსებობდეს.

საჭიროა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა უფლებებისა და მოვალეობების დაზუსტება, რადგან ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელებისათვის საჭიროა არც ერთი ორგანო არ გასცდეს მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებს. აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლებით აღჭურვილი ყველა პირის მიმართ მათი ფუნქციებისა და მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის პირდაპირი პერსონალური პასუხისმგებლობის სისტემის დამკვიდრება, კერძოდ, ზუსტად უნდა განისაზღვროს სანქციები კანონით გათვალისწინებული მოვალეობებისა და ნორმების შეუსრულებლობისათვის.

არასწორია შეხედულება, თითქოს პრეზიდენტის ინსტიტუტი ავტორიტარიზმისაკენ მისწრაფებას წარმოშობს. პრეზიდენტის ინსტიტუტი ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. პრეზიდენტი წარმოადგენს არა ყოვლისშემძლე „ერის მამას“, არამედ სახელმწიფოს მეთაურს, წამყვან პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

თუ პრეზიდენტი ბოროტად არ გამოიყენებს თავის უფლებამოსილებებს, გულისყურით მოეკიდება სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებას, ყურს დაუგდებს კანონმდებელთა ხმას და საზოგადოებრივ აზრს, მაშინ საპრეზიდენტო ხელისუფლების გამოყენება მოხდება როგორც თავისი, ისე სხვა ქვეყნებისა და ხალხების საკეთილდღეოდ.

აქვე შევნიშნავთ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დემოკრატიულ ფუნქციონირებაზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურა. „სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მიისწრაფიან პოლიტიკური დემოკრატიის ფორმირებისაკენ, ხშირად ახდენენ თავიანთი ქმედების კონცენტრირებას სამთავრობო დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმალურ შევსებასა და კონსტიტუციის შექმნაზე. მათ აგრეთვე შეუძლიათ თავიანთი ძალისხმევის მობილიზება პოლიტიკური პარტიების შესაქმნელად, რომლებიც მონოდებულია მასების მონაწილეობის მობილიზებისათვის. მაგრამ სტაბილური და ეფექტიანი დემოკრატიული მმართველობის გარეგანი დამოკიდებულია რაღაც უფრო დიდზე, ვიდრე სამთავრობო სტრუქტურები და პოლიტიკური პროცესებია. იგი დამოკიდებულია პოლიტიკურ კულტურაზე. თუ ეს კულტურა უუნაროა მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ სისტემას, უკანასკნელის წარმატების შანსი მცირეა.“⁵

მხოლოდ მაშინ ამოქმედდება რეალურად აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებათა ურთიერთკონტროლის დემოკრატიული მექანიზმი, როცა მნიშვნელოვნად ამაღვრება პოლიტიკური კულტურის დონე და მასში დამკვიდრდება სამოქალაქო კულტურის ლიბერალური ღირებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Жидков О. А., История государства и права стран Латинской Америки, М., ун-т дружбы народов, 1967, с. 107-108;
2. Sachica L. C., Constitucionalismo colombiano, Bogota, 1974, p. 424;
3. Camargo P. P., Reeleccion Presidencial y reeleccion parlamentaria en America Latinayen, Mexico, 1965, p.40;
4. პ. ცნობილამე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ორ ტომად, ტომი I, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004, გვ. 145;
5. იხ.: Almond G., Verba S., The Civil Culture Princeton, 1963, s. 288.

Introduction of the President's Institute in Foreign Countries and in Georgia

LALI SHAISHMELASHVILI

Doctor of Law Full Professor, Tbilisi Technical University

The article discusses introduction of the President's institute in foreign countries and Georgia.

The analysis of the President's institute is one of the topical trends in the field of law. Nowadays, the urgency to study the institute is especially increased since the presidency is an integral part of the political system in around 150 countries. Depending on the specifics of each state and a variety of republican form of governance the status of the President and authorities in these states substantially differ. It is affected by many factors, including the peculiarities of historical development, geopolitical location, the social structure of the population, its ethnical composition, the level of political and legal culture, etc.

Historically the President's institute was developed in the USA. Latin American countries followed suit for the first time and by 1st half of 19th century many countries in the South America, having been influenced by their strong Northern neighbor, had introduced the position of President.

In Europe the position of President was first introduced in France and Switzerland in 1848. The model of the Presidential governance was widely spread in Africa. This process commenced at the end of 50s and in the beginning of 60s. By now almost all countries in Africa are headed by the President.

The President's institute in Georgia was first introduced in 1991 when the *Law on Introducing the President's Institute and in respect of this Making Changes and Amendments to the Constitution of the Republic of Georgia* was adopted. On May 26 of the same year the first President was elected.

The widely known events in December/January of 1991-92 led to terminating the authorities of the Supreme Council of the Republic of Georgia before its term and to abolishing the President's institute.

A new Constitution of Georgia was adopted on 24 August 1995. The new Constitution introduced the Presidential Republic.

Since 1995 to present the President's institute in Georgia has been modified to a certain extent, it has been further developed and has been adapted to the changing political processes. On 6 February 2004 the amendments were made to the Constitution. The amendments mainly related to the problem of distribution of power among the President, Parliament and the Government. Georgia has been transformed from the Presidential Republic into a mixed system, or the semi-presidential republic.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორისი სისტემა

მარიამ ჯიქია

სამართლის დოქტორი

შესავალი

1948 წელს, ბოგოტაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ამერიკის კონტინენტზე მდებარე ოცდაერთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდებას, რომელიც წარმოადგენს რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციას და დღესდღეობით ოცდათხუთმეტი წევრისგან შედგება.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მიზნებია:

- კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება;
- სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება და უთანხმოების თავიდან აცილება;
- აგრესიის შემთხვევაში – ერთობლივი მოქმედება;
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სხვა.

ორგანიზაცია თავისი ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ორგანოების მეშვეობით, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს გენერალური ასამბლეა და მუდმივი საბჭო.

გენერალური ასამბლეა უმაღლეს ორგანოა, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება და განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობას. ასამბლეაში თითოეულ წევრ სახელმწიფოს გააჩნია თითო ხმა.

მუდმივი საბჭო შედგება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. საბჭო ასამბლეის სხდომებს შორის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა და დავათა

გადაწყვეტისა და მშვიდობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებსაც ასრულებს. მუდმივ საბჭოსთან ასევე, შემქნილია სხვადასხვა დახმარე ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ მუდმივი საბჭოს ფუნქციონირებას. ზემოაღნიშნულ ორგანოების კომპეტენციას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორის სისტემას გააჩნია ორი სამართლებრივი წყარო: ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდება და ამერიკის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის შესწავლის საგანს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის კონვენცია და მისი დაცვის მექანიზმები

ადამიანის უფლებათა დაცვის პანამერიკული სისტემის სათავედ მიიჩნევა 1948 წლის აპრილში, კოლუმბიაში კერძოდ, ბოგოტაში მიღებული ამერიკის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ. 1959 წელს, ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია შეიქმნა. 1965 წლიდან კი, კომისიამ სხვადასხვა უფლებათა ხელყოფის შესახებ წარდგენილი შეტყობინებების განხილვა დაიწყო.

1969 წელს, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის ეგიდით მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს. დღესდღეობით, კონვენციას 25 წევრი სახელმწიფო ჰყავს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებია: არგენტინა, ბარბადოსი, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, კოსტარिका, დომინიკა, დომინიკელთა რესპუბლიკა, ეკვადორი, ელ სალვადორი, გრენადა, გვატემალა, ჰაიტი, ჰონდურასი, იამაიკა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, სურინამი, ტრინიდადი და ტობაგო, ურუგვაი და ვენესუელა.

ზემოაღნიშნულ კონვენციაში მოცემულია ისეთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, როგორცაა: სიცოცხლის, ჰუმანური მოპყრობის უფლება, პირადი თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სასამართლო შეცდომაზე კომპენსაციის მიღების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სინდისის, რწმენის, აზრის თავისუფლება, მოქალაქეობის უფლება და სხვ.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს, ასევე, უზრუნველყონ მათი განხორციელება. აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან არ დაარღვიონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, ხოლო ნეგატიური ვალდებულება – მიიღონ ყველა სათანადო ზომა რეალურ ცხოვრებაში მათ განსახორციელებლად.

კონვენციის 27-ე მუხლი სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას ომის, საზოგადოებრივი საფრთხის ან სხვა საგანგებო შემთხვევაში, დროებით თავი შეიკავონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან. ამასთან, აკრძალულია კონვენციით გარანტირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების ნაწილობრივი გაუქმება. აღნიშნული შეთანხმებებისაგან განსხვავებით, ამერიკის დეკლარაციაში მითითებულია, რომ უფლებების განხორციელების სასამართლო წესით დაცვა, რომლებიც ნაწილობრივ გაუქმებას არ ექვემდებარება და მათი შეჩერება შეუძლებელია.¹

კონვენცია ასევე, ითვალისწინებს ისეთი მექანიზმის შემქმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

ზემოაღნიშნული კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე, შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ორი ორგანო: ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია და პანამერიკული სასამართლო. კომისიის ადგილსამყოფელს წარმოადგენს ვაშინგტონი (აშშ), ხოლო სასამართლოს – სან-ხოსე (კოსტა-რიკა). სასამართლო შედგება 7 წევრისაგან, რომელთაც 6 წლის ვადით ირჩევენ.² დღესდღეობით, კომისიისა და სასამართლოს კომპეტენცია განისაზღვრება ადამიანის უფლებათა პანამერიკული კონვენციის შესაბამისად.

კომისიის კომპეტენციას წარმოადგენს:

1. ინდივიდუალური განაცხადების მიღება, ანალიზი და გამოძიება კონკრეტული უფლებების დარღვევის შესახებ;
2. წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის დაკვირვება და თითოეული წევრი ქვეყნის შესახებ წლიური ანგარიშის გამოქვეყნება;
3. წევრი სახელმწიფოებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში რეკომენდაციების გაცემა;
4. პანამერიკულ სასამართლოში სხვადასხვა საქმეების განსახილველად წარდგენა.

ზემოაღნიშნული ორგანოები განსახილველად იღებენ მხოლოდ იმ განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. განაცხადი მიუღებლად ჩაითვლება, თუ:

- არ არის ამონაშრომის უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები;
- ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებიდან სასამართლოში განაცხადის წარდგენამდე ექვს თვეზე მეტია გასული;
- საჩივარი ანონიმურია;
- იგი უკვე განხილულია ამ სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოს მიერ;
- შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან;
- აშკარად დაუსაბუთებელია ან საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებაა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან, პირველი ორის უგულებელყოფა დაშვებულია რამდენიმე შემთხვევაში, კერძოდ:

- სახელმწიფოში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები;
- სავარაუდო მსხვერპლს უარი ეთქვა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ დაცვაზე ან ადგილი ჰქონდა ამ ორგანოების საქმიანობაში ჩარევას;
- ადგილი ჰქონდა ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უკანონო გადავადებას.

კომისიის პროცედურის წესების თანახმად, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ ყველა შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი ამონაშრომის არ არის იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აცხადებს ამის შესახებ, ხოლო მომჩივანი ამბობს, რომ მათი გამოყენება შეუძლებელი იყო.³

განაცხადის განხილვის პროცესში კომისია ვალდებულია გადაამოწმოს ყველა არგუმენტი, ყველა მტკიცებულება და შეეცადოს მხარეებს შორის არსებული დავა მოაგვაროს მოლაპარაკების გზით. თუ მსგავსი შეთანხმება შედგა, კომისია ამზადებს სპეციალურ მოხსენებას, სადაც აღნიშნავს საქმესთან დაკავშირებულ ყველა ფაქტს და მისი მოგვარების საშუალებას.

იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დავის მოგვარებაზე, კომისია ამზადებს მოხსენებას ფაქტებზე დაყრდნობით და მხარეებს რეკომენდაციებს აძლევს და ავალებს ამ რეკომენდაციების შესრულებას. თუმცა, დასაშვებია, რომ კომისიამ ან რომელიმე მხარემ 3 თვის ვადაში საქმე განსახილველად გადასცეს სასამართლოს.

კომისიის უფლებამოსილებაში შედის მოსთხოვოს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნების გაკეთება. კომისია განაცხადების განხილვის გარდა, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლოს ფუნქციების შესრულების რეალიზაციის მხრივ. კომისიის ყოველწლიურ მოხსენებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი კომისიის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ამერიკის სახელმწიფოთაშორის სასამართლოსთან.

დღესდღეობით, კომისია განიხილავს 800-მდე ინდივიდუალურ განაცხადს, რომელიც ადამიანის უფლებათა ხელყოფას ეხება. წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ხელყოფაზე საუბრისას, კომისია ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციით, ხოლო თუ ეხება არაწევრ სახელმწიფოს – ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკის დეკლარაციით. კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენებების თანახმად, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში კომისიაში წარდგენილი იყო 8872 განაცხადი.

ინდივიდუალური განაცხადები ადამიანის უფლებათა პანამერიკულ სასამართლოში

ადამიანის უფლებათა პანამერიკული სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია მხოლოდ წევრ სახელმწიფოს ან კომისიას.⁴

1979 წლიდან, ადამიანის უფლებათა პანამერიკულ სასამართლოში განხილულ იქნა 337 საქმე, რომელთა უმრავლესობა ინდივიდუალური განაცხადი იყო. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

პანამერიკული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა შორისაა – Lopez Alvarez v. Honduras.⁵ 2003 წლის 7 ივლისს, ადამიანის უფლებათა პანამერიკულმა კომისიამ პანამერიკულ სასამართლოს წარუდგინა 2000 წლის 13 დეკემბერს მიღებული განაცხადი, რომლის თანახმადაც, ჰონდურასის სახელმწიფოს ბრალი ედებოდა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-5, მე-8, მე-13, 24-ე და 25-ე მუხლების ხელყოფაში. კონვენციის 62-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად, პანამერიკულ სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება განიხილოს ზემოაღნიშნული საქმე, ვინაიდან ჰონდურასი 1977 წლის 8 სექტემბრიდან წარმოადგენს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს.

ზემოაღნიშნული საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ჰონდურასის სახელმწიფომ ხელყო ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:

- პირადი თავისუფლების უფლება;⁶
- ადამიანური მოპყრობის უფლება;⁷
- მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება;⁸
- გამოხატვის თავისუფლება;⁹
- სასამართლო დაცვის უფლება;¹⁰
- თანასწორი დაცვის უფლება.¹¹

Barrios Altos v. Peru-s¹² საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ პერუს სახელმწიფოს მიერ დარღვეულ იქნა ვალდებულება, დაეცვა ამერიკის კონვენციის მე-4, მე-5, მე-8, მე-13 და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს სიცოცხლის უფლებას, ადამიანური მოპყრობის უფლებას, მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას, გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დაცვის უფლებას. წინა საქმის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს გააჩნდა უფლებამოსილება განეხილა საქმე, ვინაიდან პერუს სახელმწიფო 1978 წლის 28 ივლისიდან ამერიკის კონვენციის წევრი სახელმწიფოა.

Mack Chang v. Guatemala¹³ – 1996 წლის 5 მარტს, პანამერიკულმა კომისიამ სასამართლოს წარუდგინა 1990 წლის 17 სექტემბერს მიღებული განაცხადი. სასამართლომ დაადგინა, რომ გვატემალას სახელმწიფოს მიერ ხელყოფილ იქნა ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-4, მე-5, მე-8 და 25-ე მუხლები. 1978 წლის 25 მაისიდან გვატემალა კონვენციის წევრია.

Rochele Massacre v. Colombia¹⁴ – 2006 წლის 10 მარტს, პანამერიკულმა კომისიამ სასამართლოს განსახილველად წარუდგინა 1997 წლის 8 ოქტომბერს მიღებული განაცხადი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს უნდა დაედგინა, დაარღვია თუ არა კოლუმბიის სახელმწიფომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები: სიცოცხლის უფლება, მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება და სასამართლოს დაცვის უფლება. პანამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული უფლებები ხელყოფილ იქნა სახელმწიფოს მხრიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმეების მსგავსად, ყველა ინდივიდუალური განაცხადი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად განიხილება კომისიის მიერ, რომელიც ადგენს მის დასაშვებობას, ხოლო შემდგომ გადასცემს პანამერიკულ სასამართლოს განსახილველად.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორისი მექანიზმი ადამიანის უფლებათა დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი საერთაშორისო სისტემაა, რომელიც ჯერ კიდევ, სრულყოფილი არ არის და დახვეწას საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა ამერიკის სახელმწიფოთაშორისი მექანიზმის დასახვეწად საჭიროა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ყველა წევრი გახდეს ამ კონვენციის მონაწილე, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ სახელმწიფოების მიერ პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების აღებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

საჭიროა ზემოაღნიშნული მექანიზმის უფრო დახვეწა და ჩამოყალიბება, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, კომისიაში დაახლოებით 9000 განაცხადია შეტანილი, ხოლო დასრულებულია 400 საქმე. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს გარკვეული ვადები თითოეული საქმის განხილვისათვის, რათა მათი პროცედურები დროში არ გაიწეოს და გონივრულ ვადებში დასრულდეს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული სისტემის ფარგლებში მოქმედმა საერთაშორისო მექანიზმებმა, როგორცაა ადამიანის უფლებათა კომისია და ადამიანის უფლებათა სასამართლო, დიდი წვლილი შეიტანეს ადამიანის უფლებების დაცვასა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებაში.

შენიშვნები:

- ¹ გ. მიქანაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორისი სისტემა, გვ. 79.
- ² ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის 52-ე მუხლი.
- ³ გ. მიქანაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკის სახელმწიფოთაშორისი სისტემა, გვ. 80.
- ⁴ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის 61-ე მუხლი.
- ⁵ Lopez Alvarez v. Honduras, Judgment of February 1, 2006 (<http://www.corteidb.or.cr>).
- ⁶ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-7 მუხლი.
- ⁷ იქვე, მე-5 მუხლი.
- ⁸ იქვე, მე-8 მუხლი.
- ⁹ იქვე, მე-13 მუხლი.
- ¹⁰ იქვე, 25-ე მუხლი.
- ¹¹ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის 24-ე მუხლი.
- ¹² Barrios Altos v. Peru, Judgments of March 14, 2001, (<http://www.corteidb.or.cr>).
- ¹³ Myrna Mack Chang v. Guatemala, Judgment of November 25, 2003 (<http://www.corteidb.or.cr>).
- ¹⁴ Rochele Massacre v. Colombia, Judgment of May 11, 2007 (<http://www.corteidb.or.cr>).

Inter-American System of Human Rights Protection

MARIAM JIKLA

Doctor of Law

Organization of American States (OAS) was established in 1948 at the International Conference held in Bogota, Columbia. At this conference 21 states signed the charter of OAS. Today there are 35 members of above mentioned organization.

Protection of human rights is among the many important functions set out in the Charter.

The Inter-American system of Human Rights protection is one of the most important international systems in this field, though it still needs to be improved.

The sources of Inter-American System of Human Rights are: Charter of OAS and Declaration of human rights, which was also adopted in 1948.

In 1969 under the guidance of OAS American Convention of Human Rights was adopted, which entered into force in 1978. The above mentioned convention covers civil and political rights, such as:

For the protection of American Convention of human rights Inter-American System of Human Rights was introduced, particularly Human Rights Commission and Inter-American Court of Human Rights was established.

The jurisdiction of above refereed bodies is to monitor the protection of human rights by the member states that have both positive and negative obligations.

For improvement of Inter-American System of Human Rights all members of OAS should sign Inter-American Convention of Human Rights, which sets out the positive and negative obligations of member states on protection of human rights.

According to the statistical data 900 applications have been submitted to the Commission, but only 400 were closed. It means that the process of examination of one application takes too much time. In this respect this the system should be improved, so that all applications should be examined within a reasonable timeframe.

Besides the above mentioned, Inter-American System of Human Rights has an important role in protecting the human rights in countries like Argentina, Columbia, Brazil, Bolivia, Peru, Paraguay, etc.

მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის გარდაქმნა და საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების საკითხები

შოთა დეისაძე

სამართლის დოქტორი

„პარლამენტარიზმი მარგალიტია, აი კიდეც ერთი სიტყვით გამდიდრებული ლექსიკონი“ – წერს ვიქტორ ჰიუგო წიგნში „პატარა ნაპოლეონი“. ამგვარად, აღნიშნული ტერმინის ლიტერატურაში გამოჩენა პირველად მოხდა და მაშინვე ორაზროვნება შეიძინა – კნინობითი და აღმატებითი. „მაშასადამე, განაგრძობს ვიქტორ ჰიუგო, პარლამენტარიზმი ნიშნავს მოქალაქეთა გარანტიებს, დისკუსიის, პრესის, ინდივიდუალურ თავისუფლებას, გადასახადებზე კონტროლს... უფლებას იცოდეთ, როგორ განკარგავენ თქვენს ფულს, კრედიტის სიმყარეს, რწმენის, კულტის აღსრულების თავისუფლებას... თითოეულის უსაფრთხოებას, ტირანიის საპირწონეს, ერის ღირსებას, სახალხო ინიციატივას, ცვლილებებს, სიცოცხლეს და ბევრ სხვა რამეს“.¹

ზოგიერთ სისტემაში მთავრობას პარლამენტი აყალიბებს და ზედამხედველობს კიდეც (გერმანია, იტალია). იგი პოლიტიკაშია ჩაბმული და ქვეყნის წარმართვის, ოფიციალურ პირთა არჩევა-დანიშნის საქმეშიც მონაწილეობს. სხვა სისტემებში კი, ეს ასე არ ხდება, ან სხვაგვარად ხორციელდება, მაგრამ ყველა პარლამენტის საერთო ნიშან-თვისებაა, რომ

ყველაზე მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს შეიმუშავებს და საკანონმდებლო ფუნქციას ასრულებს. უმრავლესი ქვეყნების კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ პარლამენტი კანონმდებლობის განხორციელებისათვისაა პასუხისმგებელი. ამასთან, ხშირად მიუთითებენ, რომ კანონი ვრცელდება ყველა სახელმწიფო ორგანოსა და მოქალაქეზე. არჩეული სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოსათვის საკანონმდებლო უფლების გადაცემა დემოკრატიის ძირეული თვისებაა, რადგან ამ გზით მოქალაქეები, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც თავად ქმნიან მოსახლეობისათვის მისაღებ კანონებს. საკანონმდებლო პროცესის კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, პარლამენტის ნამდვილ ფაქტობრივ სამართალშემოქმედებით უნარს პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

„პარლამენტის უფლება – მიიღოს კანონები, თავისთავად, თითქმის არ მიანიშნებს, თუ რამდენად განსაზღვრავს პარლამენტი კანონის შინაარსს. ერთი მხრივ, კანონმდებლობის თავისუფლებას შეიძლება კონსტიტუცია ზღუდავდეს, მაგრამ მეორე მხრივ, კონსტიტუცია შესაძლოა იმასაც ითხოვდეს, რომ ესა თუ ის საკითხი მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით გადაწყდეს“.²

პარლამენტარიზმი წარმომადგენლობით და დემოკრატიულ რეჟიმთან არის გაიგივებული. ამავე აზრისაა კელზენი, რომელიც პარლამენტარიზმს განსაზღვრავს, როგორც „სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული კოლეგიური ორგანო წარმართავს“.³

საერთოდ, პარლამენტარიზმი წარმოიშვა და იმპერიულად განვითარდა ინგლისური წარმომადგენლობითი რეჟიმის მოდელისაგან. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული ის უკვე სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუციაში არსებობდა, როგორც ინსტიტუტი. პარლამენტარიზმი წარმომადგენლობითი რეჟიმის და სამართლებრივი სახელმწიფოს ყველაზე განვითარებული ფორმაა, მაგრამ 1914 წლამდე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პარლამენტარიზმი არ იყო დემოკრატიული ხარისხის მატარებელი. იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ის მკვიდრდებოდა, არსებობდა დიდი ბრიტანეთის მსგავსი საარჩევნო ცენზი, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა. ასეთი ევოლუცია გავლენას ახდენდა პოლიტიკური პარტიების ბუნებაზე და მათ როლზე, რომელიც თანდათანობით ძლიერდებოდა და საბოლოოდ, „კონსტიტუცია პარლამენტს აყენებს კანონშემოქმედებითი ხელოვნების საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე – აძლევს, როგორც თავისუფალი მოქმედების საშუალებას, ისე უნებს გარკვეულ შეზღუდვებს“.⁴

„სწორედ კონსტიტუცია აწესრიგებს პარლამენტის სტატუსის ფუძემდებლურ პრინციპებს. იმავდროულად, პარლამენტს ხელენიფება დადგენილი პროცედურების დაცვით მოახდინოს უზენაესი კანონის ლეგიტიმაცია“.⁵

საერთოდ, დემოკრატიის პოლიტიკური მიზანია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატული იქნება კონსტიტუციაში არსებული დებულების შესაბამისად – „Lex est quod populus jubet constitui“, რაც ნიშნავს, რომ „კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებს“. ამასთან, პოლიტიკურ ცხოვრებაში აღნიშნული ფორმულის სრულად განხორციელებას ხელს უშლის სხვადასხვა მიზეზი. პირველ ყოვლისა, ერის პოლიტიკური და უფლებრივი მდგომარეობის შედარებით დაბალი საფეხური, მაგრამ თუ ხალხის პირდაპირი უფლება – კანონშემოქმედება გაძნელებულია, დემოკრატია გამოსავალს პოულობს და ხალხის თავისუფალ დამოუკიდებელ ნებას ახორციელებს მმართველობის საპარლამენტო და დემოკრატიული წარმომადგენლობის საშუალებით.

ზოგადად, კონსტიტუციები ერთმანეთისაგან განსხვავდება კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის წესით. ნათელია, რომ ნებისმიერი კონსტიტუცია, რომელიც შემუშავდა რომელიმე ისტორიულ მომენტში, განსაზღვრული იყო სწორედ იმ დროს ფუნქციონირებისთვის. ამასთან, ნათელია, რომ ასეთი პირობები დროთა განმავლობაში იცვლება, ისევე როგორც მოცემულ საზოგადოებაში იცვლება ძირითადი სოციალური ფასეულობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელი ხდება შემუშავდეს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პოლიტიკური კონცეფციის პროცესი. თუმცა ნათელია, რომ შეუძლებელია ყველასათვის მისაღები კონსტიტუციის შემუშავება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც აუცილებელ პროცედურას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ვიდრე ვისაუბრებთ საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და მისგან გამომწვეულ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, საჭიროა გავანალიზოთ მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები და როგორც ნ. სახაროვი აღნიშნავს, „1993 წლის დასაწყისისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი 183 ქვეყნიდან 130-ზე მეტს, სახელმწიფო მონყობის სისტემაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა გააჩნია“.6 მათ შორისაა, საქართველოც.

2004 წლის 6 თებერვლიდან, საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებათა მთავარი მიზანი იყო სახელისუფლებო შტოებს შორის უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის დაბრუნება ქართულ სამართლებრივ სივრცეში. ვინაიდან, ჩვენი კვლევის ობიექტი სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში ფართო უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე შეკავებისა და განონასწორების მექანიზმის დაცვით, ამ ინსტიტუტისათვის რეალური ადგილის დამკვიდრებაა, ვფიქრობთ, კარგი იქნება მოხდეს სახელმწიფო მეთაურისა და პრემიერ-მინისტრს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ჩვენი აზრით, აღნიშნული არ მოხერხდება იმ რიგი ნაკლოვანებების გამო, რომელიც ახასიათებს მმართველობის ამ მოდელს, თუ არ შეიცვალა აღნიშნული მმართველობის მოდელი საპარლამენტო სისტემის მოდელით. მოკლედ განვიხილოთ, მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელის სრულყოფისათვის ხელშემშლელი ფაქტორები, რაც უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სახელმწიფო მეთაურის ფართო კომპეტენციის არსებობასთან, სადაც ქვეყანაში მოქმედ საპრეზიდენტო ინსტიტუტს გააჩნია ფართო კონსტიტუციური უფლებამოსილებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციით, მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი. ის განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობას, პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტთან კონსულტაციების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის სრული შემადგენლობის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტი შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით აყალიბებს მთავრობას. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის კონსულტაციები პარლამენტთან მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით ფორმალური ხასიათისაა. ვინაიდან თუ მთავრობა სარგებლობს პრეზიდენტის მხარდაჭერით – ის დამტკიცებულად ითვლება, რასაც თვითონ კონსტიტუცია ამყარებს. ამასთან, თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მოიპოვა პარლამენტის ნდობა და პრეზიდენტი არ არის თანახმა გადააყენოს მთავრობა, ამ შემთხვევაში კონსტიტუციის შესაბამისად, სა-

კითხი ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერის სასარგებლოდ გადაწყდება – ის დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს მის გავლენას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. ამ მექანიზმიდან გამომდინარე, პარლამენტი იძულებული ხდება დაემორჩილოს პრეზიდენტის ნებას – დაამტკიცოს ის მთავრობა და პრემიერ-მინისტრი, რომელიც შესაძლებელია საპარლამენტო უმრავლესობისათვის მიუღებელი იყოს. ჩვენი აზრით, ეს მაგალითი ერთ-ერთი უარყოფითი დამახასიათებელი ფორმაა საქართველოში არსებული მოდელისათვის და ამ ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციაში რეფორმის განხორციელებით. კერძოდ, პრემიერ-მინისტრი თავად ჩამოაყალიბებს მთავრობას პარლამენტის ინტერესიდან გამომდინარე, ვინაიდან პრემიერ-მინისტრიც პარლამენტის უმრავლესობის ინტერესების წარმომადგენელი იქნება აღმასრულებელ ხელისუფლებაში და წინააღმდეგობები რიგი საკითხების გადაწყვეტისას, პარლამენტის მხრიდან თითქმის არ იარსებებს.

საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფუნქციების პრემიერ-მინისტრისათვის გადაცემის კონსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი გამოყენებით პრეზიდენტს შეუძლია გაზარდოს მისი და შესაბამისად, მთავრობის პასუხისმგებლობის მოცულობაც, რაც შესაძლოა უნდობლობის აქტით ან გაკიცხვის რეზოლუციით დამთავრდეს. აქ წინანდობლივია ბლონდელის შეფასება, რომელსაც ორმაგი ლიდერობის პირობებში წონასწორობის შენარჩუნება შესაძლებლად მიაჩნია, რადგან მისი აზრით, „ამ დროს პრეზიდენტს შეუძლია იმოქმედოს, როგორც პარტიული ინტერესებით შეუბოჭავმა არბიტრმა“.⁷

ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი დანიშნავს მისთვის მისაღებ პრემიერ-მინისტრს და მისი წარდგინებით მინისტრებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა პარლამენტის ნდობით უნდა სარგებლობდეს, მთავრობის ქმედითობისა და სტაბილურობისათვის პრეზიდენტი მთავრობის ფორმირების სტადიაზევე უნდა ითვალისწინებდეს პარლამენტის ნებას. ამის მიღწევა კი, შესაძლებელი იქნება საქართველოში საპარლამენტო მოდელის შემოღების შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელისუფლებო შტოების, ურთიერთდამოკიდებულების განხილვის, კვლევის შედეგებისა და მათთან ქართული პრაქტიკის შედარებითი ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კარგი იქნება საქართველოში კონსტიტუციით ახლებურად განისაზღვროს პრემიერ-მინისტრის, როგორც მთავრობის თავმჯდომარის რეალური მმართველობითი უფლებამოსილებანი. ამასთანავე, გაიზარდოს მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკის განმსაზღვრელი პარლამენტის წინაშე, მაგრამ ვიდრე პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის ფორმირებაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვისაუბრებთ, მოკლედ შევეხეთ პრეზიდენტსა და პარლამენტთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს.

პრეზიდენტი

საქართველოში მმართველობის საპარლამენტო მოდელის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პრეზიდენტი დარჩება სახელმწიფო მეთაურად და არა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელად. ამასთან, მართვა-გამგეობის ფორმიდან გამომდინარე, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფორმალური. ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, პრეზიდენტი სახელმწიფო მართვაში აქტიურ მონაწილეობას ვერ

მიიღებს, მან შეიძლება მხოლოდ მცირეოდენი გავლენა მოახდინოს სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაზე, ისიც მხოლოდ პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლება და პოლიტიკური ძალები შეუთანხმდებიან გამოვერ შეძლებენ სახელმწიფოს მართვას, ან არ ექნებათ ამის სურვილი. ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი საკუთარ თავზე აიღებს პოლიტიკური არბიტრის როლს და არ დაუშვებს სახელმწიფოში პოლიტიკური კრიზისის გამძაფრებას. კონსტიტუციით ასევე ახლებურად განისაზღვრება პრეზიდენტის არჩევის წესიც, კერძოდ, პრეზიდენტის არჩევა მოხდება საპარლამენტო კრების მიერ, სადაც შევლენ რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის წარმომადგენლები და კრების ძირითადი ფუნქცია მხოლოდ პრეზიდენტის არჩევა იქნება.

ჩვენი აზრით, საპარლამენტო კრების მოიწვევა სასურველია პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე ერთი თვის განმავლობაში, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, არა უგვიანეს 20 დღისა. საპარლამენტო კრებას უხელმძღვანელებს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც თავად განსაზღვრავს მისი მოწვევის დროსა და ადგილს. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5-7 წლამდე და პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელი იქნება სხვა თანამდებობებთან.

პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება. კონსტიტუციის შესაბამისად, ის დანიშნავს პრემიერ-მინისტრს და მისი წარდგინებით მინისტრებს, დანიშნავს კი, ის ითვალისწინებს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას და მათთან კონსულტაციების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მათი დანიშვნის თაობაზე. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილებათა შორის ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია პარლამენტის დათხოვნის უფლება და კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, აქაც შევა ცალკეული ცვლილება, სადაც პრეზიდენტს მიენიჭება უფლება, პალატების თავმჯდომარეებთან მოთათბირების შემდეგ დაითხოვოს ორივე პალატა ან ერთ-ერთი მათგანი. იგი მხოლოდ მაშინ მიმართავს ამ ზომას, როდესაც პარლამენტი ამოწურავს მოლაპარაკების ყველა შესაძლებლობას მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით.

შემოთავაზებული მოდელი ასევე ითვალისწინებს ერთ აუცილებელ გარემოებას. კერძოდ, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნებისმიერი სახის აქტი, მათ შორის, კანონის ძალის მქონე აქტები ხელმოწერილი უნდა იქნას პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრების მიერ, რომლებსაც შემდგომში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ აქტების შეუსრულებლობის გამო. იმ შემთხვევაში კი, თუ პრეზიდენტის მიერ გამოცემული აქტები ამ პროცედურას არ გაივლის, ისინი ბათილად გამოცხადდება.

პარლამენტი

ხელისუფლების შტოთა ტრიადაში საპარლამენტო დაწესებულებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნებათ. პარლამენტი – წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო და საკონტროლო ხასიათის გამო, საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ასპარეზზე იმყოფება. არჩევითობა და ხალხის მანდატი აძლევს მას კანონშემოქმედებისა და სხვა არსებითი ხასიათის ფუნქციების განხორციელების უფლებას, იგი მოქალაქეების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიზნებისა და ამოცანების განხორციელების რეალური გარანტია, ასევე, დემოკრატიული და ღირსეული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია.

სახელმწიფო განვითარების შესაბამისად, იხვეწება საპარლამენტო ცხოვრება, ახალი იდეებითა და გამოცდილებით. პოსტკომუნისტური სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებს დღემდე უფრო რთული ამოცანები გააჩნიათ, ვიდრე სტაბილური და მყარი პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნებს, სადაც პარლამენტარიზმის გამოცდილება დიდია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონშემოქმედება მუდმივი და განახლებადი პროცესია, რომელიც ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს. ასეთი ცვლილებები კი, გარდამავალი ტიპის ქვეყნებში უფრო მკვეთრი ფორმებით მიმდინარეობს, ამიტომ შეუძლებელია ხშირი კონსტიტუციური ცვლილებების თავიდან აცილება. მთავარია, მაღალ-ინტელექტუალური შრომის პროცესი ობიექტურად, ყურადღებით წარმართოს და მასში მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, ამა თუ იმ პოზიციის, როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე მხარეებმა.⁸

საპარლამენტო მოდელის შემოღებასთან დაკავშირებული აუცილებელი წინაპირობაა პარლამენტში ორი პალატის არსებობა. დღეს, ბიკამერალიზმი საქართველოსათვის აქტუალური და იმავდროულად, სადავო საკითხია. საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვა საქართველოს პარლამენტი უნდა შედგებოდეს თუ არა ორი პალატისაგან? ერთი კი, ცალსახაა ბიკამერალიზმსა (ორი პალატა) და მონოკამერალიზმს (ერთი პალატა) შორის არჩევანი პირველის სასარგებლოდ თავად საქართველოს კონსტიტუციამ გააკეთა, რომლითაც საქართველოში გათვალისწინებულია ორპალატიანი პარლამენტის შემოღების ვალდებულება. კერძოდ, კონსტიტუციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში შეიქმნება ორი პალატა რესპუბლიკის საბჭო და სენატი. იმავდროულად, ბიკამერალიზმის შემოღება საკმაოდ შორეულ პერსპექტივად შეიძლება გადაიქცეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციაში ჩანანერის მიუხედავად, ვერ კონტროლდება საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგად წარმოდგენას „შესაბამისი პირობების“ თაობაზე გვაძლევს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან“.

ჩვენი აზრით, ამ ნორმაში უპირველესად, წინა პლანზეა წამოწეული საქართველოში ტერიტორიული პრობლემის მოგვარების საკითხი, მათ შორის, ავტონომიურ რესპუბლიკებში არჩევნების რეალურად ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი შესაძლებლობა არჩევნების საყოველთაოდ აღიარებული ყველა დემოკრატიული პრინციპის დაცვით. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარება, არც თუ ისე შორეულ პერსპექტივას უნდა წარმოადგენდეს. ამჟამად კი, პრობლემა სახეზეა, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს ხელს არ შეუშლის პარლამენტში ორი პალატის შემოღების აუცილებლობას. პირველი ეტაპისათვის სენატი შესაძლებელია დაკომპლექტდეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებული არჩევნების საფუძველზე, სადაც არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ ავტონომიური ოლქიდან დროებით გადმოსახლებული და ტერიტორიული ერთეულიდან გადმოსახლებული პირები და მათი წარმომადგენლები მიიღებენ. აღნიშნული პრობლემის სრულად მოგვარებამდე, პრობლემის სრულად ამოწურვის შემთხვევაში, შესაბამისი პირობების დადგომისას კი, ჩატარდება განმეორებითი არჩევნები უკვე აღნიშნული, დროებით ოკუპირებული ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და ასევე, ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზეც, ამით პრობლემა აღმოფხვრილად ჩაითვლება.

ამ ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში კი, ბიკამერალიზმის მთავარი დანიშნულება იქნება საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთელი მოსახლეობა მაქსიმალურად იქნას წარმოდგენილი. დღეს აღარავინ დავობს, რომ „ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხერხემალი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან ერთად, არის სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი და გამომდინარე აქედან, საკანონმდებლო ხელისუფლებაც მიეკუთვნება ხალხს, რომელიც მას ასევე თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით განახორციელებს“.⁹

ბიკამერალიზმს, ფედერალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ბიკამერალიზმი დამახასიათებელია ფედერალიზმისათვის და უნიტარული სახელმწიფოსათვის არ გამოდგება. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მცდარია, ვინაიდან უნიტარული სახელმწიფოების 26%-ში, მათ შორის, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში დღემდე მოქმედებს ორპალატიანი საპარლამენტო სისტემა და ამ მიმართულებით არანაირ პრობლემას ადგილი არა აქვს.¹⁰

ამრიგად, როცა პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, ისინი როგორც წესი, ყალიბდებიან განსხვავებულად და სხვადასხვა კომპეტენციები გააჩნიათ. ისტორიულად, ქვედა პალატა ტრადიციულად უფრო დემოკრატიულად ითვლებოდა და მეტი პასუხისმგებლობით მუშაობს, ვინაიდან მას ყოველთვის უპირისპირდებოდა და აკონტროლებდა ზედა პალატა. ზოგადად, ორპალატიანი სისტემა თანამედროვე პირობებში არსებობს როგორც ფედერაციულ, ისე უნიტარულ სახელმწიფოებში. ორპალატიან სისტემას, ერთპალატიან სისტემასთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს, კერძოდ:

1. უფრო მეტად არის შესაძლებელი საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში.
2. ორპალატიანი სისტემა პოლიტიკურ ძალთა თანასწორობის შესაძლებლობაა.
3. ორპალატიანი სისტემა პარლამენტში რეგიონულ ინტერესთა წარმოდგენის ეფექტური საშუალებაა.

ორპალატიანი სისტემის არსებობისას აუცილებელია განისაზღვროს პალატების არჩევის წესი. კონსტიტუციის შესაბამისად, ქვედა პალატას ირჩევს უშუალოდ მოსახლეობა, ხოლო ზედა პალატა კი, უნდა ჩამოყალიბდეს ნაწილი პირდაპირი და ნაწილი არაპირდაპირი არჩევნების გზით. რაც შეეხება მათი უფლებამოსილების ვადას, ზედა პალატის უფლებამოსილების ვადა ქვედა პალატასთან შედარებით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს.

მთავრობა და პრემიერ-მინისტრი

საქართველოში კონსტიტუციური რეფორმის შემდგომ საპარლამენტო მოდელის დამკვიდრების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთავრობის ფორმირება განხორციელდეს შემდეგი პროცედურის დაცვით: მთავრობა შესაბამისად ჩამოყალიბდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ საკმაოდ რთული წესის დაცვით. საქართველოს პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდგომ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას და დანიშნავს მას, პრემიერ-მინისტრი კი თავის მხრივ, მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ შეარჩევს მინისტრების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს, ხოლო სახელმწიფო მეთაური კი, მხოლოდ ვალდებული იქნება დანიშნოს პრემიერ-მინისტრის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურები, რადგან ისინი მხარდაჭერილი და მოწონებული იქნებიან მათ დამტკიცებამდეც, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ.

რაც შეეხება მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე ის ცვლილებათა განხორციელების შემთხვევაში, სასურველია წარიმართოს ორი ფორმით, კერძოდ:

1. თუ უნდობლობის რეზოლუციის ინიციატივით გამოვა რესპუბლიკის საბჭო, რომელიც პალატის წევრთა არანაკლებ 50 ხელმოწერით დააყენებს საკითხს მთავრობის მიმართ უნდობლობის რეზოლუციის მიღების შესახებ, ხოლო საკითხს კენჭი ეყრება რეზოლუციის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში – უნდობლობის რეზოლუცია მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დეპუტატთა უმრავლესობა. რეზოლუციის მიუღებლობის შემთხვევაში, მისი პალატისათვის ხელმეორედ წარდგენის უფლება შესაძლებელი იქნება 6 თვის შემდგომ, რეზოლუციის მიღების შემთხვევაში კი, მთავრობა გადაყენებულად ჩაითვლება.
2. რაც შეეხება მთავრობის ნდობის საკითხის დაყენების მეორე ფორმას ის განხორციელდება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით რესპუბლიკის საბჭოს წინაშე სამთავრობო პროგრამისა ან ცალკეულ კანონპროექტთან მიმართებაში, როდესაც პრემიერ-მინისტრი რესპუბლიკის საბჭოს წინაშე თავად დასვამს საკითხს ნდობის აქტის მისაღებად, ხოლო რესპუბლიკის საბჭო ასეთ შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას ნდობის აქტის ან უნდობლობის რეზოლუციის მიღების თაობაზე. უნდობლობის რეზოლუციის მიღების შემთხვევაში, როგორც მთელ რიგ მაღალგანვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებშია დამკვიდრებული – ხელი უნდა მოაწეროს პალატის წევრთა 1\10 და მისი განხილვა წარმოებს ნდობის საკითხის დაყენებიდან 3 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა გადადგება ან პრემიერ-მინისტრი მოსთხოვს პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნას, ხოლო საკითხს დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტს პრეზიდენტი, რომელიც დამოუკიდებელია ყველანაირი ზეწოლისაგან, როგორც შეუბოჭავი არბიტრი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობა, როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად პასუხისმგებელი უნდა იყოს, მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს წინაშე და არა პრეზიდენტის, რაც კიდევ მეტად გააძლიერებს პარლამენტის როლს სახელმწიფო მექანიზმის ერთიან სისტემაში. მთავრობის კოლექტიურ პასუხისმგებლობაში გამოიხატება პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობა, რადგან მისი, როგორც მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში, ვალდებული იქნება გადადგეს მთელი მთავრობა. უნდობლობის აქტი კი, უნდა წარმოადგენდეს პრემიერ-მინისტრის გადაყენების რთულ პროცედურას, ვინაიდან მას კენჭი უნდა ეყაროს მისი შემცველის შესახებ წინადადებასთან ერთად, რის შესახებაც აუცილებელი მოთხოვნაა შედგეს ერთდროული რეზოლუცია.

მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო და საპარლამენტო რეჟიმების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახლებური ხედვა ჩამოვაცალიბოთ მთავრობასა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებთან დაკავშირებითაც. თავდაპირველად შევეხებით მთავრობის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებას, კერძოდ:

- მთავრობა უფლებამოსილი იქნება გამოსცეს საკანონმდებლო დეკრეტები გარკვეულ საკითხებზე, შემდგომ ის ფორმალურად გადაეცემა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც თავის მხრივ, ვალდებული იქნება მოახდინოს მისი პრომულგირება;
- მთავრობას საკანონმდებლო დეკრეტის გარდა, უფლება ექნება გამოსცეს დეკრეტ-კანონები, რომელსაც იმავე დღეს წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. დეკრეტი იურიდიულ ძალას დაკარგავს, თუ გამოქვეყნებიდან დაახლოებით 60 დღის განმავლობაში არ მოხდება მისი საკანონმდებლო წესით დამტკიცება;

- მთავრობას უფლება ექნება მოითხოვოს რესპუბლიკის საბჭოს დახურული სხდომის ჩატარება;
- მთავრობა ვალდებული იქნება რესპუბლიკის საბჭო ჩააყენოს მიმდინარე საქმიანობათა შესახებ საქმის კურსში;
- მთავრობა აღიჭურვება უფლებით, შეიტანოს პარლამენტში მის მიერ გადაუდებლად მიჩნეული კანონპროექტები, მათი ერთობლივი განხილვის მიზნით და ასევე, განახორციელოს სხვა უფლებამოსილებანიც.

პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებანი კი, ძირითადი კანონის მიხედვით უნდა წარმოადგენდეს შემდეგს:

- პრემიერ-მინისტრს კონსტიტუციის შესაბამისად, შეეძლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის ან მისი ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით;
- იშუამდგომლოს პრეზიდენტის წინაშე მინისტრთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ;
- არჩევს და ნიშნავს მის მოადგილეებს;
- ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას;
- ხელს აწერს მთავრობის ინიციატივით მომზადებულ აქტებს და გადასცემს მომზადებულ აქტებს პარლამენტს, შემდგომი დამტკიცებისათვის;
- წარმართავს მთავრობის სხდომებს;
- პრემიერ-მინისტრი ხელს აწერს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ დეკრეტს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

პარლამენტის პალატები, როგორც სახელმწიფო მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოები ჩვენი აზრით, მთავრობასთან მიმართებაში უნდა ფლობდეს კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო შემდეგ უფლებებს:

- პალატები მიიღებენ ინფორმაციას კვირაში ორჯერ მაინც მთავრობის წევრებისაგან შეკითხვების საფუძველზე;
- პალატები ცალკეული დეპუტატების მოთხოვნით, მიიღებენ პასუხს მთავრობის წევრების მიმართ დასმულ შეკითხვებზე ერთი კვირის ვადაში;
- პალატები აირჩევენ მთავრობის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს;
- მთავრობას უგზავნიან წერილობით შეკითხვებს ფრაქციის ან დეპუტატთა 5% მოთხოვნით;
- პალატები გააკონტროლებენ მთავრობის ფინანსურ რესურსებს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებით;
- გადააყენებენ მთავრობას უნდობლობის აქტის მიღების გზით.

ამრიგად, აღმასრულებელი ხელისუფლების ძალა წარმართავს სახელმწიფო საჭეს და ამოძრავებს მთელ მის მექანიზმს. სახელმწიფო მექანიზმის სისტემაში კონსტიტუციური რეფორმის განხორციელების შემდეგ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმმართველ ძალად მოგვევლინება პრემიერ-მინისტრი რეალური უფლებამოსილებებით, ხოლო პარლამენტის ინტერესის გათვალისწინებით, არჩეული მთავრობის წევრები კი, იქნებიან ნამდვილი გარანტი, რომ მთავრობას ერთიანი კურსი ექნება.

რეფორმის შემდეგ, რომლის აუცილებლობაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მთავრობა ორგანულად დაუკავშირდება საკანონმდებლო ხელისუფლებას, რაც უზრუნველყოფს მთავრობის

მოქმედებათა დაცვას ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან მთელი რიგი უთანხმოებისა და წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით. საპარლამენტო რეჟიმის უპირატესობაა, რომ მისი წევრთა საქმიანობა დამყარებული იქნება, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპზე.

პარლამენტარიზმის პირობებში, რა შემადგენლობისაც არ უნდა იქნეს მთავრობა, მაინც ცხადაა, რომ ამგვარი მმართველობითი ფორმა ხელს შეუწყობს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ზედმინწევნით შეესაბამებოდეს პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. დემოკრატიის პრინციპები მოითხოვს, რომ ხალხს უსმენდეს და ანგარიშს აბარებდეს ის ორგანოები, რომლებიც ხალხის ნებით შეიქმნა, რათა სახელმწიფო მექანიზმის ერთიან სისტემაში ყველა სახელმწიფო მოთავე იყოს პასუხისმგებელი არა მარტო იმ დანაშაულისათვის, რომელსაც კონსტიტუცია ითვალისწინებს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუკი ისინი გადაუხვევენ ან უღალატებენ ქვეყნის შენების სახელმწიფოს ჭეშმარიტ ნებას. საპარლამენტო სისტემა სწორედ რომ ხალხის ნებით განსაზღვრული და ჩამოყალიბებული დემოკრატიაა.

შენიშვნები:

- ¹ ფ. ლოვო, „პარლამენტარიზმი“, თბ., 2005 წ., გვ. 3;
- ² ა. შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“, თბ., 2003 წ., გვ. 191-192;
- ³ La demokratie, sa nature, sa valeur, Paris, reed Economica, 1998, გვ. 38;
- ⁴ რ. კნიაპესი, „საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის“, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 1998, I კვარტალი, გვ. 22;
- ⁵ ნ. ჭილაძე, „პარლამენტის საქმიანობის კონსტიტუციური საფუძვლები“, ჟურნალი „აღამიანი და კონსტიტუცია“, თბ., 1995 წ., გვ. 15;
- ⁶ Сахаров Е. Институт президентства в современном мире, М., Юр. лит., 1994 г., გვ. 3;
- ⁷ Blondel J. Leadership P. Ligphart A. Parliamentary versus Presidential government Oxford University Press, 1992, გვ. 55;
- ⁸ ნ. ჭილაძე, „პარლამენტის საქმიანობის კონსტიტუციური საფუძვლები“ ჟურნალი „აღამიანი და კონსტიტუცია“, № 1, 2005 წ., გვ. 14-15;
- ⁹ ქ. ერემაძე, „ბიკამერალიზმის პერსპექტივები საქართველოში“, ჟურნალი „აღამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2005 წ., გვ. 23-24;
- ¹⁰ Oliva E. Droit constitutionnel, 5-e edition, edition Palloz 2006, გვ. 23.

Transforming the Semi-Presidential System of Government and the Issues Related to Establishing the Parliamentary Republic

SHOTA DEISADZE

Doctor of Law

A necessary precondition for introducing a parliamentary model is existence of two chambers in the parliament. At present the bicameralism is an urgent, but at the same time, a disputable issue in Georgia. The community in Georgia frequently asks whether the Parliament of Georgia should consist of two chambers. It is straightforward that the Constitution of Georgia opted on the bicameralism (two chambers) rather than on the monocameralism having provided for introduction of the bicameral parliament in Georgia.

We think that the provision included in Article 4 of the Constitution of Georgia primarily emphasizes solving the territorial problem in Georgia including the legal and de facto possibility to hold elections in the autonomous republics in observance of all the generally accepted democratic principles. Though we believe that most likely this issue will be solved quite soon, it is clear that we encounter this problem at this point of time. Further, I believe that this will not hamper introduction of the bicameralism in the parliament since at the first stage the Senate may be composed of the senators elected in the elections conducted in the territories controlled by Georgia in which the persons temporarily dislocated from the autonomous district and the territorial entity and their representatives will participate. This will be the case till the above referred problem is completely solved. After fully solving the problem and creating relevant conditions the elections will be hold repeatedly this time in the territory of the temporarily occupied autonomous district as well as in the territory of the territorial entity. This will solve the problem.

In case of making these changes a main purpose of the bicameralism will be to maximally represent the whole population of the country in the legislative body which will be a necessary precondition leading to effective functioning of the state mechanism.

საქართველოს საჰაერო კანონმდებლობის თანამედროვე რეალიზაცია, პრობლემები და პერსპექტივები

დავით გეფერიძე

სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი

შსს სასაზღვრო პოლიციის იურიდიული განყოფილების უფროსი

დღესდღეობით, საქართველოს სახელმწიფო საავიაციო ხელი-სუფლებები – რეგიონული გარეებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი ძალისხმევას არ იშურებენ მმართველობითი, ეკონომიკური, იურიდიული, ფინანსური და სხვა პრობლემების გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია ავიასატრანსპორტო დარგთან. ერთ-ერთი პრობლემაა ქართული საჰაერო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხი. კანონმდებლობის დახვეწა სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი, მაგალითად: კანონში პერიოდულად, ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, ამგვარი მიდგომის წარუმატებლობის აღიარების, საჰაერო სამართლის მოქმედი კანონებისა და წესების ეფექტიანობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებისადმი მათი შესაბამისობის ობიექტური შეფასების შემდეგ, ფუნდამენტური რეფორმირებით. ამისათვის სასარგებლო იქნებოდა საჰაერო კანონმდებლობის მონიტორინგის ჩატარება. ასეთი სამუშაო დაეხმარებოდა ძველი სამართლებრივი კონსტრუქციებისა და წარმოდგენების აღმოფხვრას, გამართლებული მეთოდებისა და იმ სამართლებრივი მიდგომების შენარჩუნებას, რომლებიც არეგულირებენ საჰაერო სივრცის გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებისა-

მეზრ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დაინყოს საქართველოს საჰაერო კანონმდებლობის არა ფრაგმენტული, არამედ სისტემური რეფორმირება.

ამგვარი სამუშაოს ჩატარება არა მარტო საავიაციო ხელისუფლებების საზრუნავია, არამედ საჰაერო სამართლის მეცნიერებამაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სამართლებრივი საკითხების შემუშავებაში. დღესდღეობით, არ არსებობს საჰაერო ტრანსპორტის სამართლებრივი პრობლემების სექციები (მუშა ჯგუფების სხდომები), სადაც განიხილებოდა მოქმედ კანონმდებლობაში საჰაერო სივრცის გამოყენებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ხელმისაწვდომობის საკითხები.

სახელმწიფო ტერიტორიის თავზე არსებული საჰაერო სივრცე საერთაშორისო სამართლით აღიარებულია როგორც თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. ამის შესაბამისად, სუვერენული საჰაერო სივრცე ეკუთვნის სახელმწიფო ტერიტორიულ სუვერენს ისევე, როგორც მისი სახმელეთო ტერიტორია, რომელსაც ფლობს, განკარგავს და იყენებს თავის შეხედულებებისამებრ.

დადგა დრო განვიხილოთ საკითხი, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, რომელიც საკუთარი საჰაერო სივრცის მფლობელია, გონივრულად განკარგოს ეს სიმდიდრე და იყოს ამ საკუთრების პატრონი, რომელსაც შეუძლია დიდი სარგებლის მოტანა როგორც თავისთვის, ასევე მოსახლეობისათვის. სახელმწიფოს სატრანსპორტო კომუნიკაციების ინტენსიური გარების უზრუნველყოფა დაკავშირებულია არა მარტო გზებთან, არამედ ეროვნული სამოქალაქო ავიაციის აღორძინებასთან, რომელიც უზრუნველყოფს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ რეგიონული და ადგილობრივი მარშრუტების სრულყოფას. დღესდღეობით არსებობს ადგილობრივი საავიაციო გადაზიდვების სერიოზული მოთხოვნა პატარა ქალაქებსა და დასახლებებში. ადგილობრივი სამოქალაქო ავიაცია ასეთ მომსახურებას მოსახლეობას ვერ სთავაზობს. იგი უბრალოდ, არ არსებობს და ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

საკითხის განხილვისას, თუ საიდან უნდა მოვიძიოთ სახსრები ადგილობრივი საავიაციო ხაზების ასაღორძინებლად, ძირითადად, ყურადღება მიმართულია სახელმწიფოსაკენ. თუ იგი გაიღებს შესაბამის ხარჯებს, მაშინ რეგიონული და ადგილობრივი საჰაერო ხაზები საბოლოოდ აღორძინდება. გთავაზობთ ამ პრობლემის გადაწყვეტის ჩვენეულ ხედვას. მიგვაჩნია, რომ XXI საუკუნეში საკმარისი არ არის ვიყოთ სახელმწიფო საჰაერო სივრცის სრული და განუყოფელი მესაკუთრე. ბევრი სახელმწიფო არ ივინყებს თავისი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფდა, თავის საჰაერო სივრცეს სამენარმეო მიზნით ავითარებს. თუმცა, აუცილებელი არ არის შესუსტდეს საჰაერო საზღვრების თავდაცვითი საქმიანობა. ეროვნული საჰაერო სივრცე არა მარტო ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ავიაგადაზიდვებისათვის, არამედ ფართოდ უნდა გაიხსნას საერთო დანიშნულების, საქმიანი, სამოყვარულო, სპორტული და სხვა სახის ავიაციის ფრენებისათვის. სერიოზულად შეიცვალა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ხასიათი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საჰაერო მიმოსვლებს ფაქტობრივად სახელმწიფოები ინახავდნენ. დღესდღეობით ყველაფერი სხვაგვარადაა.

ზოგიერთმა სახელმწიფომ – აშშ-მა, კანადამ, ევროკავშირის ქვეყნებმა, ინდოეთმა, კამბოჯამ, ვიეტნამმა და ლაოსმა უარი თქვეს ტრადიციულ საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელების წესისა და პირობების შესახებ, რომლებიც ჩვეულებრივ, მიღებულია საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლების პრაქტიკაში. ლიბერალიზაციისა და „ღია ცის“ სანყისებზე მათ გახსნეს საერთაშორისო ავიაგადაზიდვების საკუთარი ეროვნული ბაზრები და ამით

ქვეყნებში და რეგიონებში საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლების ექსპლუატაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწიეს (სხვათა შორის, საქართველო შეუერთდა ამ პოლიტიკას)¹. საერთაშორისო ავიაგადაზიდვების ბაზრის რეგულირების ახალი მიდგომების დასამუშავებლად, ლიბერალიზაციისა და „ღია ცის“ პრინციპებზე ბევრი დრო დაიხარჯა. კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნები ევროპულ „ღია ცას“ თითქმის 30 წლის განმავლობაში ქმნიდნენ. „ღია ცის“ წყალობით, სახეზე გვაქვს გადაზიდვების ბუმი ევროპაში და მოგებული მგზავრები. წარმოქმნილი კონკურენციის გამო გაზრდილი გადაზიდვები და შესაბამისად, ავიაბილეთებიც უფრო გაიფხვრა. ევროპული ავიაკომპანიები კი, სხვა ავიაკომპანიებთან ერთად იმ ქვეყნებიდან, რომლებიც დაადგნენ ლიბერალიზაციისა და „ღია ცის“ გზას, ფაქტობრივად განსაზღვრავენ ეკონომიკურ სიტუაციას ავიაგადაზიდვების მსოფლიო ბაზარზე. ქართული ავიაგადაზიდვებები ამაში პრაქტიკულად მონაწილეობას არ იღებენ, ვინაიდან საქართველო სამწუხაროდ, განზე დგას მსოფლიო საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზაციის მსოფლიო პროცესისაგან, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში საქართველოს პარლამენტის მიერ „ღია ცის“ პოლიტიკა ოფიციალურად გამოცხადდა.

დღესდღეობით საჰაერო კოდექსში და საჰაერო სამართლის სხვა აქტებში აღნიშნულის შესახებ ასეთი რაკურსით საკითხი საერთოდ არ განიხილება. სხვა რამეზე მეტყველებს საჰაერო კანონმდებლობის გარეობის ისტორია. საბჭოთა პერიოდში კანონთა მთელი ძალა მიმართული იყო სახელმწიფოს განსაკუთრებული და განუყოფელი ძალაუფლების განმტკიცებაზე ყველაფერი იმის მიმართ, რაც ხდება საჰაერო სივრცეში და დაკავშირებულია მის საქმიანობასთან. ამის შედეგად შეიქმნა მმართველობის მძლავრი ადმინისტრაციულ-გუნდური სისტემა სხვადასხვა სახის ავიაციის საჰაერო სივრცის გამოყენების მეშვეობით. მაგრამ ის, რაც გამართლებული იყო საბჭოთა პერიოდში, შეუთავსებელია ახლანდელ პირობებთან, გადაზიდვების ავტოსატრანსპორტო ბაზრის მოთხოვნილებებთან, საჰაერო სივრცის სხვა მომხმარებელთა – საქმიანი (ბიზნეს-ავიაცია), საერთო დანიშნულების ავიაციის და სხვა ინტერესებთან.

ცოტაოდენ განსხვავდება საბჭოთა კანონმდებლობისაგან მოქმედი საჰაერო კანონმდებლობა. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული 1996 წლის საჰაერო კოდექსისა და მის განსავითარებლად მიღებული ნორმატიული აქტების მთელი პათოსი მიმართულია, რომ შეიზღუდოს საჰაერო სივრცის ყველა მომხმარებლის მოქმედება, იქნება ეს რეგულარული საჰაერო ტრანსპორტი, საერთო დანიშნულების, საქმიანი, სამოყვარულო, ექსპერიმენტული თუ სხვა ავიაცია. ასეთი კანონმდებლობით შეუძლებელია საავიაციო ბაზართან მიდგომა. სხვადასხვა სახის აკრძალვებითა და შეზღუდვებით კბილებამდე „აღჭურვილი“ სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა არ იძლევა საშუალებას, რომ სამოქალაქო ავიაციის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის, სპორტულ, საქმიან და სხვა მიზნებისათვის, მთელი ძალით წარიმართოს. კანონმდებლობის სამართლებრივი ორიენტაცია საჰაერო სივრცის დახურულობაზე აფერხებს საერთო დანიშნულების ავიაციის გარებას, აბრკოლებს კერძო საჰაერო ხომალდების პარკის შექმნას, ხელს უშლის საფრენი კლუბების მუშაობას. ყოველივე ეს ზღუდავს უზარმაზარ კაპიტალსა და რესურსს, აფერხებს ავიამრეწველობასა და ასეულობით საავიაციო სპეციალისტს სამსახურის გარშე ტოვებს. ამკარაა, რომ თუ საჰაერო სივრცის გამოყენებაში ჩვენ შემდეგმაც აკრძალვით-შემზღუდველ ხაზს გავაგრძელებთ, მაშინ საავიაციო საქმიანობის სფეროში გარანტირებული გვაქვს სტაგნაციის პროცესი. ამიტომ საჰაერო კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს ძირფესვიანი რეფორმა.

დღეს არც ეკონომიკურად, არც იურიდიულად ჩვენი საერთაშორისო ავიაგადაყვანა-გადაზიდვები არ შეესაბამება ავიაგადაზიდვების ლიბერალური ბაზრის პრინციპებს და შესაბამისად, იგი მსოფლიო ბაზრის პერიფერიაშია. ავიაგადაზიდვების არც შიდა ბაზარზე გვაქვს უკეთესი სიტუაცია. აღნიშნულის მთავარი მიზეზია, რომ საჰაერო კანონმდებლობა დღემდე არ არის საბაზრო. საჰაერო სამართლის სფეროში საკანონმდებლო სიტუაციის შესაცვლელად, საჭიროა ხელახლა გავიაზროთ სხვადასხვა სახის მომხმარებლის მიერ საჰაერო სივრცის გამოყენების რეგულირების არსებული გამოცდილება, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაგროვდა და ნოვაციების საფუძველზე შემუშავდეს და შეიქმნას ახალი საჰაერო კოდექსის პროექტი. იგი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზრის გარებას არა მარტო ვერ დააბრკოლებდა, რასაც წარმატებით აკეთებს 1996 საჰაერო კოდექსი, არამედ იქნებოდა საჰაერო სივრცის გამოყენების სფეროში საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი სტიმულატორი და რეგულატორი სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში სხვადასხვა სახის საფრენი საქმიანობის აქტივიზაციის მიზნით.

ლიბერალიზაციისა და „ღია ცის“ საწყისებზე საჰაერო ბაზრის ჩამოყალიბებისაკენ გადასვლის გამოცდილება საინტერესოა, ვინაიდან ამ პოლიტიკის მატარებელმა სახელმწიფოებმა იპოვეს სამეურნეო ბრუნვაში თავისი საჰაერო სივრცის მოზიდვის ახალი, არატრადიციული მიდგომები და ამისათვის განსაკუთრებული სამართლებრივი მექანიზმები შექმნეს. ამ დარგში საერთაშორისოსამართლებრივი გამოცდილება ეყრდნობა ეროვნულ გამოცდილებას, რომელიც თავის მხრივ, სამართლებრივი ნოვაციების წყალობით იყო შეძენილი სამოქალაქო ავიაციისა და საჰაერო ტრანსპორტის ყველა დაინტერესებული ექსპლუატანტის მიერ, გზა გაუკვალა სუვერენული საჰაერო სივრცის ფართო სამეურნეო გამოყენებას. საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილებით სახელმწიფო, რომელიც გამოდის საჰაერო სივრცის მესაკუთრის სახით, არ უნდა დაკმაყოფილდეს თავის საჰაერო სივრცეზე მხოლოდ უსაზღვრო და შეუზღუდავი ძალაუფლებით. სახელმწიფო უნდა იყოს ამ ბუნებრივი სიმდიდრის მოხერხებული პატრონი.

იურიდიული თვალსაზრისით, სახელმწიფო ფლობს და განკარგავს რა თავის საჰაერო სივრცეს, შეუძლია გააფართოოს თავისი სამეურნეო შესაძლებლობები მისი გამოყენების უფლების ხარჯზე, რომელიც წარმოქმნის სახელმწიფოს საკუთრების უფლების იურიდიულ ტრიადას სახელმწიფო ტერიტორიის ამ შემადგენელ ნაწილზე. სახელმწიფოს არ ეკარგება და არ ელახება თავისი საკუთრების უფლებები, სარგებლობის უფლებიდან გამომდინარე, მას შეუძლია განსაზღვრული დროით გასცეს იჯარით ან კონცესიით² საჰაერო სივრცით სარგებლობის ობიექტები პოტენციურ მოიჯარეებზე, კონცესიონერებზე. გასარკვევია, თუ ვინ მოისურვებს და რა შეიძლება იყოს გაცემული იჯარით სახელმწიფოს მიერ. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი საჰაერო მარშრუტები ან საჰაერო სივრცის გამოყენების სხვა ობიექტები.

საჰაერო მარშრუტებზე საიჯარო ურთიერთობების გავრცელებამ შეიძლება გაამარტივოს სახელმწიფოს მიერ შემოსავლების ახალი საშუალებების ძიება რეგიონული და ადგილობრივი საჰაერო მიმოსვლების აღდგენისათვის და აღორძინებისათვის. უფრო მეტიც, თუ სახელმწიფო ჩაატარებს თავისი სიმდიდრის ინვენტარიზაციას მისი სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით, მაშინ ნავსებით შესაძლებელია გამოვლინდეს სხვა საინტერესო საიჯარო ობიექტებიც. მაგალითად, ქვედა საჰაერო სივრცის ზოგიერთი ნაწილი, რომლის გამოყენება შეიძლება საერთო დანიშნულებისა და საქმიანი ავიაციის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საიჯარო ხელშეკრულების პირობებზე. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს ავიასატრანს-

პორტო ბაზარზე თავისებური საქონელი – საჭაერო მარშრუტები, საჭაერო ტრასები, საჭაერო ზონები აეროპორტების ირგვლივ და სხვა ობიექტები იჯარისათვის ან კონცესიისათვის. ამის შედეგად, საჭაერო სივრცე, როგორც სახელმწიფოს საჯარო სფერო, შეიძენს სამეურნეო ობიექტის სტატუსს, რომლის გამოყენებაზეც სახელმწიფო ისწავლის შემოსავლების ამოღებას რეგონული და ადგილობრივი საჭაერო ხაზების ღირსეული შენახვისათვის, მონყობის დაფინანსებისათვის და მათზე ფრენების საიმედო აეროსანაოსნო მომსახურებისათვის. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სფეროში საიჯარო ურთიერთობების შედეგად, იგი მიმზიდველი იქნება ინვესტიციებისათვის და შესაძლებელი გახდება სახელმწიფოებრივი კერძო პარტნიორობის გარეობა, რომელიც ამჟამად შეუძლებელია.

ისმის კითხვა: რას მივიღებთ სანაცვლოდ? როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობა? ფრენის დროის იჯარით გაცემა, იჯარის გამოყენების სხვა ვარიანტებს კავკასიის მაგისტრალების მიმართ შეუძლია იმ ხარჯების კომპენსირება, რომელიც გათვალისწინებულია ამ ტრასაზე ფრენების უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და უზრუნველსაყოფად. ჩვენი წარმოდგენით, საჭაერო სივრცის გამოყენების დღევანდელი მდგომარეობიდან გამოყვანა, როდესაც სახელმწიფოს მაინცდამაინც არ აინტერესებს თუ რა სარგებლის მოტანაა რეალურად შესაძლებელი, ხელი უნდა შეუწყოს საჭაერო სივრცეზე სახელმწიფო საკუთრების ამ ფორმის უფრო გულმოდგინე და ეფექტიან გამოყენებას. ამისათვის აუცილებელია საჭაერო კანონმდებლობის მიმართულების შეტრიალება ბაზრისაკენ და იჯარის სანყისებზე საჭაერო სივრცის საექსპლუატაციოდ გახსნა.

ბუნებრივია, ამისათვის საჭირო იქნება შესაბამისი ნორმატიული ბაზის დამუშავება და ეს უნდა დაევალოს იურისტებს – საჭაერო სამართლის სპეციალისტებს. დახვეწილი და გონივრული საავიაციო კანონმდებლობის შემუშავება შეიძლება ეკონომისტების, ფინანსისტების, საავიაციო მმართველების (ავიასანარმოების ხელმძღვანელების), საჭაერო მოძრაობის მართვის სამსახურის³ სპეციალისტებისა და სხვათა აქტიური მონაწილეობით. დასავლურმა ქვეყნებმა, სამეურნეო მიზნებისათვის საჭაერო სივრცის ნორმატიული ბაზის სრულყოფისას, მოიწვიეს უამრავი მეცნიერი, დახარჯეს ათეულობით მილიონი დოლარი, რაც გამართლებული დანახარჯია მათი დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ნათელია, რომ სახელმწიფო საჭაერო სივრცის ხელმისაწვდომობა სამეურნეო მიზნებისათვის სრულიად ანაზღაურებადია. საქართველოს საჭაერო კანონმდებლობის სრულყოფისას, ეს გარემოება გასათვალისწინებელია იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ტერიტორიის თავზე საჭაერო სივრცის გამოყენებასთან.

ქვეყნის მიერთების პროცესი ევროპულ პროგრამასთან „ღია ცა“ (OPEN SKY)

„ღია ცის“ პროგრამასთან საქართველოს მიერთებამ მსხვილ საერთაშორისო ავიაგადამზიდველებს საშუალება მისცა განახორციელონ საერთაშორისო საჭაერო გადაყვანა-გადამზიდველი ჩვენს ქვეყანაში. ეს ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო კონკურენტციის გაძლიერებისა და ტარიფების დანევის მანიშნებელი. თუმცა, პრაქტიკაში ასე არ ხდება. მომხმარებლისათვის ბრძოლაში ავიაგადამზიდველების შემდეგ ევროპული კლასიკური ავიაკომპანიები იძულებულნი გახდნენ დაენიათ ბილეთების ფასები ან დაეხვეწათ სერვისის ხარისხი (რაც საბოლოოდ, მგზავრებისთვის არის მომგებიანი), რაც ჯერჯერობით, არ ხორციელდება საქართველოს მიმართებაში.

„ღია ცა“ თავდაპირველად, ევროპულ ქვეყნებს შორის ფრენებისათვის ბარიერის მოხსნისათვის მოიაზრებოდა. 90-იან წლებში, ერთიანი საავიაციო სივრცის შექმნამ, ეროვნული ავიაგადამზიდველების დომინირებით, ევროპის კონტინენტის ქვეყნების საავიაციო ბაზარი ისეთ მაღალრეგულირებად დარგად აქცია, სადაც არ არსებობს ისეთი ბარიერი, როგორცაა შეზღუდვა ქვეყნებს შორის რეისების რაოდენობაზე, ტარიფების მკაცრი რეგულირება და სხვა.

სწორედ ამიტომ დღემდე ქვეყნის „ღია ცასთან“ მკვეთრად მიახლოება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული საქართველოს ავიაკომპანიათა პოზიციასთან, რომლებსაც ხელს არ აძლევთ კონკურენციის გაძლიერება.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ საჰაერო სივრცეში გარდაუვალია, მაგრამ „ღია ცის“ ევროპული რეალიზების ადაპტაციისათვის აუცილებელია 3-4-წლიანი დროის პერიოდი. ეს აუცილებელია, რომ შევეჩვიოთ ახალ ევროპულ ბაზარს, იმ პირობებს, სადაც ჩვენი კონკურენტები – როგორც ტრადიციული ევროპული ავიაგადამზიდველები, ასევე ავიადისკაუნტერები – უკვე მუშაობენ ათეული წლების განმავლობაში. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი პრინციპული პირობაა, რომ ევროკომისიის წინაშე ქართულმა მხარემ უნდა დაყენოს ევროპული ბაზრის ქართული ავიაკომპანიების ადეკვატური მისაწვდომობის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმის შემუშავების საკითხები, უცხოურ აეროპორტში სლოტების⁴ წარდგენისას ქართული ოპერატორების ინტერესთა გათვალისწინების ჩათვლით. ასეთი კონკრეტული და ქმედითი მექანიზმის გარეშე ევროპული მხარის მიერ დეკლარირებული „თანაბარუფლებიანი პარტნიორობის პრინციპი“ მხოლოდ მიმზიდველ ღოზუნგად დარჩება. „ცის“ გახსნამ და ავიაკომპანიათა დიდი რიცხვის მოსვლამ, ქართულ ბაზარზე ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო კონკურენციის გაძლიერებას და ტარიფების დაწევას, ასევე, მათ შორის, ქვეყნის რეგიონული აეროპორტების გარებას. დიდი ავიაგადამზიდველები ცდილობენ თავიანთი დანახარჯების შემცირებას, მათ ურჩევნიათ ფრენები განახორციელონ პროვინციულ აეროპორტებში. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ქართული რეალიზების გათვალისწინება. თუ ევროპაში პატარა ქალაქები უხდიან მსხვილ ავიაგადამზიდველებსაც კი, თავიანთ აეროპორტებში ფრენებისათვის ან მომსახურების შეღავათიან პირობებს წარადგენენ, ქართულ აეროპორტებში მგზავრთა მინიმალური ნაკადისას, ყველა მომსახურება მაქსიმალურად მონოპოლიზებულია და ძვირია.

ამჟამად, საქართველოში ავიაგადამზიდველებს პრაქტიკულად არა აქვთ არჩევანის საშუალება საავიაციო სანავის, საბორტო კვების ყიდვისას, მგზავრთა ტვირთის დამუშავების სააეროდრომო და სხვა მომსახურებისას, რაც აისახება აეროპორტის მომსახურების როგორც ხარისხზე, ასევე ფასზე, რომელიც ბოლო დროს, ავიაკომპანიების ხარჯების საკმაოდ მნიშვნელოვან ნილს შეადგენს.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 მარტის №211 განკარგულება, „საჰაერო მიმოსვლის ლიბერალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“.
- ² კონცესია – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებულ აეროპორტში ამ აეროპორტის მიერ, პირისთვის კონკრეტულ ადგილზე ხელშეკრულებით განსაზღვრული კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება.
- ³ იგულისხმება შპს „საქაერონავიგაცია“ (ღ-გ)
- ⁴ სლოტი – დრო, გამოყოფილი საერთაშორისო აეროპორტებში რეისისათვის, საჰაერო ხომალდის ჩამოსვლა/გამგზავრების ოპერაციის შესრულებისათვის განსაზღვრულ თარიღსა ან პერიოდში.



Current Day Realities, Problems and Perspectives of the Georgia Aviation Legislation

DAVID GEPERIDZE

Doctor of Law, Full Professor

Head of Legal Division, Border Police, Ministry of Internal Affairs

At present the state aviation authorities in Georgia are the Ministry of Regional Development and Infrastructure, the Joint Transportation Administration, and Civil Aviation Department, which make significant efforts to find solutions to management, economic, legal, financial, or other types of problems related to the aviation transport. One of the problems is a further development of the Georgian aviation laws.

The legislation may be further developed in different manners, for instance through periodically making changes and amendments to it, recognizing the failure of such an approach and after evaluating the effectiveness of current aviation laws and rules, their compliance with the demands of the community and the state, fundamentally reforming them. For this purpose it would be beneficial to carry out the aviation legislation monitoring.

გამარტივებული წარმოების ზოგადი დახასიათება

როპიზონ სურცილავა

*ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე,
სამართლის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

სასამართლო წესით, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით. სასამართლო დაცვის უფლება არის ყველა დანარჩენი უფლებათვის უფლებების განხორციელების აუცილებელი გარანტია, რომელთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებების ეფექტიან აღდგენას. ამასთან სასამართლოს დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ, აგრეთვე, სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება¹. უფლების სასამართლო წესით დაცვა ასევე უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხა-

დებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, საქმეთა განხილვა დაკავშირებული იყო რთულ პროცედურებთან, რაც აჭიანურებდა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, მის აღსრულებას. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც 1997 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული, უფრო თანაფარდობაშია არსებულ სამართლის რეალიებთან, რაც გულისხმობს, რომ ეფექტიანად უზრუნველყოფს საქმეთა დროულად განხილვას, საბოლოოდ კი, ეკონომიის პრინციპისა და მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი საპროცესო კანონმდებლობის შექმნა ორ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, პირველი, სამოქალაქო პროცესის ფარგლებში, თუ როგორ უნდა გავხადოთ სასამართლო დამოუკიდებელი, რათა სამართალწარმოება ხორციელდებოდეს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე და მეორე, როგორ გავამარტივოთ სამოქალაქო სამართლებრივი დავების განხილვის პროცედურა სამართლის სუბიექტების უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით². მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით, ახლებურად ჩამოყალიბდა სამოქალაქო წარმოების სახეები, კერძოდ, სასარჩელო და უდავო წარმოების გვერდით დამკვიდრდა გამარტივებული წარმოება.

გამარტივებული წარმოება, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, მაგრამ გამარტივებული წარმოების დროს საქმე განიხილება მარტივად, დაჩქარებულად, მჭიდრო ვადებში.

სიმარტივე უზრუნველყოფილია წარმოების აღძვრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე შესასრულებელი ვიწრო საპროცესო მოქმედებებით.

დაჩქარებულობა გულისხმობს გამარტივებულ წარმოებაში სასარჩელო წარმოებისათვის დამახასიათებელი საპროცესო მოქმედების არარსებობას.

მჭიდრო ვადები უზრუნველყოფილია გამარტივებული წარმოების წესით საქმეთა შემჭიდროვებულ ვადებში განხილვით.

განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

თუ რა კატეგორიის საქმეები უნდა განიხილებოდეს გამარტივებული წარმოებით და არა გამარტივებული წესით, გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მოსამართლის შეხედულებაზე არ არის დამოკიდებული. მოსამართლეს წარმოების სახის არჩევის დროს გააჩნია არა უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება, რომელიც მხარის მოთხოვნის საფუძველზე, საპროცესო კოდექსიდან გამომდინარეობს.

გამარტივებული წარმოება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით, რომლის თანახმადაც გამარტივებული წარმოებით განიხილება შემდეგი საქმეები: თამასუქი და ჩეკი; დავალიანების გადახდევინება; ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნება; აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ აღძრული მოთხოვნები.

საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანიაში გამარტივებული წარმოების წესით განიხილება მხოლოდ თამასუქისა და ჩეკის თაობაზე და დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნები.

გერმანიაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნებისა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე აღძრული საქმეების გამარტივებული წარმოების წესით განხილვას.

რუსეთის ფედერაციაში (რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლი) გამარტივებული წარმოებით სასამართლო ბრძანება გაიცემა, თუ მოთხოვნა ეფუძნება ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას; წერილობით ფორმაში შესრულებულ გარიგებას; ნოტარიუსის მიერ შესრულებული თამასუქის (ფასიანი ქაღალდის) გადაუხდელობას, უაქცეპტობით და აქცეპტის დაუთარილებლობით გამოწვეულ პროტესტს; განცხადებულია არასრულწლოვან ბავშვებზე ალიმენტის გადახდის მოთხოვნა, რომელიც არ უკავშირდება მამობის დადგენას, მამობის შეცილების ან სხვა დაინტერესებული პირების მოწვევის აუცილებლობას; მოქალაქეებისაგან საგადასახადოს, მოსაკრებელის და სხვა სავალდებულო გადასახადებში არსებული დანაკლისის გადახდევინებას; მოსამსახურეზე დარიცხული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის გადახდევინებას; შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მოპასუხის ან მოვალის, ან მოვალისაგან სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაცემული ბავშვის დაძვინასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდევინებას.

უკრაინაში (უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი) გამარტივებული წარმოებით გაიცემა სასამართლო ბრძანება, თუ შესრულებული წერილობითი ფორმით განცხადებული მოთხოვნა ეფუძნება მართლზომიერებას; განცხადებულია მოსამსახურეზე დარიცხული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის გადახდევინების მოთხოვნა; განცხადებულია მოთხოვნა მოპასუხის, მევალის, ბავშვის ან მევალის სატრანსპორტო საშუალებების დაძვინის ხარჯების კომპენსაციის შესახებ;

გარდა აღნიშნული ჩამონათვალისა, უკრაინაში სასამართლო ბრძანება შესაძლებელია გაიცეს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.

ყაზახეთში (ყაზახეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი) გამარტივებული წარმოებით სასამართლო ბრძანება გაიცემა, თუ მოთხოვნა ეფუძნება ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას; წერილობით გარიგებას და აღიარებულია მოპასუხის მიერ; ნოტარიუსის მიერ შესრულებული თამასუქის (ფასიანი ქაღალდის) გადაუხდელობით, უაქცეპტობით და აქცეპტის დაუთარილებლობით გამოწვეულ პროტესტს; განცხადებულია არასრულწლოვან ბავშვებზე ალიმენტის გადახდის მოთხოვნა, რომელიც არ უკავშირდება მამობის დადგენას ან მესამე პირების მოწვევის აუცილებლობას; განცხადებულია მოქალაქეებისაგან და იურიდიული პირებისაგან საგადასახადოს და სხვა სავალდებულო გადასახადებში არსებული დანაკლისის გადახდევინების მოთხოვნა; განცხადებულია მოსამსახურეზე დარიცხული, მაგრამ გაუცემელი ხელფასისა და სხვა გადასახადის გადახდევინების მოთხოვნა; შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ფინანსური პოლიციის მიერ მოპასუხის ან მევალის დაძვინასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდევინების მოთხოვნა; თუ ყაზახეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად განცხადებულია მოთხოვნა ლიზინგის საგნის უვადო გამოთხოვის შესახებ; თუ ლომბარდის მიერ მოვალეზე ან დამგირავებელზე განცხადებულია მოთხოვნა გირაოს საგნის გადახდევინების შესახებ.

ყირგიზეთში (ყირგიზეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლი) გამარტივებული წარმოებით სასამართლო ბრძანება გაიცემა, თუ მოთხოვნა ეფუძნება ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას; წერილობით ფორმაში შესრულებულ გარიგებას; ნოტარიუსის მიერ შესრულებული თამასუქის (ფასიანი ქაღალდის) გადაუხდელობით, უაქცეპტობით და აქცეპტის დაუთარილებლობით გამოწვეულ პროტესტს; განცხადებულია არასრულწლოვან ბავშვებზე ალიმენტის გადახდის მოთხოვნა, რომელიც არ უკავშირდება მამობის დადგენას, მამობის (დედობის) შეცი-

ლებას ან სხვა დაინტერესებული პირების მოწვევის აუცილებლობას; განცხადებულა მოქალაქეებისაგან საგადასახადოს, მოსაკრებელის და სხვა სავალდებულო გადასახადებში არსებული დანაკლისის გადახდევინების მოთხოვნა; განცხადებულა მოსამსახურეზე დარიცხული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის გადახდევინების მოთხოვნა; შინაგან საქმეთა ორგანოების ან საგადასახადო პოლიციის მიერ მოპასუხის ან მოვალის ან მოვალის ქონების, ასევე, მოვალისაგან სასამართლოს გადანყვეტილებით გადაცემული ბავშვის დაძვინასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდევინების განცხადებული მოთხოვნა.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გამარტივებული წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალი ქონებრივ ხასიათს ატარებს,³ ეს ჩამონათვალი ამომწურავია და მისი განვრცობა დაუშვებელია, მოსამართლის შეხედულებით, მხარეთა მოთხოვნით, საქმის სიმარტივით. თუმცა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი და მისი შევსება საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს. გარკვეული საქმეები, რომლებიც თავისი ხასიათით გამარტივებული წარმოების მსგავსად, სიმარტივით და ძირითადად, დოკუმენტალური წარმოებით ხასიათდებიან, შესაძლებელია განხილული იქნეს გამარტივებული წარმოების წესით. სამოქალაქო საპროცესო ფორმა საჭიროებს, რომ ლოგიკურ შესაბამისობაში იყოს ამჟამად არსებულ სამართლის რეალიებთან.⁴ ამდენად, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ შესაბამისი დამატება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ვინდიკაციური სარჩელი) და აღიმენტის სახით თანხის გადახდევინება.

მოცემულ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ვინდიკაციურ სარჩელზე.

ვინდიკაციური სარჩელის დროს მოსარჩელე მხარე ითხოვს მოპასუხისაგან კუთვნილი ქონების დაბრუნებას და მტკიცებულებად წარადგენს ქონების საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს. უძრავ ნივთებთან დაკავშირებით ასეთ უტყუარ მტკიცებულებას (დოკუმენტს) წარმოადგენს საჯარო რეესტრის ამონაწერი. სწორედ ამ უტყუარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება დარღვეული უფლების აღდგენა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა მოითხოვოს გამარტივებული წარმოების წესით, ხოლო სასამართლოს ვალდებულებაა, მხარის მოთხოვნის საფუძველზე ვინდიკაციურ სარჩელთან დაკავშირებით საქმე განიხილოს გამარტივებული წარმოების წესით.

ვინდიკაციური სარჩელის არსი საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან მომდინარეობს. მესაკუთრეს სსკ-ს 158-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 170-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფლება აქვს არ ფლობდეს ან არ სარგებლობდეს კუთვნილი ნივთით. ამდენად, მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის თავისუფალი ფლობისა და სარგებლობის უფლება, თუკი არ არსებობს სარგებლობის აუცილებელი სოციალური ინტერესი. ეს გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის, მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. აღნიშნულ ურთიერთობას აწესრიგებს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელ სამ ელემენტს შეიცავს: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (ნორმის აღწერილობითი ნაწილის ე.წ. ნეგატიური, უარყოფითი შემადგენელი ელემენტი).

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ამ სამივე წინაპირობის (ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ელემენტების) არსებობას დაადგენს, შეუძლია განანხოს სამართლებ-

რივი შედეგი: მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დაკისრება⁵.

რომის სამართლის მიხედვით, ვინდიკაციური სარჩელი შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დაამტკიცებდა, რომ იგი იყო სხვის მფლობელობაში არსებული ნივთის მესაკუთრე და აქედან გამომდინარე, მოითხოვდა მის უკან დაბრუნებას. ამასთან, ვინაიდან ნივთი მოსარგებლის იყო, მას ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი (ონუს პრობანდი), ხოლო მოპასუხე თავისუფლდებოდა მტკიცებისაგან, რადგან მის სასარგებლოდ მეტყველებდა თვით ნივთის ფლობის ფაქტი⁶.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლში 2006 წლის 8 დეკემბერს განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც, „თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა“.

აღნიშნული ცვლილება, გამარტივებული წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს საკითხის სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო ხელმყოფს არ გააჩნია რაიმე წერილობითი დოკუმენტი მართლზომიერ მფლობელობასთან ან სარგებლობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესაკუთრემ დარღვეული უფლების აღდგენა სასამართლოს წესით უნდა მოითხოვოს.

მიგვაჩნია, რომ ვინდიკაციური სარჩელის საერთო სასარჩელო წარმოების წესით განხილვა აჭიანურებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ როცა, აღნიშნულ საქმეზე შესაძლებელია გამარტივებული წარმოებით 10 დღის ვადაში გადაწყვეტილების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ ვინდიკაციურ სარჩელთან ერთად განიხილება სხვა სახის მოთხოვნები, მაგალითად, ხელშეკრულების ნამდვილობა ან ბათილად ცნობა და ა.შ. განხილული უნდა იქნეს საერთო წესების დაცვით (სასარჩელო წარმოება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გამარტივებულ წარმოებას უნდა დაემატოს დამოუკიდებელი თავი, რომელიც მოაწესრიგებს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის განხილვის სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ გამარტივებული წარმოების დროს მიღებული საპროცესო დოკუმენტი გაპროტესტებული იქნება მოპასუხე მხარის მიერ, გამარტივებული წარმოება უნდა გადაიზარდოს სასარჩელო წარმოებაში და მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს საერთო წესების დაცვით.

ისმის კითხვა, თუ რა სამართლებრივი სტატუსი უნდა ჰქონდეს მხარეებს. ჩვენი აზრით, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ აღძრულ საქმეებში მხარეებს უნდა ეწოდოს განმცხადებელი და მოპასუხე, რომელთა შორის უფლების შესახებ დავა სასამართლომ ბრძანების გამოცემით უნდა გადაწყვიტოს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირ არის გათვალისწინებული გამარტივებული წარმოებით განსახილველ საქმეთა კატეგორიები, მხოლოდ

აღნიშნული არ არის საკმარისი, რომ მოსამართლემ საქმეები განიხილოს გამარტივებული წარმოების წესით, რადგან მოცემული საქმეები სავსებით შესაძლებელია ასევე, განხილული იქნეს სასარჩელო წარმოებით. სწორედ სარჩელის (განცხადების) წარდგენის დროს უნდა გადაწყვიტოს მოსარჩელემ (განმცხადებელმა), თუ რა წესით არის მისთვის ხელსაყრელი დარღვეული უფლების აღდგენა, გამარტივებული თუ სასარჩელო წარმოების წესით.

საქმის გამარტივებული წარმოების წესით განხილვისათვის აუცილებელია სარჩელში (განცხადებაში) შესაბამისი მოთხოვნა მითითებული იყოს. ამდენად, მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალურსამართლებრივი დისპოზიციურობიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ მას აქვს უფლება აირჩიოს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმა (სასარჩელო ან გამარტივებული წარმოება), ვინც სასამართლოს მიმართავს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გაარკვიოს მონინალმდევე მხარის პოზიცია წარმოების რომელი სახით უნდა იქნეს განხილული საქმე.

მიუხედავად ამისა, პირი, რომლის წინააღმდეგაც არის წარდგენილი მოთხოვნა, გამარტივებულ წარმოებაში არ არის შეზღუდული, არ იღახება მისი უფლებები და შესაძლებლობა აქვს დაიცვას საკუთარი ინტერესები შესაგებლის (საჩივრის) წარდგენით. ამდენად, დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპი მთლიანად მოქმედებს გამარტივებული წარმოების დროს და იცავს ორივე მხარის ინტერესებს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობები რეალიზდება პროცესუალური მოქმედებათა გზით, ამიტომ განუყოფელ კავშირში არიან სუბიექტების მოქმედებასთან⁷, რომლებსაც პროცესუალური ნორმების გამოყენებით შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

გამარტივებულ წარმოებასთან დაკავშირებით დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ უნდა ვისაუბროთ ორი მიმართულებით:⁸

პირველი, სასამართლოსადმი საქმის გამარტივებულად განხილვის მოთხოვნით მიმართვა, მატერიალური გაგებით დისპოზიციურობის გამოვლენაა. ეს გამოიხატება დაინტერესებული პირის მიერ თავისი უფლების სასამართლო წესით დაცვის ფორმის არჩევაში, მისთვის უპირატესობის მინიჭებაში სხვა ფორმებთან შედარებით.

მეორე, სარჩელით (განცხადებით) მიმართვა საქმის გამარტივებულად განხილვის შესახებ, დისპოზიციურობის გამოვლენაა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით (უფლების დაცვის საპროცესო საშუალების განკარგვა, უფლების დაცვის საშუალებების არჩევა). ეს გამოიხატება სასარჩელო ან გამარტივებული წარმოების, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოში დავის გადაწყვეტის გზების არჩევაში. წარმოების არჩევას შეიძლება ვუწოდოთ დისპოზიციურობის გამოვლენა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით, ვინაიდან ასეთი არჩევა განსაზღვრავს პროცესუალური დაცვის ამა თუ იმ საშუალებებით შემდგომ სარგებლობას, რაც განსხვავებულია სასარჩელო და გამარტივებულ წარმოებაში⁹.

გამარტივებული წარმოებისას აშკარაა მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნების უდავობა, რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელის (განმცხადებლის) მოთხოვნები დასაბუთებულია სათანადო მტკიცებულებებით, დოკუმენტებით. კერძოდ, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე სათანადო მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა განმარტებები, მხოლოდ მხარეთა ახსნა განმარტებები დოკუმენტების (წერილობითი მტკიცებულებების) გარეშე არ არის საკმარისი თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების გამარტივებული წარმოებით განხილვისათვის. დავალიანების გადახდე-

ვინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვისას, მტკიცებულებას წარმოადგენს დამონმებული სახით არსებული დოკუმენტები, საიდანაც უტყუარად დასტურდება მოთხოვნის საფუძვლიანობა. სათანადო წესით დამონმების გარეშე წარმოდგენილი დოკუმენტი ფულადი დავალიანების გადახდევინების დროს მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის გამარტივებული წესით განხილვისას, მტკიცებულებას წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულება, ხოლო აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვისას, მტკიცებულებაა დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ, 95%-ის საკუთრება.

ინგლისისა¹² და გერმანიის საპროცესო სამართლის მსგავსად, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გამარტივებული წარმოება სასარჩელო და უდავო წარმოებისაგან განსხვავებით ძირითადად, დოკუმენტალური წარმოებაა. სწორედ დოკუმენტებით შეუძლია დაამტკიცოს პირმა სარჩელის (განცხადების) საფუძვლიანობა და არადოკუმენტალური მტკიცებულების გამოყენება გამარტივებულ წარმოებაში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ უნოდებენ იურიდიულ ლიტერატურაში გამარტივებულ წარმოებას „დოკუმენტალურ წარმოებას“¹¹, რაც გამარტივებული წარმოების არსიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანია. გარდა იმისა, რომ ინგლისის საპროცესო კანონი წერილობითი მტკიცებულებებზე დაყრდნობით ითვალისწინებს საქმის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე, გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, იმავდროულად მოსამართლეს აძლევს უფლებამოსილებას დაადგინოს საქმის ზეპირი განხილვა და მხარეებისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა. საქართველოში გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვის ფორმის არჩევა მოსამართლის შეხედულებაზე არ არის დამოკიდებული და ეს საპროცესო კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს წარმოების რამდენიმე სახეს, რომლებიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.

სასარჩელო წარმოების მსგავსად, გამარტივებული წარმოებისას ხდება უფლების სასამართლო წესით დაცვა¹², დარღვეული უფლებებისა და ინტერესების აღდგენა, როდესაც საქმეში სულ მცირე, ორი მხარე მონაწილეობს.

ძირითადად, უდავო წარმოების დროს არ არსებობს დავა უფლების თაობაზე¹³, რაც განასხვავებს მას გამარტივებული წარმოებისაგან, ვინაიდან არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და შესაბამისად, არ არსებობს მხარეთა შორის დავა დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ. უდავო წარმოებისას განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების, ასევე იმ გარემოებების დადგენის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ან უდავო უფლების დადასტურება¹⁴.

თუ საქმის უდავო წარმოების დროს აღიძვრება დავა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, სადაც მითითებული უნდა იყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი საერთო წესების დაცვით, რაც ნიშნავს, რომ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, სასამართლო ამონმებს მისი მიღების ყველა პირობას¹⁵.

უდავო წარმოების მიზანია უფლების დადგენა, ხოლო სასარჩელო წარმოების – დარღვეული უფლების აღდგენა¹⁶. მიგვაჩნია, რომ ერთადერთი კრიტერიუმი, რითაც შეიძლება გამარტივებული წარმოება განვასხვაოთ უდავო წარმოებისაგან არის უდავობა.

სამოქალაქო პროცესში გამარტივებული წარმოების შემოღება დიდი მონაპოვარია საპროცესო კანონმდებლობისათვის. იგი საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, ეფუძნება საქმეთა დროული განხილვის, პროცესის ეკონომიის პრინციპს და აღნიშნულის საფუძველზე, ეკონომიურად იყენებს საპროცესო საშუალებებს¹⁷. თავის მხრივ, გამარტივებული წარმოება, ძირითადად, დოკუმენტური წარმოებით გამოირჩევა და სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით ამ კატეგორიის საქმეების სწრაფად განხილვა უფრო უპრიანიც არის, რაც საბოლოოდ, სასამართლოებს განტვირთავს საქმეებისაგან. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ არა მარტო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება (გერმანია, საფრანგეთი, უკრაინა და ა. შ.), არამედ გამარტივებული წარმოების წესით განსახილველ საქმეთა მოძრაობის დინამიკა საქართველოს საერთო სასამართლოებში. კერძოდ, გამარტივებული წარმოების წესით პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2001 წელს განსახილველად წარდგენილი იქნა 4754 საქმე, 2002 წელს – 3768 საქმე, 2003 წელს – 2386 საქმე, 2004 წელს – 1912 საქმე, 2005 წელს – 1531 საქმე, 2006 წელს – 1517 საქმე, 2007 წელს – 1436 საქმე, ხოლო 2008 წელს – 1089 საქმე¹⁸.

თავის მხრივ, გამარტივებული წარმოება უზიდავს მხარეებს, მათ შორის, არსებულ მატერიალურ სამართალურთიერთობებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ, რადგან გამარტივებული წარმოებით გახდეს შესაძლებელი მათი დარღვეული უფლებების დროული აღდგენა.

მართალია, სასარჩელო წარმოება გამარტივებული წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს მატერიალური სამართალურთიერთობისას დარღვეული უფლებების აღდგენას, მაგრამ იგი გამარტივებული წარმოებისაგან განსხვავებით შედარებით რთული პროცედურებით ხასიათდება. კერძოდ, საქმის მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების მიზნით მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ასლების გადაგზავნა, მისთვის შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარმოდგენისათვის ვადის განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში, მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა და ა.შ. რასაც ვერ ვიტყვით გამარტივებულ წარმოებაზე, რომლის მიზანია უფლებების რეალური დაცვის დაჩქარება და საპროცესო ეკონომია.

გამარტივებული წარმოების გვერდით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ შემთხვევებში, საქმის გამარტივებულად განხილვას, რაც არ უნდა იქნეს გაიგივებული გამარტივებულ წარმოებასთან, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე, თუ მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობება მხარეებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამ შემთხვევაში. სასამართლო გამარტივებულად იღებს გადაწყვეტილებას საქმის შეწყვეტის ან სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და არ არის საჭირო დამატებითი საპროცესო მოქმედებების ჩატარება,

კერძოდ, მთავარი სხდომის დანიშვნა, მთავარ სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა და ა.შ.

სამოქალაქო პროცესის გამარტივებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ასევე, საქმეთა განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც გარკვეულწილად, სიმარტივით გამოირჩევა და მიზნად ისახავს პროცესის გამარტივებას, თუმცა, არსებითად განსხვავდება გამარტივებული წარმოებისაგან. კერძოდ, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისათვის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში აუცილებელია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოთხოვნა, რასაც ვერ ვიტყვით გამარტივებულ წარმოებაზე და ა.შ.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის გამარტივებას ემსახურება ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როცა გადაწყვეტილების მიღება სიმარტივით გამოირჩევა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების მსგავსად, წარმოადგენს საპროცესო აქტს, რომლითაც ხდება დავის არსებითად გადაწყვეტა. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის არყოფნისას დაუსწრებელი წარმოების წესით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგია¹⁹.

შედარებით მარტივად განიხილება მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს; საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით. კერძოდ, საქმის არსებითი განხილვა იწყება სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე მოსამართლის მოხსენებით. საქმის მოხსენების შემდეგ, მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს დაუსვას კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენასა და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას. სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია კითხვა დაუსვას მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცებულებათა გამოქვეყნება არ არის სავალდებულო. საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაექრობით და რეპლიკით.

საქმის გამარტივებულად განხილვას ითვალისწინებს არა მარტო სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად (გამარტივებული სამართალწარმოება). რაც შეეხება დაჩქარებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ (დაჩქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება), თუ არსებობს მხარის მოთხოვნა. დაჩქარებული სამართალწარმოე-

ბისას, სასამართლო შედარებით სწრაფად იხილავს ადმინისტრაციულ საქმეს. დაჩქარებული წესით საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია: შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა; მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის; არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა; შეუმციროს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალს, აქ პროცესის გამარტივების ნიშნები იკვეთება 473-ე მუხლში, სადაც მოსამართლეს შეუძლია შეკვეცოს ან გააუქმოს სასამართლო გამოძიება, ე.ი. არ ჩაატაროს სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით, თუ განსაჯელმა სასამართლოს წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება იყო ნებაყოფლობითი, არ გამოუწვევია მხარეთა დავა და სასამართლოს ეჭვი. სასამართლო პროცესი გამარტივებულად მიმდინარეობს ასევე, თუ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო გამარტივდება საპროცესო კანონმდებლობა, მით უფრო ეფექტიანად მოხდება დარღვეული უფლების აღდგენა და მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, გამარტივებული წარმოებისას საქმის განხილვა დაჩქარებულად მიმდინარეობს. რაც განპირობებულია გამარტივებული წარმოებით განსახილველი საქმეების სიმარტივეთ. გამარტივებული წარმოების დროს გადანყვეტილება მიიღება შემჭიდროებულ ვადებში, არ ხდება საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად, ამ მიზნით მოპასუხისათვის სარჩელისა (განცხადების) და თანდართული მასალების ასლების გადაგზავნა და შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის წარმოსადგენად ვადის მიცემა და ა.შ. საპროცესო ვადა არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს მოქმედება. ვადების მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში უშუალოდ უკავშირდება სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოების (სამართალწარმოების) მიზნებსა და ამოცანებს. სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია არა მარტო იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს სარჩელით (განცხადებით), არამედ ამ უფლებების დროულად და გონივრულ ვადებში დაცვა²⁰.

გამარტივებული წარმოებისაგან განსხვავებით სასარჩელო წარმოებით საქმის განხილვა უფრო დიდ ვადებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა. ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადანყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უგვიანეს ხუთი თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს, ერთი თვისა.

მუხლში, რომელიც საქმის განხილვის ვადებს არეგულირებს, არსად არ არის მსჯელობა გამარტივებული წარმოებით განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით, ამდენად გამარტივებული წარმოების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული კატეგორიის საქმეები შემჭიდროებულ ვადებში

განიხილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.

გამარტივებულ წარმოებაში მხარეებს წარმოადგენენ ის პირები (სუბიექტი), რომელთა შორის სამართალურთიერთობისას წარმოშობილ დავას უფლების შესახებ გადაწყვეტავს სასამართლო. ე.ი. გამარტივებულ წარმოებაში გვაქვს დავა უფლების შესახებ. სწორად მიუთითებს გ.ა. ჩერე-მინი, რომ უფლების შესახებ დავა სხვა არაფერია, თუ არა უთანხმოება, უფლებებისა და მოვალეობების არსებობასთან დაკავშირებით ან სამართალურთიერთობის ან მისი შინაარსის არსებობის (არარსებობის) გამო მხარეთა შორის შეხედულებათა არათანხვედრის გარეგნული გამოვლენა და ამ არათანხვედრით გამოწვეული მათი ურთიერთსაინანაღმდეგო მოქმედება²¹.

გურვიჩის აზრით, უფლების შესახებ დავა განეკუთვნება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტს. მისი განმარტებით, დავის არსებობა, კერძოდ, გადაწყვეტოს იდავოს ან არ იდავოს, მხოლოდ საპროცესო სამართლის სფეროს წარმოადგენს²².

უფლების შესახებ დავას ა. კოჟუხარი განმარტავს, როგორც უფლებებთან და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ მხარეთა განსხვავებულ, ურთიერთსაინანაღმდეგო შეხედულებებსა და მოქმედებებს²³.

იარკოვის რედაქციით გამოცემულ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ბრძანებით წარმოებაში არ არის დავა უფლების შესახებ და მოდავე მხარეები. აქ შენარჩუნებულია მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა და მისი მონაწილეს იწოდება კრედიტორად და მოვალედ²⁴. ზაიცევიც, უფლების შესახებ დავას, მატერიალურსამართლებრივ ინსტიტუტს მიაკუთვნებს²⁵.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, იურისტთა ნაწილი უფლების შესახებ დავას მატერიალურსამართლებრივ, ხოლო ნაწილი პროცესუალურსამართლებრივ ინსტიტუტს მიაკუთვნებს.

ჩვენი აზრით, დავას არეგულირებს მატერიალურსამართლებრივი ნორმა, მაგრამ მხარემ, რომლის უფლებაც იქნა დარღვეული, შესაძლებელია, საერთოდ არ მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. უფლების აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, დავა მხარეებს შორის წარმოიშობა, რომელიც პროცესუალური ნორმებით რეგულირდება. ამდენად, ჩვენი აზრით, დავა უფლების შესახებ განეკუთვნება მხოლოდ პროცესუალურსამართლებრივ ინსტიტუტს.

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობისათვის აუცილებელია არა მარტო სუბიექტების არსებობა, ვის შორისაც მყარდება ეს ურთიერთობა, არამედ სათანადო ობიექტიც, რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა. ობიექტი, საერთოდ, ფილოსოფიური კატეგორიაა და გულისხმობს საგანს, რომელზედაც მიმართულია სუბიექტის მოქმედება²⁶.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებებს გადაწყვეტილებებად და განჩინებებად ჰყოფს. გადაწყვეტილების ფორმით პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს დადგენილება იმ შემთხვევაში, როცა საქმე არსებითად წყდება, ხოლო საქმე როცა არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინებით.

მოქმედი საპროცესო კოდექსით სასარჩელო და უდავო წარმოებასთან ერთად გათვალისწინებულია წარმოების კიდევ ერთი სახე. კერძოდ, გამარტივებული წარმოება პირველი ინსტანციის მიერ მიღებული დადგენილების ახალ ფორმას გვთავაზობს, ეს არის გადახდის ბრძანება და ბრძანება, რომლებითაც არსებითად მთავრდება საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

გადახდის ბრძანება მიიღება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების გამარტივებული წესით განხილვის დროს, რომელიც მოპასუხისათვის მისი ჩაბარებიდან 10 დღის

გასვლის შემდეგ შედის კანონიერ ძალაში, საბოლოო და ექვემდებარება აღსრულებას, ხოლო ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის გამარტივებული წესით განხილვისას მიიღება, რომელიც დაუყოვნებლივ ექვემდებარება აღსრულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ბრძანებისაგან განსხვავებით, გადახდის ბრძანება დაუყოვნებლივ არ შედის კანონიერ ძალაში და კანონმდებლობა ითვალისწინებს მის გასაჩივრებას, რისთვისაც რთული პროცედურის დაცვა არ არის საჭირო, კერძოდ, არ დგება სააპელაციო საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის სახით და არ გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი. გადახდის ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გადახდის ბრძანების გამცემ სასამართლოში შესაგებლის წარდგენით, ხოლო ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე მიღებულ ბრძანებაზე შესაგებლის წარდგენა ბრძანების მიმღებ სასამართლოში არ ხდება და მასზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მართალია, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წარმოების დროს მიიღება გადაწყვეტილება, მაგრამ გასაჩივრების თვალსაზრისით, იგი განსხვავდება სასარჩელო წარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილებისაგან. კერძოდ, თუ სასარჩელო წარმოების დროს მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია როგორც სააპელაციო, ხოლო შემდეგ საკასაციო საჩივრის შეტანა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება გამოტანიდან არა უგვიანეს 14 დღისა, საჩივრდება მხოლოდ სააპელაციო წესით, რაც ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და საკასაციო წესით მისი გასაჩივრება დაუშვებელია.

რაც შეეხება თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე დათქმით მიღებულ გადაწყვეტილებას, მოპასუხის უფლებების შენარჩუნებით საბოლოოდ ითვლება გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, მასზე შესაძლებელია მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენა, ხოლო დამატებითი წარმოების დროს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება გადაწყვეტილებისათვის დადგენილი საერთო წესები, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი გასაჩივრება სააპელაციო, ხოლო შემდეგ – საკასაციო წესით.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება (გერმანია, იტალია, ინგლისი, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია) გვიჩვენებს, რომ ზოგადად, ბრძანება შეიძლება იყოს როგორც უპირობო, ისე პირობითი. უპირობო ბრძანების დროს სასამართლო ბრძანება არ საჩივრდება, გააჩნია სააღსრულებო ფურცელის ძალა და შესაბამისად, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. უპირობო ბრძანებად ასევე, მიიჩნევა ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერა, რომელიც მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული. უპირობო ბრძანებისაგან განსხვავებით, პირობითი ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოპასუხე მხარის მიერ.

უნგრეთის კანონმდებლობით, ბრძანება წარმოადგენს სანქციას და მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქმის პირველი განხილვის დროს გამოიყენება.²⁷

უნგრეთში სამართალწარმოების დროს მიღებული ბრძანება თავისი შინაარსით არსებითად განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გადახდის ბრძანებისაგან. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამარტივებული წარმო-

ბისას მიღებული გადახდის ბრძანება არ არის სანქცია გამოუცხადებელი მხარის მიმართ. გამოუცხადებელი მხარის მიმართ სანქციის გამოყენებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკე თავი ითვალისწინებს, რომელიც ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილში საუბარია არასაპატიო მიზეზით სასამართლო პროცესზე მოსარჩელე მხარის გამოუცხადებლობის, ხოლო 230-ე მუხლის პირველი ნაწილით არასაპატიო მიზეზით მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლო შედეგებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ გადახდის ბრძანებას, ისევე, როგორც გამარტივებული წარმოებით მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებს არ გააჩნია სააღსრულებო დოკუმენტის ძალა. სიტყვა „ბრძანება“, ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით განსახილველ საქმეებზე პირობითად აღებული ტერმინია და მისი აღსრულებისათვის აუცილებელია კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცელის გაცემა.

გადახდის ბრძანება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლოში არ საჩივრდება. გადახდის ბრძანებით საქმის არსებითად გადაწყვეტა ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სააპელაციო საჩივარს, თუ გასაჩივრებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია გამარტივებული წარმოების სასარჩელო წარმოებაში გადაზრდის შემდეგ. ამ შემთხვევაში, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების მსგავსად, გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება გადაწყვეტილებებისათვის დადგენილი გასაჩივრების საერთო წესების დაცვით.

გადახდის ბრძანება, ასევე ბრძანება, გადაწყვეტილების და განჩინების მსგავსად, სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებათა ერთ-ერთ სახეა, სადაც ასახულია სასამართლოს დავალება მოპასუხის მიერ შესასრულებელი მოქმედების შესახებ.

მართალია, გამარტივებული წარმოების დროს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება გამარტივებული წესით, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ არ ხდება ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. გამარტივებული წარმოების დროს სასამართლო ამონმებს სარჩელის (განცხადების) აღძვრის სამართლებრივ საფუძვლებს, მის შინაარსს, რამდენად სრულყოფილად და კანონის მოთხოვნათა დაცვით არის იგი წარდგენილი სასამართლოში. ამონმებს აღძრული მოთხოვნის ხასიათს, ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტების მეშვეობით დასტურდება თუ არა მოთხოვნის საფუძვლიანობა.

გამარტივებული წარმოებით მიღებული გადახდის ბრძანების იურიდიული ბუნების დასადგენად მნიშვნელოვანია მტკიცებულებების საკითხის გარკვევა. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეებზე მტკიცებულებებზე გამოიყენება მხოლოდ უდავო დოკუმენტები, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ ვალდებულების არსებობა. დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მოვალის მიერ.

დოკუმენტზე ხელმოწერა არის საბუთის შინაარსის სისწორისა და სრულყოფილების საფუძველი, ვინაიდან პირი დოკუმენტს იმ შემთხვევაში აწერს ხელს, როდესაც მასში თავმოყრილია ყველა ძირითადი საკითხი და როდესაც იგი ეთანხმება ამ უკანასკნელის შინაარსს. თუმცა,

ყოველივე აღნიშნულის წინაპირობაა, რომ პირმა ხელმოწერა დასვას საბუთის ტექსტის ბოლოს და არა რომელიმე სხვა ადგილას. საბუთის სისწორისა და სრულყოფილების ვარაუდი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბუთი გარეგნულად არ არის დაზიანებული და ხელმოწერა ნამდვილ პირს ეკუთვნის.

გამარტივებული წარმოებისას აუცილებელია დოკუმენტების დამონმებული სახით წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ განმცხადებელს უარი უნდა უთხრას გამარტივებული წარმოებით საქმის აღძვრაზე. დამონმებული დოკუმენტების წარდგენას გამარტივებულ წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან სასამართლოს მიერ არ ხდება მხარეთა დაბარება და მათგან ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა. ამდენად, დოკუმენტის უტყუარობის გარკვევა დამონმების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს მიიღოს გადახდის ბრძანება, დოკუმენტების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა ნიშნავს დამონმებული და არა დადასტურებული დოკუმენტების წარდგენას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ გადახდის ბრძანება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, არის პირობითი ბრძანება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოვალის მიერ პროტესტის წარდგენის შემთხვევაში, დადგენილია მისი გაუქმების მარტივი პროცედურა, თუმცა მიგვაჩნია, რომ გადახდის ბრძანების გაუქმებისათვის აუცილებელი უნდა იყოს არა ზოგადად, შესაგებლის, არამედ დასაბუთებული შესაგებლის წარდგენა.

გადახდის ბრძანება, ისევე როგორც გადაწყვეტილება და განჩინება, სასამართლოს სპეციფიკური დადგენილების ცალკე სახეა და გამოიყენება მატერიალურ და საპროცესო ნორმათა რეალიზაციის შედეგად. გადახდის ბრძანების გამოცემისას მნიშვნელოვანია მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ვალის არსებობა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი უტყუარი დოკუმენტებით. გადახდის ბრძანების აღსრულება ხდება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

გამარტივებული წარმოების დროს მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს სამართალშეფარდების აქტს, რომლის გამოცემა ხორციელდება კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ სამოქალაქო საპროცესო ფარგლებში. გადაწყვეტილების გამოცემისას, მოსამართლე მოქმედებს სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს სახელით, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, როგორც სასარჩელო წესით სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტისას, ისე გამარტივებულ წარმოებაშიც, როცა სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, იგი იძენს შეუცვლელობის, სავალდებულოობის, უცილობის (უდავობის), განსაკუთრებულობის და პრეიუდიციულობის თვისებებს, რაც პრაქტიკულად, შემდეგ იურიდიულ შედეგებში გამოიხატება: გადაწყვეტილება არ შეიძლება გააუქმოს ან შეცვალოს არც გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ და არც ზემდგომმა სასამართლომ; დაუშვებელია ხელახალი გადაწყვეტილების გამოტანა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით; გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომლებზედაც ვრცელდება მისი კანონიერი ძალა.

კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან გადაწყვეტილება იძენს ისეთივე ძალას, როგორც სამართლის ის ნორმა, რომელიც ნორმატიულ აქტში არის დაფიქსირებული²⁸.

გამარტივებული წარმოების დროს მიღებულ ყველა სახის გადაწყვეტილებას გააჩნია გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, კერძოდ: გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს დადგენილების ერთ-ერთ სახეს; გადაწყვეტილებით არსებითად წყდება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა; გადაწყვეტილება გამოიცემა ერთპიროვნულად, მოსამართლის მიერ; გადაწყვეტილება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გამოტანილ აქტს, რომელშიც აისახება შესაბამისი ნება; გამარტივებული წარმოებით მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო პროცესში გამარტივებული წარმოების შემოღება უზრუნველყოფს არა მარტო მხარეთა დარღვეული უფლებების დროულად აღდგენას, არამედ ასევე, ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და საქმეებისაგან სასამართლოთა განტვირთვას.

შენიშვნები:

- ¹ მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2008 წელი, გვ. 36-37.
- ² შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ., 2006 წელი, წინათქმა.
- ³ Данилов Е.П., Гражданский процессуальный кодекс, Комментарий, М., 2001, стр. 353.
- ⁴ Т. А. Реформируемый гражданский процес, Вестник Саратовской государственной академии права, 1998, №1, стр. 39.
- ⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, www.Supremecourt.ge გვ. 58-59.
- ⁶ ნ. ძნელაძე, ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007 წლის №2, გვ. 82-83, სქოლიო 2.
- ⁷ Гражданское процессуальное право России, Учебник, М., 2002, стр. 99 (автор главы – Шакарян М.С.).
- ⁸ Черемин М. А., Приказное производство в Российском гражданском процессе, М., 2001 г., с. 76.
- ⁹ შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებანი, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003 წელი.
- ¹⁰ Алехина С. А., Давтян А. Г., и др. Гражданский процесс зарубежных стран, М., 2008, стр. 407.
- ¹¹ Аргунов В. Н., Судебный приказ, Приказное производство, Учебник гражданского процесса, под. ред. Треушникова М. К., М., 2001, стр. 334.
- ¹² Черемин М. А., Приказное производство в российском гражданском процессе, М., 2001, стр. 68.
- ¹³ ზ. ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბ., 1998 წელი, გვ 5.
- ¹⁴ დ. იმნაძე, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა, ჟურნალი „სამართალი“, 2001 წელი, №4, გვ. 24.
- ¹⁵ თ. ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-316-ე მუხლების კომენტარი, პრაქტიკული სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „სანი“, თბილისი, 2003 წელი, გვ. 37.
- ¹⁶ A. wach-Handbuch des deutschen Zivilprozessrechts. I bd. I. 1885 s. 47-53.
- ¹⁷ Давтян А.Б., Гражданское процессуальное право Германии, М., 2000, стр. 49.
- ¹⁸ მართლმსაჯულება საქართველოში, 2008 წლის სტატისტიკა.
- ¹⁹ Уткина И. В., Заочное решение в гражданском процессе, М., 2003, стр. 145.
- ²⁰ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005 წელი, გვ. 183-184.
- ²¹ Черемин М.А., Приказное производство в Российском гражданском процессе, М., 2001, стр. 65.
- ²² Гурвич М. А., Решение суда и ответственность обязанного лица, Калинин, 1977, стр. 51-52.
- ²³ Кожухар А. Н., Наличие спора на предъявление иска, Кишинев, 1970, стр. 19.
- ²⁴ ა. თაბაგარი, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2002 წელი.
- ²⁵ Заицев И. М., спор о праве как звено связи материального право с гражданским процессам, Калинин, 1977, стр. 44-45.
- ²⁶ ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001 წელი, გვ. 231.
- ²⁷ Гражданский процесс в социалистических странах-членов СЗВ, В., 3 Т., Под. ред. А. Добровольского и Л. Неваи, Т.1., М., 1977, стр. 266-267.
- ²⁸ მ. თოდუა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ჟურნალი „საქართველოს მოსამართლეები“, №3(5), 2005 წელი, გვ. 94.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 1997 წლის 13 ივნისი;
3. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. 1964 წლის 26 დეკემბერი;
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი;
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 1999 წლის 23 ივლისი;
6. ა. კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი. 2003 წელი;
7. მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი. 2008 წელი;
8. კ. კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბილისი. 2003 წელი;
9. თ. ლილუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი. 1992 წელი;
10. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. თბილისი 2001 წელი;
11. თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი. 2005 წელი;
12. თ. ლილუაშვილი. ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი. 2007 წელი;
13. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრანტი მოსამართლისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი. 2008 წელი;
14. შ. ქურდაძე. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. მეორე გამოცემა. თბილისი. 2006 წელი;
15. ზ. ძლიერიშვილი. უდავო წარმოება. თბილისი. 1998 წელი;
16. რ. ხურცილავა. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი სამოქალაქო პროცესში. თბილისი. 2008 წელი;
17. რ. ხურცილავა. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეების განსჯადობა გამარტივებული წარმოების დროს. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“. 2008 წელი. №3;
18. რ. ხურცილავა. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება გამარტივებული წარმოების დროს. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“. 2008 წელი. №4;
19. რ. ხურცილავა. გამარტივებული წარმოების ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. 2008 წელი. №3 (18);
20. რ. ხურცილავა. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე ბრძანების მიღება. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. 2009 წელი. №1 (20);
21. რ. ხურცილავა. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ წარმოების აღძვრა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. 2009 წელი. №2 (21);
22. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации. М. 2009;
23. Гражданский процессуальный кодекс Киргизской Республики. М. 2009;
24. Гражданский процессуальный кодекс Украины. <http://kievgrad.info/page/1/648>
25. Гражданский процессуальный кодекс Республики Казахстан http://www.minjust.kz/ru/art/гражданский_процессуальный_кодекс_республики_казахстан_0
26. Гражданский процессуальный кодекс Республики Беларусь; <http://pravo.levonevsky.org/kodeksby/gpk/20080620/glava31.htm>
27. Алехина С. А. Давтян А. Г. и др. Гражданский процесс зарубежных стран. М. 2008;
28. Аргунов В. Н. Судебный приказ. Приказное производство. Учебник гражданского процесса. под ред. Треушникова М. К. М. 2001;
29. Бернам У. Правовая система Соединенных Штатов Америки. М. 2007;
30. Власов А.А. Гражданское процессуальное право. Учебник. М., 2003;
31. Гражданское процессуальное право России. Авторский коллектив. под ред. М.С. Шакарян. Былина, 1996;
32. Гражданское процессуальное право. Учебник. М. 2003;

33. Гражданское процессуальное уложение Германии. Вводный закон к Гражданскому процессуальному уложению. М. 2006;
34. Гражданский процесс. под ред. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечота. М. 2004;
35. Гражданский процесс. под ред. М.К. Треушникова. М. 2003;
36. Гражданский кодекс Германии. В 2 т. пер. с. немецкого, СПб, 2004;
37. Гражданский процессуальный кодекс. Комментарий. Авторский коллектив. под ред. М.К. Треушникова. М. 1996;
38. Гражданский Процесс, третье изд. под. ред. В.В. Ярков. М. 2002;
39. Давтян А.Б. Гражданское процессуальное право Германии. М. 2000;
40. Данилов Е.П. Гражданский процессуальный кодекс. Комментарий. М. 2001;
41. Добровольский А. А. Некоторые вопросы исковой формы защиты права. Автореферат докт. диссерт. М. 1966;
42. Жилин Г.А. Бриков, В.В. Ганичева Е. С. и другие. Комментарий к Гражданскому процессуальному Кодексу Российской Федерации. М. 2008;
43. Крашенинников П. В. Манылов И.Е. Решетникова И.В. Рузакова.О.А. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации. Комментарий. Под. ред. Крашенинникова.М. 2006;
44. Лебедев М. Ю. Францифоров Ю. В. Балашов А. Н. Гражданский процесс М. 2008;
45. Лебедев М. Ю. Гражданский процесс. М. 2009;
46. Мурадян Э. М. Судебное право. М. 2007;
47. Туманова Л. В. Владимирова И. А. Владимирова С. А. Гражданское процессуальное право. Под. ред. Тумановой Л. В. М. 2009;
48. Чечота Д. М. Гражданский процесс. учебник. М. Проспект. 1998;
49. Zivilprozessordnung. <http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/zpo/gesamt.pdf>
50. Baumbach /Lauterbach/Albers/Hartmann. Zivilprozeßordnung. Band I Munchen 2000
51. Bauer/Grunsky. Zivilprozeßrecht. 8 Auflage. 1994;
52. Christoph Paulus. Zivilprozeßrecht. 1996;
53. Fritz. C. "Gesellschafts und Unternehmensformen" Linde Verlag, Wien 2000;
54. Grunsky. W. Zivilprozeßrecht. 2003;
55. Jauernig. O. Zivilprozeßrecht. Verlag C.H. Beck, 2003;
56. Larenz/Wolf. Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Auflage. Beck, Munchen, 2004;
57. Luke. W. Zivilprozeßrecht. Munchen. 1999.

General Characteristics of the Summary Proceedings

ROBIZON KHURTSILAVA

Assistant to the Judge, Khoni District Court

Professor, Akaki Tsereteli State University

According to the new procedural laws the legal procedure is carried out by applying the adversary and disposition principles. Further, the procedure for dispute settlement has been simplified which ultimately facilitates a speedy administration of justice and a timely restoration of violated rights. The Civil Procedure Code of Georgia, adopted on 14 November 1997, defines new types of civil procedure, specifically summary proceedings are introduced along with adversary and non-adversary proceedings. The summary proceedings substantially differ from the other types of proceedings. It is a novelty and thus it requires a theoretical study. The article includes the characteristics of the summary proceedings and its differences from the adversary and non-adversary proceedings. It also covers the issue of expanding the range of cases to which the summary proceedings may be applied through making changes to the Civil Procedure Code so that it will be possible to apply the summary proceedings to such claims which are mainly based only on written evidences, such as revendication of a thing from illegal possession.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება

ფრიდონ ბასილია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნება ვარაუდს, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებელმა მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოს მიმართოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

„უფლება – ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი ქცევის ზომა. ეს ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი.

სამოქალაქო უფლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია.“¹

დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი პირდაპირ გამომდინარეობს დისპოზიციურობის პრინციპიდან, რომლის მიხედვით, მხარეები საქმის წარმოებას სასამართლოში იწყებენ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. სარჩელი არის მოსარჩელის მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი.

მხარეები ხსნიან საქმის წარმოებას კანონის ნორმების მიხედვით, სარჩელისა და მოთხოვნის საფუძველზე. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებებს სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესახებ. მხარეებს შეუძლიათ, თუ კანონით სხვაგვარად არაა განსაზღვრული, დაასრულონ საქმის წარმოება მორიგებით. მათ შეუძლიათ განკარგონ უკვე გამოყენებული მოთხოვნა უარისა და აღიარების გზით.²

დისპოზიციურობის პრინციპი მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა მოსარჩელის უფლება – უარი თქვას მის მიერ აღძრულ სარჩელზე, მოპასუხის უფლება – საქმე დაამთავრონ სასამართლოში მორიგებით და ა.შ.³

„დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებაა, რამეთუ მხარეებმა თვითონვე აირჩიეს საკუთარი ნების ავტონომიის განკარგვის გზა. როდესაც საპროცესო სამართალი მოსარჩელეს აძლევს შესაძლებლობას ნებისმიერ დროს უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხემ ცნოს და აღიაროს სარჩელი, ან მხარეები მორიგდნენ, სასამართლო ვალდებულია მიიღოს მხარეთა მიერ პროცესის შედეგებისადმი შესაბამისი გადაწყვეტილება, რამეთუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების დროს მხარეთა გაბატონებული მდგომარეობა ძირითადი და წამყვანი იდეაა.“⁴

„შეჯიბრებითობის პრინციპის გაბატონებული მდგომარეობის დროს მოსამართლე არკვევს არა საქმის ქეშმარიტ მასალებს, არამედ ყურადღებას აქცევს მხოლოდ ფაქტობრივ სიტუაციას – დაუსწრებლობას.“⁵

„დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე მხარის დაუსწრებლობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის დროსაც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არავითარი ყურადღება არ ექცევა და ის მხარე, რომელმაც არ გამოიყენა შესაძლებლობა თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები განეკარგა, საკუთარი პრეტენზია თვითონვე გადაწყვიტა.“⁶

სწორედ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს ვარაუდი, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებელმა მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი. ამიტომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არსებობს ვარაუდი, რომ მან აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასარჩელო მოთხოვნას.

მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, მხარეს აქვს უფლება თავად არ გამოცხადდეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ამიტომ გამოუცხადებლობის მიუხედავად, თუკი გამოცხადებულია მისი წარმომადგენელი, სასამართლოს არა აქვს უფლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქმისწარმოება სასამართლოში ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება: საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად და საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. მომზადების ეტაპის დანიშნულებაა საქმის სათანადოდ მომზადება მთავარ სხდომაზე მისი არსებითად განსახილველად. ამ ეტაპზე ხდება მოპასუხისათვის სარჩელისა და მასზე დართული საბუთების ასლების გადაგზავნა, თანამონაწილეებისა და მესამე პირების საქმეში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტა, მხარეთა თხოვნით სხვადასხვა დანესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან გამოთხოვა მტკიცებულებებისა, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს, ადგილზე

დათვალიერება, სასამართლო დავალების მიცემა, სარჩელის უზრუნველყოფა, შესაბამისი განცხადების არსებობისას ექსპერტიზის დანიშვნა, მოწმეების, ექსპერტებისა და სპეციალისტების მოწვევის საკითხი.

საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე დავა არსებითად არ წყდება. ტარდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები. მომზადების სტადიაზე შეიძლება ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომაც, მაგრამ ამ სხდომაზე შეიძლება არ გამართლდეს ვარაუდი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების შესახებ. ამიტომ მოსამზადებელ სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რამდენადაც დავის არსებითად გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა, არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის პრეზუმფცია მხარისათვის, რომელმაც გამოუცხადებლობის გამო არსებითად, ე.ი. მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით წააგო პროცესი. სწორედ, ამიტომ მიუთითებს კანონმდებელი, რომ თუ მხარე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, არ გამოცხადდა მთავარ და არა მოსამზადებელ სხდომაზე, გამოცხადებული მხარის შუამდგომლობით შეიძლება გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის ვარაუდი, რომ მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ან მოპასუხემ ცნო სარჩელი მისი გამოუცხადებლობისას. რაკი ეს ვარაუდი არ გამართლდა მოსამზადებელ სხდომაზე, სწორედ ამიტომ არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ამ სტადიაზე და უნდა დაინიშნოს საქმის არსებითად განხილვა მთავარ სხდომაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხდება საქმის არსებითად განხილვა. პროცესის ამ სტადიაზე სასამართლო ისმენს მხარეთა ახსნა-განმარტებებს. მხარეებს უფლება აქვთ საქმის ირგვლივ დაუსვან შეკითხვები ერთმანეთს, წარმოებს საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა-განხილვა, ამიტომ თუ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მთავარი სხდომა გადაიდო სხვა დროისათვის და შემდეგ რომელიმე მხარე არ გამოცხადდა, არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან, რაკი მხარემ მისცა ახსნა-განმარტება სასამართლოს, აღარ არსებობს ვარაუდი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისა ან მოპასუხის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების ცნობის შესახებ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ასეთ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული გარემოება იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში – სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როცა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებენ იურიდიულად მის მოთხოვნას. პროფ. თ. ლილუაშვილის აზრით, ამ დროს სასამართლომ უნდა გამოიტანოს „გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება“. ამ მოსაზრების დასაბუთებისათვის მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ა-მ აღძრა სარჩელი ბ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ვალის დაბრუნება 2000 ლარის ოდენობით, აგრეთვე, მოპასუხის საცხოვრებელი სახლის აუქციონზე გაყიდვა, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული და ამ სახლიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სესხის მოთხოვნის ნაწილში, რადგან

ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებულია, ხოლო სახლიდან გამოსახლების ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლებელია და ამ ნაწილში სასამართლოს გამოაქვს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება⁷

იგივე შეხედულება გააჩნია ქ. ბრემენში ჰანზის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, მოსამართლეს, დოქტორ ჰაინ ბოლინგს. 2008 წლის მაისში, ბრემენში, ბატონი თენგიზ ლილუაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში – „დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცესის ძირითადი პრინციპები“ ჰაინ ბოლინგმა ეს საკითხი ასეთნაირად დაასაბუთა: მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, სასამართლო უნდა დაადგინოს, ამართლებს/ასაბუთებს თუ არა სარჩელს მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტები. ამასთან დაკავშირებით საქმე ეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე ნორმას, სარჩელის ე.წ. ლოგიკურობას, დამაჯერებლობის გადამოწმებას. ამასთან, თუ დაუშვებთ, რომ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მოსარჩელის ახსნა-განმარტება სწორია, სასამართლო ამომწმებს, სარჩელი მთლიანად თუ ნაწილობრივ არის დასაბუთებული. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ გადასამოწმებელია, სახეზეა თუ არა, მოსარჩელის ახსნა-განმარტების შესაბამისად, მოთხოვნის საფუძვლისათვის საჭირო წინაპირობები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაასაბუთებდნენ სასარჩელო მოთხოვნას. დასაბუთებულობის გადამოწმების ამ პროცესში სრულიად გაუთვალისწინებელი რჩება გამოუცხადებელი მოპასუხის ახსნა-განმარტება.

თუ მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტები ასაბუთებენ სარჩელის მოთხოვნას, გამოდის შესაბამისი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, სხვა შემთხვევაში, სარჩელზე უარი ითქმის. სარჩელზე უარის თქმის გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქმე ეხება არა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, არამედ სადავო საბოლოო გადაწყვეტილებას. ამიტომ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო საჩივრისა და არა სხვა რაიმე სახის საჩივრის გზით.

შესაძლებელია ამ ორი ტიპის გადაწყვეტილების კომბინირება: თუ მოსარჩელის ახსნა-განმარტებები შესაძლებელს ხდის, რომ მხოლოდ ნაწილობრივ მოხდეს რაიმეს დაკისრება მოპასუხისათვის, მაშინ სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდება და ამდენად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოხდება მოპასუხისათვის დაკისრება. თუ მოსარჩელის ახსნა-განმარტებები შეუძლებელს ხდის მოპასუხისათვის დაკისრებას ანუ სარჩელი დაუსაბუთებელია, მაშინ სარჩელზე უარი იქნება ნათქვამი საბოლოო სადავო გასაჩივრებადი გადაწყვეტილების გზით. ეს შეიძლება განხორციელდეს ერთიან გადაწყვეტილებაში, რომელსაც დაენერება „დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილება“. სამოტივაციო ნაწილში (დასაბუთებაში), რომელიც ამ შემთხვევაში სავალდებულოა, სასამართლო მიზანმიმართულად ნათლად განმარტავს, რომელ ნაწილში მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ ნაწილში გადაწყვიტა საქმე გასაჩივრებადი გადაწყვეტილების მიღების გზით. ვინაიდან ეს შემთხვევა უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი შემთხვევა, ასეთი გადაწყვეტილების გამოცხადება მოხდება სპეციალურად გადაწყვეტილების გამოცხადებისათვის დანიშნულ დღეს.

გადაწყვეტილების ორივე ნაწილის მიმართ მხარეებისათვის დასაშვებია გასაჩივრების სხვადასხვა საშუალება:

მოპასუხისათვის დაუსწრებელ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით – საჩივარი დაუსწრებელი გადანყვეტილების გამომტან სასამართლოში (პროტესტი), მოსარჩელისათვის კი, აპელაცია იმ ნაწილისათვის, რომელიც სარჩელით იქნა დაკმაყოფილებული.“⁸

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადანყვეტილება საქმის მასალების მიხედვით.

დაუსწრებელ გადანყვეტილებას საფუძვლად უდევს ის ვარაუდი, რომ მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე მისი გამოუცხადებლობისას ან მოპასუხე აღიარებს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მისი გამოუცხადებლობისას. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მოისმინა მხარეთა განმარტებები და შემდეგ გადაიდო სხდომა სამუშაო საათების დამთავრების ან სხვა მიზეზით, რომელზეც აღარ მოვიდა რომელიმე მხარე ან არცერთი მათგანი არ გამოცხადებულა, აღნიშნული არ არის საქმის განუხილველად დატოვების და არც დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან მათ მიერ მიცემული ახსნა-განმარტებებით გაქარწყლდა ვარაუდი სარჩელზე უარის თქმის თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ცნობის შესახებ.

პროფ. თ. ლილუაშვილის აზრით, დაუსწრებელი გადანყვეტილება შორსაა სრულყოფისაგან, მაგრამ უაღრესად საჭიროა, რადგან ერთადერთი ისეთი ქმედითი ინსტრუმენტია, რომლითაც შესაძლებელია ბრძოლა არაკეთილსინდისიერ მხარესთან, რომელიც ყოველნაირად ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას. გარკვეული თვალსაზრისით, იგი არის აგრეთვე სასჯელი არაკეთილსინდისიერებისათვის და ნახალისება – კეთილსინდისიერებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა, რომ დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმებისათვის და საქმის განახლებისათვის სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო პროტესტი (საჩივარი) და ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს არამართო გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დროულად (დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სასამართლოსათვის ამ მიზეზების შესახებ.⁹

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობით ჭიანურდება საქმის განხილვა, რითაც მხარე იჩენს სასამართლოსადმი უპატივცემულობას და ამიტომ დაუსწრებელი გადანყვეტილება ერთგვარი სანქციაა უპასუხისმგებლო მხარის წინააღმდეგ. აღნიშნული შეხედულება დამკვიდრებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

დაუსწრებელი გადანყვეტილება პირდაპირ გამომდინარეობს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან. დისპოზიციურობის პრინციპით მხარე თავად იღებს გადანყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, შეუძლია საქმე დაამთავროს მორიგებით ან უარი თქვას სარჩელზე. ამიტომ მოსარჩელის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არის არა სასამართლოსადმი უპატივცემულობა, არამედ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდი. მისი პროცესზე მიუსვლელობა საქმის გაჭიანურებისაკენ არასდროს არაა მიმართული, რადგან სარჩელის შეტანით იგი დაინტერესებულია დარღვეული უფლების აღდგენით. სწორედ ამიტომ ივარაუდება სარჩელზე უარის თქმა მოსარჩელის მიერ პროცესზე გამოუცხადებლობის გამო.

შეჯიბრებითობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოპასუხეს შეუძლია უარყოს და გააქარწყლოს მოსარჩელის მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი. ამიტომ შესა-

გებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას, თუკი სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გამართლებულია, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. მოსამზადებელ ეტაპზე შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ვარაუდს ეყრდნობა, ამიტომ მოსამზადებელ ეტაპზე საქმის გაჭიანურებისა და სასამართლოსადმი უპატივცემულობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. კანონის აღნიშნული დანაწესი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ვარაუდს ემყარება, რადგან მას შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, შეეძლო გაექარწყლებინა მოსარჩელის მოთხოვნა, მოსაზრება თუ მტკიცებულებები და ეს უფლება არ გამოიყენა. შესაბამისად, ამ ეტაპზეც გამორიცხულია სასამართლოსადმი უპატივცემულობა და საქმის გაჭიანურება, რამეთუ სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულად გამართლების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მოსამზადებელ სხდომაზე შესაგებლის წარუდგენლობის ან მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო მოპასუხე კი არ ისჯება, არამედ სარჩელი კმაყოფილდება. შესაგებლის წარუდგენლობა ან მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა მოპასუხის დასჯა რომ იყოს, ყველა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი, რაც ასე არ არის. შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას. ასევე მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის მიუხედავად, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულად გაუმართლებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს არა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოპასუხის წინააღმდეგ, არამედ ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას სარჩელზე უარის თქმის შესახებ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე სასამართლოს ატყობინებს, რომ მისი მონაწილეობის გარეშე იქნეს საქმე განხილული. ასეთ დროს გამორიცხულია მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, ხოლო მოპასუხის მიერ – სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობის ვარაუდი. აღნიშნული იქედან გამომდინარეობს, რომ სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. ასევე, მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს მისი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელში უნდა აღინიშნოს, სურს თუ არა მას საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოშიც დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ რომელიმე მხარე შუამდგომლობს მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვას.

დასახელებულ შემთხვევებში, სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით უნდა მიიღოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რადგან მხარის გამოუცხადებლობით სარჩელზე თუ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის, ასევე სარჩელში თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობის ვარაუდი კი არ არსებობს, არამედ მხარეები იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას, სასამართლომ მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყვიტოს საქმე.

შენიშვნები:

- ¹ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ.78.
- ² ჰელმუტ ჰაინრიხსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის რეფორმა., სერგო ჯორბენაძის საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 247-248.
- ³ ნინო ხოფერია, საქართველოს ახალ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპთა თანაფარდობის პრობლემები, სერგო ჯორბენაძის საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 259-260.
- ⁴ Grunsky, Grundlagen des Verfahrensrechts, 2. Aufl. 1974. მოტანილია ნინო ხოფერიას სტატიიდან „დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო“, ჟურნ. „სამართალი“, №1, 2000, გვ. 42.
- ⁵ Schima, Die Versaumnis im Zivilprozess, 1928. მოტანილია ნინო ხოფერიას სტატიიდან „დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო“, ჟურნ. „სამართალი“, №1, 2000, გვ. 42.
- ⁶ ნინო ხოფერია, „დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო“, ჟურნ. „სამართალი“, №1, 2000, გვ. 41.
- ⁷ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 401-402.
- ⁸ ჰაინ ბოელინგი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცესის ძირითადი პრინციპები, ბრემენი, მაისი, 2008.
- ⁹ თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 2005, გვ. 393-394.

The Concept of Default Judgment

PRIDON BASILIA


Assistant-Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

A default judgment is a judgment made against a party in absentia. Such a judgment is based on the assumption that the plaintiff in absentia has waived a claim.

According to Prof. T. Liluashvili the default judgment is far from perfection but it is a much needed one and is the only effective instrument which allows for combating against a dishonest party who makes all the efforts to delay the adjudication of the case. To some extent it is also a punishment for the dishonesty and encouragement for honesty. This is clear from the law provision that it does not suffice that the party who lost the case submits a simple claim for abolishing the default judgment and for resumption of the proceeding. For this it is necessary that the party not only proves the reasons of absentia were valid but also he proves that he could not advise the court of the reasons in a timely manner (before the pro-no-un-ce-ment of the default judgment).

Failure to appear at a court session delays the adjudication of the case by doing this the party shows its disrespect to the court and therefore a default judgment is a kind of sanction imposed against the irresponsible party.

The disposition principle means that a party makes a decision himself on filing an action, and he may settle the matter, or refuse to file an action. Therefore, the failure of plaintiff to appear at the main court session does not show disrespect to the court but it is assumed that the plaintiff waives the claim. The failure of the plaintiff to appear at the proceeding is not aimed at delaying the adjudication of the case since by filing an action he/she shows that he/she is interested in restoring the right violated. This is the reason to make an assumption that the plaintiff waives the claim when he/she fails to appear at the proceeding.



The principle of adversary means that the defendant can decline or refute the claims, opinions or evidence of the plaintiff. Besides, the disposition principle allows the defendant to accept the claim. Thus, in case of the failure to file the objection due to invalid reasons, provided that the facts of the case indicated in the case are legally justified, the court will make a default judgment on satisfaction of the action. Making a default judgment in case the objection has not been filed because of the valid reason in the pretrial proceedings is based on the assumption that the defendant accepts the claim. Thus, the issue about the disrespect shown towards the court at the pretrial proceedings is out of question.

In case of the failure of the defendant to appear at the main court session, the facts of the case indicated in the case, will be deemed to be proved. The above mentioned approach of the law is based on the assumption of acceptance of the claim by the defendant since the defendant could have refuted the claim, opinions or evidences of the plaintiff applying the adversary principle but did not use this right. Accordingly, the issue of disrespect and delaying the adjudication of the case is also excluded at this stage since in case the claim is legally justified the court will make a default judgment on satisfaction of the action.

The defendant is not punished for the failure to file an objection or to appear at the main session, but the action [claim] is satisfied. If the failure to file an objection or to appear at the main session were a punishment, the action should be necessarily satisfied, which is not the case. In case of failure to file an objection the action will be satisfied only if the facts indicated in the case legally justify the claim; otherwise, the court appoints the main session. Further, notwithstanding the failure of the defendant to appear at the main session, in case the claim is not legally justified, the court will not make a default judgment against the defendant but it will deliver a usual judgment on dismissal of the claim.

No default judgment may be made if a party informs the court to adjudicate the case without his/her participation. In this case the assumption, that the plaintiff waived the claim and the facts indicated in the action by the defendant are deemed to be proved, is excluded. The reasoning is that the plaintiff's opinion that the case be adjudicated without an oral hearing shall be included in the action. Similarly, the written response of the defendant shall include the opinion of the defendant that the case be adjudicated without an oral hearing.

An appeal shall contain the statement whether the person submitting the appeal would like that the case be adjudicated without an oral hearing. The objection of the opposing party shall indicate whether he would like that the case be adjudicated without an oral hearing. Thus, it is also inadmissible that the appeal court make a default judgment unless either of the parties requests that the case be adjudicated without his/her participation.

In the above referred case the court shall render a usual judgment since it is not to be assumed that the action [claim] or appeal is waived by the party, and that the facts indicated in the appeal are deemed proved because of the failure of the party to appear, but the parties use the right granted to them by the law that the court adjudicate the case without their participation.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის თავისებურებანი

მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი

ბიორგი ბარაბაძე

სამართლის დოქტორი

თანამონაწილეობის ფორმით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფო ბრძოლის პოლიტიკა აგებულია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საერთო პრინციპებზე, რომელიც თავისთავში პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპსაც მოიცავს. თანამონაწილეობის დროს, ერთიანი დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოცემული პრინციპი შევსებულია შედარებით ღრმა შინაარსითა და აზრით – ამდენად, სისხლის სამართალში ამ ინსტიტუტის არსის ახსნისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

თანამონაწილეობის, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განსაკუთრებული ფორმის, თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული ჩადენილია რამდენიმე პირის გაერთიანებული ძალ-ღონით. დანაშაულებრივი შედეგი მოცემულ შემთხვევაში გამოდის რამდენიმე ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულებით, რომელიც გამომდინარეობს, როგორც ორგანიზატორის, ნამქეზებლისა და დამხმარის, ასევე, ამსრულებლის ქმედებიდან. ე.ი. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს ერთობლივი ძალისხმევის შედეგს, რომელიც საბოლოოდ, სრული სახით აკუმულირებულია ამსრულებლის ქმედებებში. ცხადია, თანამონაწილეობისას, ორი ან მეტი პიროვნება სჩადის ერთიან განზრახ დანაშაულს და ამიტომ, მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ ერთი და იმავე საფუძვლით, თუმცა სა-

ფუძვლის ერთიანობა, თავის მხრივ, არ გამორიცხავს მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა უნდა იყოს მკაცრად ინდივიდუალური. ისინი პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე, მაგრამ მკაცრად დადგენილ (ანუ ინდივიდუალურ) საზღვრებში. თუ ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროების ხარისხი და ხასიათი ყველა თანამონაწილისათვის თანაბარია, მაშინ, თითოეული თანამონაწილის საშიშროების ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს. ეს დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებზე, რაც წარმოჩნდება დანაშაულის ჩადენაში პირის მონაწილეობის ხასიათითა და ხარისხით. თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს ყველა იმ გარემოების ერთობლივად მხედველობაში მიღებით, რომელიც ინდივიდუალურად თანამონაწილისათვის არის დამახასიათებელი და იმაზეც, რომ წარმოადგენს თუ არა ის კონკრეტულ პირობებში მოცემული დანაშაულის მთავარ დამნაშავეს, თუ მეორეხარისხოვანს.

თუკი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საზღვრები და წესი საერთო სახით განისაზღვრება – თანამონაწილეობის ფორმით, ხასიათითა და ასევე, მონაწილეთა მიერ შესასრულებელი ფუნქციებით, მაშინ ამ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და სასჯელის სახის დანიშვნისას, სასამართლო აფასებს თითოეული თანამონაწილის ქმედებას, მოცემული დანაშაულის ჩადენაში მათი კონკრეტულობის მნიშვნელობით.

შესაბამისად, თანაბარი და სრული პასუხისმგებლობა თანამონაწილის მიერ ჩადენილი ქმედების გამო არ ნიშნავს სასჯელის თანაბარ სახეს, რომელიც ენიშნება თითოეულ თანამონაწილეს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულისათვის. ამიტომ, ერთობლივად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს, როგორც თითოეულ თანამონაწილეთა მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი და დასრულებული დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაში მისი როლი, ასევე იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული დამნაშავე პირისათვის. მოცემული გარემოებები წარმოადგენს სწორედ განსაკუთრებულ სირთულეს და დანაშაულში თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის კუთხით ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა.

თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. თანამონაწილეთათვის სასჯელის დანიშვნის საკითხთა მართებული გადანყვეტა დიდად დამოკიდებულია, თუ რა სტადიაზე დაიწყო სასამართლო და საგამოძიებო ორგანოთა სამართალგამოყენებითი საქმიანობა. თუმცა, ამავდროულად უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ სასჯელის დანიშვნის კუთხით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრობლემის განხილვა შეუძლებელია. საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცება, პრაქტიკულად, ამ ორი ცნების, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის ცნებათა გაიგივებასთან მიგვიყვანდა. სასჯელის ინდივიდუალიზაციისაგან განსხვავებით, პირველი ცნების შინაარსი გაცილებით ტყუილია. მკაცრი და თანმიმდევრული ინდივიდუალიზაცია უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ყველა სტადიაზე. კერძოდ, როგორც სს პასუხისმგებაში მიცემის, ისე სასჯელის დანიშვნისა და სასჯელის მოხდის ეტაპებზე.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის საწყისი ეტაპია განსაზღვრული დანაშაულის ჩადენაში პირის სსკ-ის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლის საფუძ-

ველზე, ბრალდებულის სახით მისი პასუხისმგებლობაში მიცემა. წინასწარი გამოძიების პროცესში დეტალურად ირკვევა ჩადენილი დანაშაულის გარემოებანი, დგინდება მის ჩადენაში დამნაშავე პირთა ვინაობა და თითოეული მათგანის როლი, ხორციელდება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, დამამძიმებელი და სხვა გარემოებათა შესწავლა, რომელიც დამახასიათებელია ჩადენილი ქმედების საშიშროებისათვის, ხდება ბრალის ხარისხისა და დანაშაულში მონაწილე თითოეული პიროვნების ვინაობის დადგენა. მიღებულ მონაცემთა გათვალისწინებით, ინდივიდუალიზდება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა. კერძოდ, განისაზღვრება, თუ სახელდობრ, რისთვის და რა მოცულობით უნდა დაეკისროს დანაშაულის ცალკეულ მონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ანუ, კონკრეტდება მათი პასუხისმგებლობის მოცულობა, რაც უპირველეს ყოვლისა, აისახება დანაშაულის კვალიფიკაციაში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია შედარებით კონკრეტული ხდება საქმის სასამართლო განხილვისა და განაჩენის გამოტანის მსვლელობისას. სწორედ, სასამართლოს მიერ ხდება სახელმწიფოს სახელით წინასწარი გამოძიების ორგანოთა მიერ დანაშაულის ჩადენაში მხილებული და ბრალდებული პირის დამნაშავედ აღიარება. ანუ, სწორედ, სასამართლო ახდენს წინასწარი ძიების ორგანოთა მიერ ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობაში თანამონაწილეთა ქმედებების მოცემული წინასწარი შეფასების დაკონკრეტებას. წარდგენილი ბრალდების სისწორის დადგენის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს, ზემოქმედების რა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული თითოეულ თანამონაწილეთა მიმართებაში სასჯელის კონკრეტული მიზნის მიღწევის უზრუნველყოფისათვის. იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოიშვება სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, სასამართლო განსაზღვრავს მის იმ კონკრეტულ ზომას, რომელიც შედარებით დასაბუთებული და სამართლიანი იქნება, როგორც მოცემული შემთხვევისათვის, ისე კონკრეტული პირისათვის – ანუ, უშუალოდ ახდენს სასჯელის ინდივიდუალიზებას.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია არ ამოიწურება სასჯელის დანიშვნის აქტით, არამედ წარმოდგენილია, როგორც სასჯელის მოხდის პროცესის რეგულირებით, ასევე მათ მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობის რეგლამენტაციითაც. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია თავად მოიცავს (გულისხმობს) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ინდივიდუალიზაციას, სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაციასა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალიზაციას. შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაცია გამოდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად.

დანაშაულში თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია აგებულია ინდივიდუალიზაციის იმ სპეციფიკურ კრიტერიუმთა გათვალისწინებით, რომელიც კანონშია აღნიშნული და რომლის თანახმადაც, თანამონაწილეობის ყველა შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა, გამონვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე (სსკ 57 მ.).

ცხადია, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ნიშანთა სახით კანონმდებელი გამოყოფს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს, თუმცა, კანონში მოცემული არ არის ამ ცნებათა შინაარსის განმარტება. დანაშაულში მონაწილეობის ხასიათის ქვეშ უნდა გავი-

გოთ, თანამონაწილის მიერ როლის უშუალო შესრულება ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობაში, მათი ფუნქციების სპეციფიკა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაულში მონაწილეობის ხასიათის გარკვევა ნიშნავს იმის დადგენას, თუ ვისი სახით გამოდიოდა კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული პირი: ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის თუ დამხმარის.

კანონმდებელი, თანამონაწილეთა დაყოფას მოქმედების ხასიათის მიხედვით მიმართავს, რათა გამიჯნოს თითოეული მონაწილის საშიშროების ხარისხი და მათი როლის მიხედვით განუსაზღვროს ამ უკანასკნელთ შესაბამისი სასჯელი დანაშაულში მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით. რაც შეეხება მეორე ობიექტურ ნიშანს, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს – ეს არის დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისა და დანაშაულებრივი შედეგის მიღწევაში თანამონაწილეთა საქმიანობის ეფექტურობისა და ინტენსივობის გამოვლინება. ის განისაზღვრება არა მხოლოდ სუბიექტის საქმიანობის ხასიათით, ასევე დანაშაულებრივი გულზრახვის განხორციელებაში მისი ჩადებული ძალისხმევის ხარისხით.¹

ამ ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივ თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში ახორციელებენ თანამონაწილეთა დაყოფას მთავარ და მეორეხარისხოვან დამნაშავეებად. მართალია, მსგავს დაყოფას სისხლის სამართლის კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა, მას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც მოწოდებულია დაეხმაროს სასამართლოს დაადგინოს თითოეული იმ თანამონაწილის ნამდვილი როლი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და ამის საფუძველზე, განახორციელოს მისი სასჯელის ინდივიდუალიზაცია.

თვით მსგავსი დაყოფის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ მოხდეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გათანაბრება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამონაწილენი შესრულებული საქმიანობის ხასიათზე დამოკიდებულებით იყოფიან ამსრულებლებად, ორგანიზატორებად, წამქეზებლებად და დამხმარეებად. თანამონაწილის თავად როლი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში განისაზღვრება არა მხოლოდ მისთვის განპირობებული როლით, არამედ დანაშაულში ზოგადად, თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს კანონმდებელი, როდესაც საუბრობს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი.

ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ვალდებულია დაადგინოს არა მხოლოდ თანამონაწილის როლი დანაშაულში (მაგალითად, წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი), ასევე მისი მონაწილეობის ხარისხი ამ დანაშაულში – ე.ი. მისი ქცევის ინტენსივობა. აქვე, შევნიშნავთ, რომ თანამონაწილეთა სახეებად დიფერენციაციისას დანაშაულში მონაწილეობის ხარისხის, როგორც ობიექტური კრიტერიუმის როლისა და ადგილის შესახებ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში თეორიული დებატების ფართო სპექტრია ასახული. ასე, მაგალითად, მ. კოვალიოვის აზრით, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შეფასებისას უპირველესია დანაშაულში მათი მონაწილეობის ხარისხი, ხოლო შემდეგ – ხასიათი.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენა არ განისაზღვრება მხოლოდ ამ თანამონაწილეთა სახეებად დაყოფით, თუმცა ამასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. მათთვის კონკრეტული სასჯელის სახის არჩევისას მთავარ კრიტერიუმად გვევლინება დანაშაულის ჩადენაში მათი მონაწილეობის ხარისხი, ხოლო შემდეგ მონაწილეობის ხასიათი.² მეცნიერის აზრით, დანაშაულის მონაწილეობის ხარისხი

– ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი. ის წარმოადგენს სუბიექტის ყოველმხრივ შეფასებას, მისი ფაქტობრივი როლის დადგენას ჩადენილ დანაშაულში. დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი კი, ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ თანამონაწილეთა სახეებად დაყოფისას, თუმცა, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხსა და ხასიათს შორის არ არსებობს გადაულახავი ზღვარი და ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულ ცნებებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი გარკვეული ზომით განისაზღვრება კიდევ მასში მონაწილეობის ხასიათით. ხშირ შემთხვევაში, დანაშაულის ამსრულებელი არის მთავარი დამნაშავე დამხმარესთან შედარებით. იგივე ითქმის წამქეზებელზეც. თუკი, ცალკეულ შემთხვევებში, მთავარ დამნაშავედ დამხმარე წარმოგვიდგება, მაშინ მისი როლი დანაშაულში არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ფიზიკური მოქმედებებით, არამედ სხვა მთელი რიგი ფაქტორებიც არსებობენ და ამიტომ ის უკვე გარდაიქმნება დანაშაულის ორგანიზატორად, თუმცა ის დანაშაულში ფორმალურად მონაწილეობდა მხოლოდ დამხმარის როლით.³

ამგვარად, ავტორი ასკვნის, რომ დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი ის კრიტერიუმი, რომლითაც ამსრულებელს, წამქეზებელსა და დამხმარეს ერთმანეთისაგან მიჯნავენ. მონაწილეობის ხარისხი კი, რომელიც ამ კრიტერიუმითაც ე.ი. მონაწილეობის ხასიათითაც განისაზღვრება, გვევლინება სახელმძღვანელო პრინციპად თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენისას.

ამავდროულად, ავტორი ხაზს უსვამს, რომ დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი ზემოთ მოცემული განმარტებით, არასაკმარისია ორგანიზატორის ფიგურის სრულყოფილად წარმოსაჩენად და დასახასიათებლად. ძირითად მომენტად დანაშაულის ორგანიზატორის დასახასიათებლად გვევლინება დანაშაულში მისი მონაწილეობის ხარისხი, რამდენადაც მისი ფიზიკური როლი დანაშაულის ჩადენაში შეიძლება გამოიხატოს როგორც ამსრულებლობაში, ისე წამქეზებლობასა და დახმარებაში. ორგანიზატორი ის ფიგურაა, რომელიც განსხვავდება დანაშაულებრივი ქმედების შესრულებაში მონაწილეობის უმაღლესი ხარისხით, დამოუკიდებლად იმ ფაქტობრივი როლისა, რომელსაც იგი ასრულებს დანაშაულის შემადგენლობაში. ამიტომ, სხვა თანამონაწილეთაგან ორგანიზატორის განსხვავების კრიტერიუმად, ავტორი მიიჩნევს, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს, ხოლო დანაშაულში მონაწილეობის ხასიათს აქვს მეორეხარისხოვანი დაქვემდებარებული მნიშვნელობა.⁴ ამრიგად, მ. კოვალიოვი, დანაშაულში მონაწილეობის ხასიათის საფუძველზე, ახდენს ამსრულებლის, წამქეზებლისა და დამხმარის გამიჯვნას, ხოლო დანაშაულში მონაწილეობის ხარისხით, განასხვავებს დანაშაულის ორგანიზატორს სხვა თანამონაწილეთაგან.

აღნიშნული თვალსაზრისი, სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, ფ. ბურჩაკი არ ეთანხმება მ. კოვალიოვის მიერ მოცემულ კლასიფიკაციას და ამის დასტურად იშველიებს სს სახელმძღვანელო საფუძვლების მე-17 მუხლს, სადაც მისი აზრით, განსხვავება თანამონაწილეთა სახეებისა დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ თანამონაწილეთა მოქმედების ხასიათზე, რამდენადაც კანონმდებელი ხმარობს ისეთ ზმნებს, როგორცაა: „ორგანიზატორობდა“, „იყოლიებდა“, „ეხმარებოდა“. სწორედ ეს გვაძლევს თანამონაწილეთა მოქმედებების აღწერას, ხოლო დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი, მისი აზრით, განასხვავებს როგორც ორგანიზატორის, ასევე წამქეზებლისა და დამხმარის მოქმედების ინტენსივობას ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში. ისევე, როგორც შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს რამდენიმე პირის მონაწილეობის ხარისხი თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულში, ასევე, შეიძლება

სხვადასხვა იყოს ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულში რთული თანამონაწილეობის დროს. გამომდინარე აქედან, ფ. ბურჩაკი აკეთებს დასკვნას, რომ თანამონაწილეთა სახეობად დიფერენციაციის ერთადერთი საფუძველია დანაშაულში პირის მონაწილეობის ხასიათი, მისი ფუნქციური როლი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში.⁵

ხაზგასასმელია, რომ ერთი და იგივე ფუნქციური როლის დროს შესაძლებელია არსებობდეს დანაშაულის განხორციელებაში მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხი. მაგალითად, მკვლელობის დამხმარემ, რომელმაც ურჩია ამსრულებელს მხოლოდ ის, თუ სად ჩაუსაფრდეს მსხვერპლს, და მეორე დამხმარემ, გარდა ამისა, ამსრულებელს უპოვა მკვლელობის იარაღი, სატრანსპორტო საშუალება, მისცა რჩევა და ა.შ. ორივე ამ შემთხვევაში, დამხმარის ფუნქციური როლი ერთი და იგივეა, მხოლოდ მონაწილეობის ხარისხია სხვადასხვა. შესაბამისად, როგორი ინტენსიურიც არ უნდა იყოს დამხმარის ქმედება, თუ ის არ იყო დანაშაულის ინიციატორი, არ შეუდგენია მკვლელობის დეტალური გეგმა, არ ხელმძღვანელობდა ამსრულებლის ყველა მოქმედებას, მაინც ვერ ვალიარებთ მას ორგანიზატორად, ანუ როგორი ინტენსიურიც არ უნდა იყოს დანაშაულში დახმარება, მას არ შეუძლია შეცვალოს დანაშაულში თანამონაწილის ფუნქციური როლი, ის დარჩება მაინც დამხმარედ და ვერ გახდება ორგანიზატორი ან წამქეზებელი, ვიდრე არ შეიცვლება მათ მიერ ჩადენილ ქმედებათა ხასიათი. ამიტომ, თანამონაწილეთა სახეობად დიფერენციაციის ერთადერთი საფუძველია დანაშაულში პირის მონაწილეობის ხასიათი, მისი ფუნქციური როლი ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში.

ამრიგად, მხოლოდ დანაშაულში მონაწილეობის ხასიათში, ე.ი. ერთიან დანაშაულში თითოეული თანამონაწილის მიერ შესრულებულ გარეგან როლში შეიძლება ვეძიოთ ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს შორის განსხვავება. ხოლო, რაც შეეხება მონაწილეობის ხარისხს, როგორც შევნიშნეთ, ის მნიშვნელოვანი სახით განისაზღვრება იმ ფუნქციური როლით, რომელსაც ასრულებს დამნაშავე. ანუ, ის დიდადაა დამოკიდებული თანამონაწილის ფუნქციასა და სახეზე. დანაშაულში ორგანიზატორის მონაწილეობის წილი ჩვეულებრივად უფრო დიდია, ვიდრე სხვა თანამონაწილეებისა. ამსრულებელი და წამქეზებელი, როგორც წესი, აქტიურად მოქმედებენ, ვიდრე დამხმარე. ასეთი გაგებით თანამონაწილეთა დაყოფა დანაშაულში მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის მიხედვით მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. გარდა ამისა, მათი სახეობად დაყოფა ხელს გვინცობს დანაშაულში პირის მონაწილეობის ხარისხის გარკვევაში.

საგულისხმოა, რომ გვხვდება შემთხვევები, როდესაც თანამონაწილეთა სახეობად დაყოფა არ ასახავს აქტიურობის ხარისხთან მათ თანაფარდობას. კონკრეტულ ვითარებაში „მეორეხარისხოვან“ მონაწილეთა მნიშვნელოვანი აქტივობის შედეგად, მათი ფაქტობრივი როლი ერთიან დანაშაულში საქმიანობაში შეიძლება იყოს ამსრულებლის ან ორგანიზატორის საქმიანობაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი. მაგალითად, დამხმარემ შეიძლება განავითაროს ისეთი აქტივობა, რომელიც ამსრულებლის აქტივობასაც კი შეიძლება აჭარბებდეს.

ამიტომ, ჩვენი სს კანონმდებლობა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შემსუბუქებასა და გამკაცრებას ფორმალურ ნიშანთან, მისი როლის სახელწოდებასთან არ აკავშირებს. მონაწილეობის ხარისხი ასახავს, როგორც დანაშაულში სხვადასხვა სახის თანამონაწილეთა ქმედების ინტენსივობას, ასევე იმ ცალკეულ თანამონაწილეთა ქმედების ინტენსივობასაც, რომლებიც ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში ასრულებენ ერთი და იგივე ფუნქციებს. თანამონაწილის ქმედების ინტენსივობა მნიშვნელოვნად იზრდება ერთობლივად მის მიერ რამდენიმე ფუნქციის

შესრულების ხარჯზე – ანუ, როდესაც ერთი და იგივე პიროვნება თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში გვევლინება როგორც დამხმარედ, ასევე წამქეზებლად, ან ორგანიზატორად და თანაამსრულებლად.

შესაბამისად ზემოთქმულისა, დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი წარმოადგენს იმ ობიექტურ ნიშანს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაცია. ხოლო, მონაწილეობის ხარისხი, რომელიც ასევე განისაზღვრება ამ კრიტერიუმით, წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ხარისხის დადგენისათვის. სწორედ, ამ ობიექტურ კრიტერიუმთა გათვალისწინებით უნდა აიგოს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია და შესაბამისად, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენაში თითოეული თანამონაწილის, როგორც მონაწილეობის ხასიათი, ისე ხარისხი. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ თანამონაწილეთა სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა თანამონაწილის მხარეს არსებული პერსონალური და არაპერსონალური ხასიათის ნიშნებიც.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: П.И. Кришаев, Г.А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, „Юридическая литература“, М., 1959, с. 189; И.И. Карпец, Отягчающие и смягчающие обстоятельство в уголовном праве, М., 1959, с. 13; Ф. Г. Бурчак, Учение по соучастие по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 3; მისივე, Соучастие: социальные криминологические и правовые проблемы, Киев, 1986, с. 134; Ковалев М.И., Соучастие в преступлении, ч II, Свердловск, 1962, с. 10-12, 154; А.В. Ушаков, Ответственность за групповые преступления, Калинин, 1975, с. 79; П.Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, с. 58; მისივე, Кто отвечает за соучастие в преступлении, М., „Юридическая литература“, 1981, с. 31-32; В.А. Григорьев, Соучастие в преступлении по уголовному праву Российской федерации, УФА, 1995, с. 49-50; Ю.А. Красиков, Соучастие в преступлении (Курс лекции), М.: „Юридическая литература“, 1996, с. 22 и др.
- ² მ. კოვალოვი, დასახ. ნაშ., ნაწილი მეორე, გვ. 10.
- ³ იქვე, გვ. 11.
- ⁴ იქვე, გვ. 12.
- ⁵ ფ. ბურჩაკი, დასახ. ნაშ., გვ. 136.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. П.И. Кришаев, Г.А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, „Юридическая литература“, М., 1959;
2. И.И. Карпец, Отягчающие и смягчающие обстоятельство в уголовном праве, М., 1959;
3. Ф. Г. Бурчак, Учение по соучастие по советскому уголовному праву, Киев, 1969;
4. Ф. Г. Бурчак, Соучастие: социальные криминологические и правовые проблемы, Киев, 1986;
5. Ковалев М.И., Соучастие в преступлении, ч II, Свердловск, 1962;
6. А.В. Ушаков, Ответственность за групповые преступления, Калинин, 1975;
7. П.Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978;
8. П.Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М., „Юридическая литература“, 1981;
9. В.А. Григорьев, Соучастие в преступлении по уголовному праву Российской федерации, УФА, 1995;
10. Ю.А. Красиков, Соучастие в преступлении (Курс лекции), М., „Юридическая литература“, 1996.



Peculiarities of Individualization of the Accomplices' Liabilities

THE NATURE AND DEGREE OF PARTICIPATION

GIORGI BARABADZE

Doctor of Law

In this work the author reviews the peculiarities related to individualization criteria of the accomplices' (the nature of accomplice and degree) liabilities and states that the only basis for differentiating the accomplices by types is the nature of the person's participation in committing a crime, his functional role in the jointly committed crime. Only in the nature of the participation in committing a crime, i.e. we can seek the difference among the principal offender, the organizer, the instigator and the helper in the external roles played by each of the accomplices.

As for the degree of participation, the author believes that it is determined to a greater extent by the functional role implemented by the culprit. Thus it significantly depends on the function and the type of the accomplice and is a guiding principle in identifying the degree of liabilities of the accomplices.

Thus, the author infers that the individualization of accomplices' liabilities shall be founded on the mentioned objective criteria, and accordingly when the judge imposes a sentence he/she should take into account both the nature and degree of participation of each accomplice.

დანაშაული თანამონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართალში ანგლოსაქსური ქვეყნების მიხედვით

ელენე გვენცაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

საერთაშორისო სისხლის სამართლისათვის თანამონაწილეობის აქცესორული თეორია მიუღებელია. საერთაშორისო დანაშაულებში საშიშროების ცენტრი არც თუ ისე იშვიათად, ადგილი აქვს ამსრულებლიდან ორგანიზატორში და წამქეზებელში არევას, ვინაიდან ზუსტად ამ პირებს ძალუძთ გააერთიანონ მრავალ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობა. საქმის ვითარებას არ ცვლის გარემოება, როდესაც საერთო საქმიანობიდან რომელიმე ამსრულებელი, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ მონაწილეობდა, ან მონაწილეობდა, მაგრამ ვერ მიაღწია აღნიშნულ შედეგს.

საერთაშორისო სისხლის სამართლით, დანაშაულის თანამონაწილეებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა სხვათა დანაშაულში მონაწილეობისათვის და მათი ზემოქმედებითა და ხელშეწყობით ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ ერთობლივ საქმიანობაში მათი წვლილის გამო, ვინაიდან თითოეული მათგანი თავად ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ე.წ. ამსრულებლის

ექსცესის საკითხის გადწყვეტაც, სადაც იგულისხმება ამსრულებლის ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სცდება თანამონაწილეთა საერთო გეგმის ჩარჩოებს, ე.ი. მათი შეთანხმებისაგან დამოუკიდებლად. რამდენადაც თანამონაწილეობა არის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა და ამსრულებლის ექსცესისას განზრახვა არ არსებობს, ამიტომ თანამონაწილეებს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ ამსრულებლის ისეთი ქმედებისათვის, რომლის შესახებაც მათ არ იცოდნენ და არც შეთანხმებულან. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე – პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – დანაშაულში თანამონაწილეობა (ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის მაგალითზე).

დანაშაულში თანამონაწილეობა ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

ინგლისის სისხლის სამართლაში, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტებს, თანამონაწილეობის ინსტიტუტსაც განვითარების უძველესი ისტორია აქვს. 1967 წლის სისხლის სამართლის კანონამდე თანამონაწილეთა კლასიფიკაცია დაკავშირებული იყო დანაშაულის სამ დიდ ჯგუფად დაყოფასთან: ლაღატის ცნების შემცველი ქმედება; ფელონიები (სისხლის სამართლის დანაშაული); მისდომინორები (დასჯადი ქმედება). თანამონაწილეთა დაყოფა ამსრულებლად და დანაშაულის სხვა მონაწილეებად არსებობდა მხოლოდ ფელონიებთან მიმართებაში.

ასეთ მიდგომას განაპირობებდა, რომ ლაღატის შემთხვევაში თანამონაწილეობა იმდენად საშიშად იყო აღიარებული, რომ მასში მონაწილენი ამსრულებლად იწოდებოდნენ. მისდომინორებთან დაკავშირებითაც ანალოგიური მიდგომა არსებობდა იმ განსხვავებით, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო საჭირო არ იყო დანაშაულის თანამონაწილეთა ფორმალური გამიჯვნა.

აღსანიშნავია, რომ 1967 წლის სისხლის სამართლის კანონის მიღების შემდეგ, ინგლისში ჩამოყალიბდა ფელონიებს მისადაგებული თანამონაწილეობის განსაზღვრული სისტემა, რომელიც აერთიანებდა ამსრულებლებს და მათ თანამონაწილეებს დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ. ამსრულებლები იყოფოდნენ პირველი და მეორე ხარისხის ამსრულებლებად.

პირველი ხარისხის ამსრულებლად იწოდებოდა დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელი, ე.ი. პირი, რომელმაც დანაშაულებრივი განზრახვა განახორციელა და გამოიწვია გასაკიცხი შედეგი¹. თითქმის ყველა შემთხვევაში ასეთი პირი არის პირადად დანაშაულის ჩამდენი. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ დანაშაული განხორციელდეს „უდანაშაულო შუამავლის“ (აგენტის) მეშვეობით, რომელიც არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის, რამდენადაც მას არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა. ამგვარად, უდანაშაულო შუამავლად ითვლება ის, ვინც სჩადის დანაშაულს actus reus (დანაშაულებრივი ქმედება), მაგრამ ქმედუუნარობის გამო არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას, ან არადა, მას არ გააჩნია mens rea (ბრალდებულის ზრახვა), ანუ ქმედება ჩადენილი იქნა იძულებით.

შუალობითი ამსრულებლობის მაგალითია, როცა ქალიშვილი დედის მითითებით ავადმყოფ მამას აძლევს ნამალს, რომელიც სანამლავის შემცველია. თუ ქალიშვილისათვის არ იყო

ცნობილი დედის განზრახვა, მამის სიკვდილის შემთხვევაში, განზრახი მკვლელობის ამსრულებელი იქნება დედა და არა ქალიშვილი, რომელსაც არ ჰქონდა მენს რეა (თუმცა, ეიპოის საქმეზე, ანალოგიურ სიტუაციაში, როდესაც ქალიშვილმა დედის მითითებით მისცა სანამლავი, ქალიშვილი ცნობილი იქნა ამსრულებლად, დედა კი – დანაშაულის თანამონაწილედ)². შუალობითი ამსრულებლობის შედარებით თანამედროვე, თუმცა, ნაკლებ დრამატული მაგალითია სტინგერის საქმე, რომელშიც კომპანიის მენეჯერმა განზრახ ხელი მოაწერა ყალბ ხარჯთაღრიცხვას იმისათვის, რომ უდანაშაულო თანამშრომელთა ხარჯზე მიეღო ფული კომპანიის საბანკო ანგარიშიდან. სასამართლომ იგი ცნო შუალობით ამსრულებლად ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ფულის მიღებაში³.

დანაშაულის ჩადენის „იარაღად“ შეიძლება გამოყენებულ იყოს ცხოველიც. ასე მაგალითად, ქურდობაში დამნაშავედ იქნა ცნობილი პატრონი, რომელმაც განვრთნილი ცხოველი გამოიყენა დანაშაულისათვის.

მეორე ხარისხის ამსრულებელია პირი, რომლის ქმედებაც ფელონიის ჩადენის მომენტში მოცულია „დახმარებისა და ნამქეზებლობის“ (aiding and abetting) ცნებების შინაარსით. იმისთვის, რომ გახდეს „დამხმარე და ნამქეზებელი“ (aider and abetter), პირმა სიტყვით ან საქმით უნდა გამოამჟღავნოს აქტიურობა იმ მიზნით, რომ ამსრულებელი ან ამსრულებლები დაიყოლიოს დანაშაულის ჩასადენად. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ინგლისური სამართალი „aiding and abetting“ გამონათქვამებში ზოგჯერ გულისხმობს „დახმარებას ან ხელის შეწყობას“.

დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობისათვის პირს პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებლის მიერ ჩადენილი იმ ქმედებებისათვის, რომლებიც განხორციელებული იყო მათ მიერ ერთიანი მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ ორ პირს განზრახული ჰქონდა ჩადენა შეიარაღებული თავდასხმა და ერთმა მათგანმა მოკლა დაზარალებული, იმავდროულად მეორეც ესწრებოდა რა და ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენას, როგორც მეორე ხარისხის ამსრულებელი, თუმცა მას თანხმობა არ მიუცია იმ ხარისხის ძალადობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა და პასუხისმგებლობა ეკისრება განზრახ მკვლელობის ჩადენაში⁴.

დანაშაულის ჩადენამდე დამხმარედ იწოდებოდა პირი, რომელიც დახმარებით ან რჩევის მიცემით ხელს უწყობდა ამსრულებელს ან ამსრულებლებს დანაშაულის ჩასადენად. თუ დანაშაული ჩადენილ იქნა განსხვავებული ხერხით, რომელიც შეთავაზებული იყო თავდაპირველად, თანამონაწილე არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ თუ „ა“ აძლევს რევოლვერს „ბ“-ს, რომ მოკლას მესამე პირი, „ბ“ კი, იყენებს სანამლავს ცეცხლსასროლი იარაღის ნაცვლად, „ა“ არ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან იგი არის დამხმარე დანაშაულის ჩადენამდე; ხოლო, როცა „ბ“-მ იმის მაგივრად, რომ გამოეყენებინა „ა“-ს რჩევა და ჩაიდინა აბსოლუტურად სხვა, დაუგეგმავი დანაშაული, პირი, რჩევის მიმცემი თავისუფლდება თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობისაგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მიცემული რჩევა სინამდვილეში არ იყო მიზეზობრივ კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. თუმცა სასამართლო ყოველთვის არ აკისრებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის ჩასადენად რჩევის მიმცემ პირს. ამის მაგალითია სონდერისა და არჩესის საქმე ბავშვის მკვლელობის ბრალდებით⁵. ერთმა მათგანმა დაიყოლია მეორე, ქალისათვის გადაეცა მონამღული ვაშლი მისი სიკვდილის მიზნით. ქალმა ეს ვაშლი მისცა თავის შვილს, რომელიც მოინამლა და მოკვდა. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ თავის გადანყევტილებაში მიუთითა, რომ ეს შედეგი არ იყო იმდენად მოსალოდნელი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო

თავდაპირველი წამქეზებლისათვის ბავშვის მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარება, ზოგადი წესით, მიეკუთვნებოდა თანამონაწილეობის ყველაზე უფრო დაშორებულ ხარისხს, რომლის დროსაც თანამონაწილედ იცნობოდა პირი, რომელმაც იცოდა ფელონიის ჩადენის შესახებ და აქტიური დახმარებით სთავაზობდა დამნაშავეთაგან ერთ-ერთს (დამხმარესაც კი) თავშესაფარს ან სხვაგვარად უწყობდა ხელს სამართალდამცავებისაგან დასაფარავად. მისდომინორის ფაქტის ჩადენის შემდეგ დახმარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა.

ფელონიაში თანამონაწილეობისას ზემოთ ჩამოთვლილ თანამონაწილეობის ფორმებს პრაქტიკულად სასჯელის განსაზღვრისას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თითოეული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი უცვლელი რჩებოდა ყველა კატეგორიის თანამონაწილისათვის, რომლებიც შეიძლებოდა გასამართლებულნი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამსრულებელი ჯერ კიდევ, არ იყო გასამართლებული ან მიუწვდომელი იყო სამართალდამცავებისათვის. ეს ფაქტი განსაკუთრებულად ყურადსაღებია, რამდენადაც 1861 წლის კანონამდე არ შეიძლებოდა ამსრულებლამდე თანამონაწილეთა განსჯა, თუმცა, ნავარაუდევია ამსრულებელი შესაძლოა დაუსაბუთებლად გამართლებული ყოფილიყო ან დაკავებამდე გარდაცვლილიყო კიდევც.

ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება თანამონაწილეთა სხვადასხვა კატეგორიათა შორის იყო, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დახმარება შედარებით მსუბუქად ისჯებოდა.

თანამონაწილეთა სხვადასხვა სახეთა სისტემის არსებობა (მხოლოდ ფელონიებთან შეფარდებით), გამონკვეული იყო უპირველესად იმით, რომ XIX საუკუნემდე ფელონიები, როგორც მძიმე დანაშაულები სიკვდილით ისჯებოდა და მოსამართლეები მიილტვოდნენ შეეზღუდათ იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ეს სასჯელი და ეს წრე დაეყვანათ მხოლოდ დანაშაულის ამსრულებლებამდე.

XIX საუკუნეში ინგლისის სისხლის სამართლის რეფორმა თანამონაწილეობის ინსტიტუტსაც შეეხო. 1861 წელს მიღებულ იქნა სტატუტი (რომელიც ითარგმნებოდა როგორც დამხმარეთა და წამქეზებელთა კანონი)⁶. აღსანიშნავია, რომ ამ კანონით, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, არ იყო გამიჯნული თანამონაწილეობის ეს სახეები. იგი თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ მხოლოდ პროცესუალურ საკითხებს წყვეტდა.

კანონით დადგენილი იყო, რომ მეორე ხარისხის ამსრულებლები და დამხმარეები შესაძლებელი იყო გადაცემოდნენ სასამართლოს მიუხედავად იმისა, განსჯილი იყო თუ არა პირველი ხარისხის ამსრულებელი. კანონმდებელმა უარი თქვა წესზე, რომლის თანახმადაც, ამსრულებელი ცალკე უნდა განსჯილიყო და სხვა თანამონაწილეებთან ერთად განსჯის ნება დართო.

1861 წლის კანონი არ შეიცავს თანამონაწილეობის ლეგალურ განმარტებას – მას ცვლის შესაბამისი ქმედებების ჩამონათვალი, როგორიცაა დანაშაულის ჩადენაში დახმარება და წამქეზებლობა. კანონის მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ „პირი, რომელიც ეხმარება, აქეზებს, ურჩევს ან უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენას, დამნაშავედ იქნება ცნობილი იმავე დანაშაულში“.

თანამედროვე კანონებში ხშირად შევხვდებით თანამონაწილეთა ქმედებების გასამიჯნად გამოყენებულ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „მორიგება“, „ხელშეწყობა“ და ა. შ. ამასთანავე, უდავოდ ყოველთვის იგულისხმება წინასწარ დაპირებული საერთო დანაშაულებრივი მიზანი (მაგალითად, პირი შეიძლება ცნობილი იქნეს დამნაშავედ მხოლოდ მცდელობაში და არა მკვლელობაში, თუ წინასწარ შეუპირებლად მიუერთდა თავდამსხმელს).

დახმარება შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობითაც (მაგალითად, თუ პირს აკისრია რაიმე ქმედების განხორციელების მოვალეობა). ასე მაგალითად, რესტორნის მეპატრონე ცნობილი იქნა დახმარედ იმ პირებისა, რომლებიც სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს აკრძალულ დროს, რადგანაც რესტორანი არ დახურა დაწესებულ დროს.

1967 წლის სისხლის სამართლის კანონმა გააუქმა ფელონიებსა და მისდამინორებს შორის განსხვავება, რამაც თანამონაწილეთა ოთხრგოლიანი კლასიფიკაცია შეცვალა.

ამერიიდან თანამონაწილეთათვის გამოიყენება 1861 წლის (რედ. 1977წ. კანონის მე-8 მუხლი – დახმარება და წამქეზებლობა, რომლის თანახმადაც თანამონაწილე უნდა ექვემდებარებოდეს ისეთსავე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც დანაშაულის ამსრულებელი; სასჯელის დანიშვნისას კი, მოსამართლე აფასებს თითოეული დამნაშავეის „წვლილს“ და ამიტომაც თანამონაწილეობის პრობლემები კვლავ აინტერესებთ ინგლისელ იურისტებს) კანონი.

1861, 1967 და 1977 წლების კანონთა მიღების შემდეგ, ზოგადი სამართლის ნორმებს სრულიადაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება დანაშაულის კვალიფიკაციის ან სასჯელის დანიშვნას.

დღესდღეობით, სისხლის სამართალში ასევე, გამოიყენება ტერმინი „თანამონაწილენი“, სადაც იურისტთა ერთი ნაწილი გულისხმობს დანაშაულის ნებისმიერ თანამონაწილეს, ამსრულებლის ჩათვლით, მეორე ნაწილი კი – მხოლოდ დამატებითებს, ისეთებს, რომლებიც მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენაში, ეხმარებიან მის განხორციელებაში რჩევებით ან სხვების წაქეზებით.

თანამედროვე დოქტრინის თანახმად, ამსრულებლად აღიარებულია პირი, რომელმაც თავისი ხელებით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან სხვა უდანაშაულო შუამავლის მეშვეობით სრულად ან ნაწილობრივ განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება. ასევე შენარჩუნებულია წესი, რომლის თანახმადაც, თანამონაწილე დანაშაულის ჩადენისას შეიძლება განისაჯოს ამსრულებლის განსჯისაგან დამოუკიდებლად. ამასთანავე, ბრალდება უნდა ამტკიცებდეს, რომ:

- 1) ბრალდებული თანამონაწილე ხელს უწყობდა, რჩევას აძლევდა ან აგულიანებდა დანაშაულის ჩასადენად;
- 2) დანაშაული სინამდვილეში განხორციელებულია;
- 3) განსასჯელს ჰქონდა *mens rea*, რაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.

პირი, რომელიც მხარს უჭერს სამართალდამრღვევს დანაშაულის ჩადენის შემდეგ, არ შეიძლება ცნობილ იქნეს თანამონაწილედ, ვინაიდან იგი არ იღებდა მონაწილეობას დანაშაულებრივ ხელყოფაში. თუმცა, ასეთი პირი, ეხმარებოდა რა დამნაშავეს მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევაში შეიძლება ბრალდებული იქნეს დამნაშავეისათვის დახმარებაში, ანუ დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედებისათვის.

თანამონაწილეობა შესაძლებელია დაუმთავრებელი დანაშაულის დროსაც, როგორცაა მცდელობა, შეთანხმება ან წამქეზებლობა. მაგალითად, დანიგტონის საქმის გადაწყვეტისას^[7], სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებული, რომელსაც ავტომანქანით გადაჰყავდა ძარცვის ჩასადენად პირები, ითვლება ძარცვის მცდელობის თანამონაწილედ, თუნდაც დანაშაული არც კი ყოფილიყო ბოლომდე მიტანილი. იგივე პრინციპი გამოიყენება წამქეზებლობის ან შეთანხმებისას, თუ პირი აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია თანამონაწილეობით ბრალდებისათვის.

თუ დანაშაული ჩადენილია, თანამონაწილისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ბრალდებულს არ შეეძლო მისი ჩადენა როგორც ამსრულებელს (ქალი შეიძლება გაუპატიურების თანამონაწილე იყოს, თუმცა კანონი გაუპატიურებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს მამაკაცს).

რაც შეეხება სუბიექტური მხარის ისეთ სავალდებულო ელემენტს, როგორცაა თანამონაწილის *mens rea*, რა თქმა უნდა, რამდენადმე განსხვავებულია ამსრულებლის *mens rea*-საგან. ბრალდება უნდა ამტკიცებდეს, რომ:

- 1) თანამონაწილის ქმედების ჩადენის განზრახვა, რომელიც, როგორც მისთვის ცნობილია, ეხმარება ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში;
- 2) თანამონაწილემ იცის ან არ აქცევს ყურადღებას ნებისმიერ გარემოებას, რომელიც დანაშაულის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს;
- 3) თანამონაწილე აცნობიერებს, რომ ამსრულებელი მოქმედებს ან აპირებს იმოქმედოს *mens rea*-თი, რაც აუცილებელია მოცემული დანაშაულისათვის.

დანაშაულში თანამონაწილეობა აშშ-ს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

აშშ-ს დანაშაულში თანამონაწილეობის ინსტიტუტმა განიცადა ინგლისის ზოგადი სამართლის მნიშვნელოვანი ზეგავლენა. რამდენადაც უკვე განვიხილეთ ინგლისის სისხლის სამართალში დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემები, აქ შემოვიფარგლები მხოლოდ ზოგიერთი დაზუსტებით, პირველ ყოვლისა – „თანდასწრების“ ფაქტორთან დაკავშირებით.

თუმცა ითვლება, რომ I ხარისხის ამსრულებელი – ესაა პირი, რომელიც, როგორც წესი, თვითონ ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას, იმყოფება რა მისი ჩადენის ადგილზე⁹, იგი შეიძლება ცნობილ იქნეს „კონსტრუქციულად“ იქ მყოფად. მაგ., პირმა დატოვა მონამლული სასმელი სხვისთვის და ამ უკანასკნელმა იგი შესვა.

იგივე შეიძლება ვთქვათ II ხარისხის ამსრულებელთან დაკავშირებითაც, ერთი არსებითი შენიშვნით: პირის ასეთად ცნობისათვის იგი უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე; თუმცა, ეს მოთხოვნა, შესაბამის შემთხვევებში, ითვლება შესრულებულად „კონსტრუქციული“ თანდასწრების ფიქციის გამოყენების გზით. მაგ., ერთი პირი (II ხარისხის ამსრულებელი) იმყოფება რა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან რაღაც მანძილზე (შესაძლებელია, რამდენიმე პირი), ხელს უწყობს სხვა პირს დანაშაულის განხორციელებაში (I ხარისხის ამსრულებელს), ატყობინებს დაზარალებულის მისვლას ან სხვა საშუალებით იპყრობს დაზარალებულის ყურადღებას მისი ბინის გასაძარცვად.

და პირიქით, პირი დამხმარედ იცნობა დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე, თუ იგი რჩევების მიცემით ან სხვაგვარად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ არ იმყოფება დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ამგვარად, თუ პირი ნამდვილად ან „კონსტრუქციულად“ იმყოფებოდა იქ, მაშინ ის არის – II ხარისხის ამსრულებელი, და თუ არა, მაშინ – დამხმარე დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე⁹. მაგ., ვირჯინიის შტატში, 1982 წელს განხილულ იქნა მოერინგის საქმე, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა თავისი ცოლის მკვლელობას, მაგრამ არ იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ცნობილ იქნა დამხმარედ დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე¹⁰. თუ პირი ეხმარებოდა ამსრულებელს ან დამხმარეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა მისი დაკავებისათვის, გასამართლე-

ბისათვის ან სასჯელის მოხდისათვის ჩადენილი ფელონიისას, იგი ითვლება დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ – დამხმარედ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანგლო-საქსური ქვეყნების სისხლის სამართალი კონტინენტური ქვეყნების სამართლის სისტემებისაგან განსხვავდება, ვინაიდან ამ უკანასკნელში თანამონაწილეობა განისაზღვრება დანაშაულის დამთავრებამდე ჩადენილი ქმედებებით.

აშშ-ს სისხლის სამართლით თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულში; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ დანაშაული არ დასრულდა, თანამონაწილეები თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან¹¹.

დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებლის „ექსცესისათვის“, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისი ქმედება არანაირად არ შედიოდა თავდაპირველ განზრახვაში.

ზოგადი სამართლით, I და II ხარისხის ამსრულებლები, ერთნაირად დამნაშავეები არიან დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ დამოუკიდებლად ექვემდებარებიან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს, იგი არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და შეიძლება განისაჯოს თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებლის განსჯის შემდეგ.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დამოუკიდებელ დანაშაულებად ითვლება ისეთი მისდამინორები, როგორებიცაა დაუბრკოლებლობა (შეუტყობინებლობა ან მიმნებებლობა) ფელონიისა (misprision of felony) და თავშეკავება ან უარი ფელონიისათვის დევნაზე (compounding of felony)¹².

ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში, პირველი მათგანი განსაზღვრულია შემდეგნაირად: „პირი, რომელიც ხედავს, თუ როგორ სჩადის მეორე პირი ფელონიას, ან იცის, რომ მას იგი ჩადენილი აქვს და არ იღებს ზომებს მის დასაკავებლად, ან ფელონიის თავიდან ასაცილებლად, ანდა მართლმსაჯულებისათვის გადასაცემად – დამნაშავეა მისდამინორის ჩადენაში და ცნობილია როგორც ფელონიის არადაამბრკოლებელი“¹³. ზოგადი სამართლით მნიშვნელობა არა აქვს, წინასწარ იყო თუ არა შეპირებული შეუტყობინებლობა ან მიმნებებლობა. უფრო ხშირად, ფელონიის დაუბრკოლებლობის სახესხვაობად ითვლება ნაქურდალი ნივთების დაფარვა (receiving stolen goods). ზოგჯერ, მაგ., მიჩიგანის შტატის სასამართლო გადაწყვეტილებაში რეინოლდის საქმესთან დაკავშირებით იგი განხილული იქნა როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, „თუმცა, ასეთი პოზიცია საეჭვო და საკამათო“¹⁴. ნაქურდალი ნივთების დაფარვაში დამნაშავედ შეიძლება ცნობილ იქნას პირი, რომელიც იყო დანაშაულის მონაწილე, უშუალო მონაწილეობას ქურდობაში არ იღებდა, მაგ., დამხმარე იყო დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე¹⁵; მაგრამ ყველა შემთხვევაში მითითებულ უნდა იყოს, რომ პირველ ყოვლისა, მიმღების გამგებლობაში მყოფი ნივთები მოპარული იყო და მეორეც, მიმღები სინამდვილეში ან „კონსტრუქციულად“ აკონტროლებდა ამ ნივთებს და ამგვარად შეეძლო მათი განკარგვა ან გამოყენება.

რაც შეეხება ფელონიის დევნაზე უარს, ზოგადი სამართლით ან მისდამინორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც დაზარალებულს (თავი შეიკავა რა სისხლის სამართლის წესით დევნაზე), ასევე ყველა სხვა პირს, ვისთვისაც ცნობილი იყო ფელონიის ჩადენა ან მისი თანამონაწილენი, თუ უარი ანგარებითა იყო განპირობებული. ხოლო თუ თავის შეკავება ნაკარნახევი იყო გულმონყალებით ან სიბრალულით, როგორც წესი, მაშინ არ არის დასჯადი.

თანამონაწილეთა დაყოფა ამსრულებლად (I და II ხარისხის) და დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარედ, ყველა შტატის კანონმდებლობით ფაქტობრივად გაუქმებულია. მაგ., ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი ტენესის სისხლის სამართლის კოდექსის პარ. 7.01-ში.

მნიშვნელოვანწილად, ამას ხელი შეუწყო სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსმა, რომლის პარ. 2.06 მუხლი, თანამონაწილეობის ცნების განუმარტავად, განსაზღვრავს თანამონაწილეთა სახეებს (პ. 3). პირი ხელყოფაში თანამონაწილეა მეორე პირისა თუ გამიზნული აქვს ხელყოფისათვის ხელშეწყობა ან მისი გაადვილება. იგი: 1. აქეზებს ასეთ პირს მის ჩასადენად; 2. ეხმარება ან თანხმდება, ანდა ცდილობს დაეხმაროს სხვა პირს მის დაგეგმვაში ან ჩადენაში; 3. იურიდიულად ვალდებული იყო თავიდან აეცილებინა ეს ხელყოფა და არ მიიღო შესაბამისი ზომები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოდექსი თანამონაწილეობად თვლის ნამქეზებლობას, დახმარებას, მიმხმებლობას და გარდა ამისა, ისეთ შემთხვევას, როცა „კანონი პირდაპირ აცხადებს ქმედებას თანამონაწილეობის შემცველად“.

ზემოსხენებულიდან ნათელია, რომ თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა უთანაბრდება ამსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას და იგი შესაძლებელია მხოლოდ განზრახვი ბრალის არსებობისას, უფრო ზუსტად პირდაპირი განზრახვისას. თანამონაწილეს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს დამთავრებულ დანაშაულში მონაწილეობის დამტკიცების შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსი უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მუხლიდან (მ. 2. 06. პ.7), სადაც ნათქვამია, რომ თანამონაწილე ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაშინაც, როცა ნაგარაუდევ ამსრულებელს არ დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ან არ ყოფილა ბრალდებული სხვა დანაშაულისათვის, ანდა სარგებლობს იმუნიტეტით ან გამართლდა.

თანამონაწილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გარემოებად ითვლება დანაშაულში მონაწილეობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, გამოხატული აქტიური ფორმით. კოდექსი ითვალისწინებს, რომ ხელის აღებას ადგილი უნდა ჰქონდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე და პირმა უნდა „აღკვეთოს თავისი თანამონაწილეობა ეფექტურად“ ან დროულად შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს, რომ მზადდება დანაშაული¹⁶.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, რიგი შტატების სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ თანამონაწილეობის ცნების ზოგად განმარტებას. მეტნაკლებად მკაფიოდ ეს ფორმულირებულია ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში: „თუ ერთი პირი ახორციელებს ქმედებას, რომელიც წარმოადგენს თავის მხრივ ხელყოფას, მეორე პირიც ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ასეთი ქმედებისათვის თუ ფსიქიკურად ბრალეულად მოქმედებდა მის ჩასადენად, ითხოვდა, მოითხოვდა, უბრძანებდა, იღვწოდა ან განზრახ ხელს უწყობდა (ეხმარებოდა) ასეთ პირს ამგვარი ქმედების განხორციელებაში“ (პარ. 20.00).

ამ კოდექსშივე აღინიშნება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერ გათავისუფლდება პირი თუ: 1. ამსრულებელი არაა დამნაშავე შესაბამის ხელყოფაში „უპასუხისმგებლობის“ ანდა სხვა იურიდიული უუნარობის გამო...; 2. ამსრულებელი არ ყოფილა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული (პარ. 20.05).

ზემოაღნიშნულის კომენტარისას, ამერიკელ იურისტებს მოჰყავთ შემდეგი მაგალითი: თუ „ბ“ – „ა“-ს მითითებით შედის X-ის სახლში და მიაქვს მისი ქონება, და „ბ“ აღმოჩნდება სულით

ავადმყოფი ან 16 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანი, დიპლომატიური ხელშეუხებლობით მოსარგებლე პირი, ან უდანაშაულო, თვლიდა რა რომ მის მიერ აღებული ქონება „ა“-ს საკუთრება იყო, მაშინ ქურდობის ამსრულებლად ცნობილი უნდა იქნეს „ა“¹⁷.

დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად ითვლება, რომ „ნათლად უნდა ჩანდეს ნებაყოფლობა და საბოლოოდ, ხელის აღება განზრახვი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე. ხელყოფაში მონაწილეობაზე უარი უნდა იყოს გაცხადებული დანაშაულის ჩადენამდე და ძალისხმევა უნდა იქნეს განუხლები მისი ჩადენის თავიდან ასაცილებლად“ (პარ. 40. 10, პ.1).

მსგავს დებულებებს შეიცავს ასევე, სხვა შტატების სისხლის სამართლის კოდექსებიც. სხვაგვარად განსაზღვრავს თანამონაწილეობას ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი. პარ. 2923.03-ის თანახმად, თანამონაწილედ ითვლება პირი, რომელიც: 1. აქეზებს ან უზრუნველყოფს ხელყოფის განხორციელებას სხვა პირის მეშვეობით; 2. ეხმარება ან აქეზებს (aids or abets) სხვა პირს ხელყოფის განსახორციელებლად; 3. უთანხმდება სხვა პირს ხელყოფის განსახორციელებლად სისხლის სამართლის კოდექსის პარ. 2923.01-ის დარღვევით; 4. აქეზებს ან აიძულებს უდანაშაულო ან უპასუხისმგებლო პირს ხელყოფის ჩასადენად.

თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრება თავის თავში მოიცავს ყველა ქმედებას, რომლებიც ზოგადი სამართლით ემთხვევა მეორე ხარისხის ამსრულებლისა და დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარის ცნებაში ნაგულისხმევ ქმედებებს. ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ეს ჩანს თანამონაწილეობის განსაზღვრების მაგალითზე, ილინოისის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით: „პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება სხვისი ქცევისათვის, თუ ხელყოფის ჩადენამდე ან მისი ჩადენისას, განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ან გაუადვილოს ასეთი ქმედება; იგი აქეზებს, ეხმარება, უზრუნველყოფს, თანხმდება ან ცდილობს დაეხმაროს სხვა პირს ასეთი ხელყოფის დაგეგმვაში ან განხორციელებაში“ (პარ. 5-2).

თუმცა აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში ხშირად სირთულეს წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტა, ითვლება თუ არა უმოქმედობა ე.ი. უბრალო ყოფნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მასში თანამონაწილეობად. მინესოტის შტატის უმაღლესმა სასამართლომ 1968 წელს, პარკერის საქმის¹⁸ განხილვისას, დაადგინა: ის გარემოება, რომ ბრალდებული ახლო ურთიერთობაში იყო ორ სხვა პირთან და იმყოფებოდა მათთან ერთად გატაცებულ ავტომანქანაში როგორც მანამდე, ისე დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ასევე ის, რომ სამივე დაკავებული იქნა ამ ავტომანქანიდან გაქცევისას, – ყოველივე ეს „იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ბრალდებული გაერთიანდა რა ორ სხვა პირთან საერთო მიზნით, განეხორციელებინათ დაზარალებულზე თავდასხმა, გაეძარცვათ იგი და გაეტაცებინათ მისი ავტომანქანა“¹⁹.

პირს თანამონაწილეობისათვის შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მხოლოდ მაშინ თუ ხელყოფა სინამდვილეში განხორციელდა, მაგრამ, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, პირს შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს ხელყოფის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ, სსკ-ის პარ. 2923.02 დარღვევისათვის.

აშშ-ს შტატების უმრავლესობაში ყველა თანამონაწილე, გარდა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით დადგენილი დანაშაულის ფაქტის შემდგომ დახმარებისა, ექვემდებარებიან ისეთ-სავე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც ამსრულებლები. ამას ითვალისწინებს ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა (პარ. 2, კარი 18 კანონთა კრებული):

„ის, ვინც აშშ-ს წინააღმდეგ ახორციელებს ხელყოფას ან ეხმარება მის განხორციელებას, აქეზებს, იძლევა რჩევებს, ხელმძღვანელობს, იყოლიებს ან უზრუნველყოფს მის ჩადენას, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მოცემული ხელყოფის ამსრულებელს“.

ის, ვინც განზრახ მოუწოდებს ქმედების ჩასადენად, რომელიც უშუალოდ მათ მიერ ან სხვა პირის მიერ იქნება ჩადენილი, ჩაითვლება აშშ-ის წინააღმდეგ ხელყოფად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ამსრულებელს“.

აშკარა ხარვეზია ამ განსაზღვრების პირველ ნაწილში – მითითებული არ არის ბრალის ფორმა. იგი ივსება სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ საკმარისად თვლიან „გარკვეულ შეგნებულ მონაწილეობას“ დანაშაულის ჩადენაში²⁰, ე. ი. იმის გაცნობიერებას, რომ პირი ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.

„იმისთვის, რომ დაეხმაროს ან წააქეზოს სხვა დანაშაულის ჩასადენად, აშშ-ის უმაღლესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, – აუცილებელია, რომ ბრალდებული რისკავდეს სასურველი შედეგის განხორციელებას, თავისი ქმედებებით მიილტვოდეს მისი წარმატებით დასრულებისაკენ“²¹.

გადაწყვეტილების ასეთი გაგება (ratio decidendi) არ შეიძლება ვცნოთ საკმარისად განსაზღვრულად. მიუხედავად ამისა, შემდგომში არაერთგზის გამოიყენებოდა ფედერალური სასამართლოს მიერ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთა საქმეების განხილვისას.

თანამონაწილეობის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება არ ასუსტებს „ამსრულებლის ექსცესთან“ დაკავშირებულ ზოგად წესს. თანამონაწილეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება ამსრულებლის ქმედებით გამოწვეული იმ შედეგისათვის, რომელიც მას გათვალისწინებული ჰქონდა ან თავდაპირველი განზრახვის მოსალოდნელი შედეგის განხორციელება იცოდა.

რაც შეეხება დანაშაულის ფაქტის შემდგომ დამხმარეს, ამერიკული მოქმედი კანონმდებლობა, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებით ზოგადი სამართლისაგან, მას არ თვლის დანაშაულში თანამონაწილედ; მას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ დამოუკიდებელი დანაშაულისათვის – მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლაში. მაგ., ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსით (პარ. 2921.32), ეს ითვლება იმ ხარისხის მისდომინორად, როგორც ჩადენილი დანაშაული; თუ ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაული – ფელონიაა, მაშინ ქმედება ითვლება მეხუთე ხარისხის ფელონიად. ამ კოდექსით (პარ. 2921.33) დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება – სხვა პირის დაპატიმრებისათვის წინააღმდეგობის განწევა. მსგავსი დანაშაულები გათვალისწინებულია სხვა შტატების სისხლის სამართლის კოდექსებთანაც (მაგ., ნიუ-იორკის სს კოდექსის პარ. 205.30).

თუ ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსით მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა დასჯადია ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ნიუ-იორკის სისხლის სამართლის კოდექსით, იგი იწოდება „დეენისათვის ხელის შეშლად“, აქვს სამი ხარისხი და დასჯადია მხოლოდ ფელონიის ჩადენის შემთხვევაში. არანაკლებ საშიშია მესამე ხარისხის დანაშაული, A კლასის მისდომინორი, ე.ი. დასჯადი თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრება: პირი დამნაშავეა დეენისათვის ხელის შეშლაში... თუ იგი სისხლის სამართლით დასჯად დახმარებას უწევს ფელონიის ჩამდენ პირს“ (პარ. 205.55).

B და C კლასის ფელონიის ჩამდენი პირისათვის დახმარების განწევა ითვლება მეორე ხარისხის დანაშაულად და ითვლება E კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით, ოთხ წლამდე (პარ. 205.60). A კლასის ფელონიის ჩადენის შემთხვევაში, ხელშეწყობა პირველი

ხარისხის დანაშაულია, რომელიც ითვლება D კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ვადით (პარ. 205.65).

„სისხლისსამართლებრივად დასჯადი დახმარების აღმოჩენაში“ იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის დაფარვა, მისი გაფრთხილება შესაძლო დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე, დაკავებისა და დაპატიმრებისაგან გაქცევის უზრუნველყოფა ტრანსპორტით, ფულით ან სხვაგვარი საშუალებებით, მტკიცებულებების შეცვლა ან განადგურება, რომლებიც მის დასაკავებლად და დასაპატიმრებლად ან ბრალის წასაყენებლად მნიშვნელოვანია,²² ასევე, დახმარება დანაშაულებრივი გზით ან გამორჩენის მისაღებად მოპოვებული ნივთების შენახვაში. აგრეთვე, „სისხლისსამართლებრივად დასჯადი დახმარების აღმოჩენად“ ითვლება სხვა ქმედებები, განხორციელებული დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავების, დაპატიმრების ან სასამართლოსათვის მისი გადაცემის ხელის შეშლის მიზნით, რომელიც ბრალდებულისთვისაა ცნობილი, ჩადენილია ან სავარაუდოდ ჩადენილია ასეთი დანაშაული და ამის გამო იძებნება მართლმსაჯულების ორგანოების მიერ (პარ. 205.50). ამგვარად, „დახმარება“ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, ფართოდ არის განხილული. დანაშაულის ფაქტის შემდეგ ჩადენილი „დახმარება“, ანუ არსებითად მოიცავს ნაქურდალი ნივთების დაფარვას.

ზოგადი წესიდან განსაზღვრულ გამონაკლისს წარმოადგენს ფედერალური კანონმდებლობა. კანონთა კრებულის კარი 18, პარ. 3-ში არა მხოლოდ დაცულია არქაული ტერმინი „დანაშაულის ფაქტის შემდგომ დამხმარე“, არამედ მოცემულია მისი განსაზღვრებაც: „ის, ვინც იცის აშშ-ის წინააღმდეგ ხელყოფის განხორციელების შესახებ დაფარავს, აადვილებს, მხარს უჭერს ან ხელს უწყობს სამართალდარღვევას იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს ან დააბრკოლოს მისი დაპატიმრება, სასამართლოსათვის გადაცემა ან დასჯა, ითვლება დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდგომ დამხმარედ“. იქვე დადგენილია სასჯელი ამგვარი დახმარებისათვის: მაქსიმალური სასჯელის არა უმეტეს ნახევარი, რაც გათვალისწინებულია ამსრულებლისათვის, ანდა, თუ ამსრულებელი სიკვდილით ისჯება ან სამუდამო პატიმრობით, მაშინ დამხმარე ისჯება თავისუფლების აღკვეთით, 15 წლის ვადით²³.

შედარებისთვის აღვნიშნოთ, რომ ტენესის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით (პარ. 31-112, პარ. 39-113) დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ დამხმარეს ეკისრება თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით, საოლქო გამასწორებელ სახლში მოთავსება ან პატიმრობა და (ან) ჯარიმა. თუმცა, სასჯელი არ უნდა აჭარბებდეს დანაშაულის ამსრულებლისათვის კანონით გათვალისწინებულ მაქსიმუმს.

მრავალი შტატის კანონმდებლობა, მსგავსად ზოგადი სამართლისა, შეიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც, დამნაშავე თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ნათესავთა ხელშეწყობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნათესავთა წრე საკმაოდ ფართოა, მაგ., როდ-აილენდის შტატში.

თანამონაწილეობის ინსტიტუტის აშშ-ის საკანონმდებლო რეგულირების განხილვა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა: ამ სფეროში ამერიკის სისხლის სამართლის „მოდერნიზაციას“, რომლის ძალითაც თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა ვრცელდება მისდამინირებზეც, აქვს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია სისხლის სამართლის რეპრესიების გამკაცრებისა და გაფართოებისაკენ.

აშშ-ს კანონთა კრებულის კარი 18, პ.4-ის თანახმად: „ის, ვინც იცის ფაქტობრივად ჩადენილი ფელონიის შესახებ, რომელიც ექვემდებარება აშშ-ის სასამართლოთა იურისდიქციას, ფარავს

და არ აცხადებს რაც იცის და უმოკლეს დროში არ აუნყებს ამის შესახებ რომელიმე მოსამართლეს ან ხელისუფლების რომელიმე სამოქალაქო ან სამხედრო პირს – ისჯება ჯარიმით, ან პატიმრობით სამ წლამდე ვადით ან ორივეთი ერთად²⁴. ფედერალური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, არამედ ჩასადენი ფელონიისთვისაც. თუ პირის მიერ ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ახლო ნათესავის დანაშაულში ინკრინინირება, მაშინ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან (ოჰაიოს შტატის სსკ-ის პარ. 29.21.22).

ფედერალური კანონმდებლობით, შეუტყობინებლობა – ფელონიაა. მაგ., ოჰაიოს შტატში – ესაა მისდინორი. შტატების უმრავლესობაში, სადაც შესაბამისი კანონმდებლობა არ არის, იგი ძველებურად ზოგადი სამართლის მისდინორად ითვლება.

სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის (მუხ. 242.5) შესაბამისად, შტატების კანონმდებლობა მოიცავს დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან თავშეკავების პასუხისმგებლობის შემცველ ნორმებს (ზოგადი სამართლით – მხოლოდ ფელონიისათვის). ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისაგან თავის შეკავება განხორციელებული გასამრჯელოს სანაცვლოდ, ითვლება A კლასის მისდინორად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით (პარ. 215.45), ტენესის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით კი, ისევე, როგორც დანაშაულის ფაქტის ჩადენის შემდეგ – დახმარებად (პარ. 39 – 3101).

თუმცა ზოგადი სამართლით, რომელიც განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსებით, პირი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ გასამრჯელოს ღირებულება არ აღემატება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციას.

მოპარული ნივთების დაფარვა (მიღება) ამჟამად, აშშ-ში ძირითადად, ითვლება დამოუკიდებელ დანაშაულად. პირის, მოპარული ნივთების დაფარვაში დამნაშავედ ცნობისათვის, ამერიკული სისხლის სამართალი მოითხოვს, რომ ბრალდებულმა იცოდეს, რომ მის მიერ მიღებული ქონება მოპარული იყო.

ასე მაგ., კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის (პარ. 496, პ.1) თანახმად, „ნებისმიერი პირი, რომელიც იღებს ან ყიდულობს რაიმე ქონებას, რომელიც მოპარული ან მოპოვებული იყო ქურდობის ან გამოძალვის გზით, იცოდა რა, რომ ეს ქონება ასეთი საშუალებით იყო მოპოვებული, ანდა რომელსაც ის მალავს, ინახავს ან ეხმარება ასეთი ქონების დამალვასა და შენახვაში მისი მფლობელისათვის არმისაცემად, ისჯება პატიმრობით...“

ხშირად, „გატაცებული ნივთები“ ფართო მნიშვნელობით არის გაგებული. ასე მაგ., ამავე შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ, 1973 წელს საქმის განხილვისას, წამოიჭრა საკითხი ასეთად უნდა ეცნოთ თუ არა საიდუმლო აგენტთა გასაიდუმლოებული სია, რომელიც იმყოფებოდა ნარკომანიასთან ბრძოლის ბიუროში²⁵.

თუმცა, როგორც ჩანს, სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის (მუხ. 223.6) ზეგავლენით „დაფარვის“ mens rea, ზოგიერთი შტატის კოდექსებში, შედარებით ნაკლებადაა განსაზღვრული. მაგ., ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამია: „პირმა იცოდა ან ჰქონდა საფუძველი გაეთვალისწინებინა“, რომ ქონება იყო გატაცებული (პარ. 2913.51). მსგავსი ფორმულირება საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაესკიროს და დაისაჯოს პირი, რომლისთვისაც არ იყო ცნობილი, რომ ქონება მოპოვებული იყო უკანონო გზით, ე.ი. მნიშვნელოვნად ფართოვდება სისხლის სამართლის რეპრესიების ჩარჩოები.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დაფარვის სამ ხარისხს. მათგან შედარებით ნაკლებად საშიშია – მეხუთე ხარისხის დანაშაული, რომელიც ითვლება A კლასის მისდამინორად: პირი დამნაშავეა სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოპარული ქონების ფლობაში მეხუთე ხარისხით, თუ მან იცოდა, რომ ფლობდა გატაცებულ ქონებას, აკეთებდა ამას თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის მიღების განზრახვით, არ ითვლება მის მფლობელად (მესაკუთრედ), ან ხელს უშლის ამ ქონების მესაკუთრისათვის დაბრუნებას“ (პარ. 165.40). ასეთი დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით.

სხვა ხარისხების დაფარვისათვის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია გატაცებული ქონების ღირებულებიდან გამომდინარე: თუ იგი 1000 დოლარზე მეტია, მაშინ ითვლება E კლასის ფელონიად (პარ. 165.45), ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე ვადით; თუ 3000 დოლარს აჭარბებს მაშინ ითვლება D კლასის ფელონიად (პარ. 165.50) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდ წლამდე ვადით; თუ 5000 დოლარს აჭარბებს, მაშინ ითვლება C კლასის ფელონიად, ე.ი. ისჯება თავისუფლების აღკვეთით 15 წლამდე ვადით და თუ 1 მილიონ დოლარზე მეტია, ითვლება B კლასის ფელონიად და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 25 წლამდე ვადით.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსით მნიშვნელობა არა აქვს, რომ: 1. პირი, რომელმაც გაიტაცა ქონება, არ იყო ნასამართლევ ან დადგენილი; 2. დაფარვაში ბრალდებული თავად იღებდა მონაწილეობას ამ ქონების გატაცებაში; 3. გატაცებას ადგილი ჰქონდა ამ შტატის საზღვრებს გარეთ (პარ. 165.60).

ფედერალური კანონმდებლობით გატაცებული ქონების დაფარვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით; ხოლო თუ გატაცებული ქონების ღირებულება არ აღემატება 1000 დოლარს, ისჯება უფრო მსუბუქად – თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (კანონთა კრებული, კარი 18, პარ. 662).

შენიშვნები:

- ¹ К. Кении, Основы уголовного права, М., 1949, с. 92.
- ² Anon [1665] Kel 53 (Card and Jones. Op. cit. p. 657).
- ³ Rv Stinger (1991) 94 CR App Rep 13 CA.
- ⁴ Rv Belts and Ridley [1930] 22 Cr App R 148 (цит. по К. Кенни. указ. соч. с. 94).
- ⁵ К. Кенни. указ. соч. с. 95).
- ⁶ Accessories and Abettors Act 1861 (12 statutes 79).
- ⁷ Dunnington [1984] QB 472 (Smith and Hogan. Criminal Law. Cases and Materials. 1993. p. 379).
- ⁸ აქ მხედველობაში მიიღება, რომ დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს „ბრმა იარაღის ან უდანაშაულო შუამავლის“ დახმარებითაც.
- ⁹ LaFave Wayne R., Scott Austin W. Criminal Law. West Publishing Co. St. Paul, Minn., 1991 (1999). P. 569-571.
- ¹⁰ Moehring V. Commonwealth, 223 Va, 564. 290 S. E. 2 d 89.1 (1982).
- ¹¹ ასე, მაგ., დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს წამქეზებლობისათვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის.
- ¹² გარდა ამისა, აღსანიშნავია ზოგადი სამართლის ისეთი მისდინიორი, როგორცაა მტკიცებულებათა დაფარვა ან განადგურება. ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ პირი არ შეიძლება ცნობილ იქნეს მტკიცებულებათა დაფარვაში, თუ მან არ იცოდა მათი არსებობის შესახებ. *Berra V. United States* 221 F. 2d. 590 (8th. Cir. 1955).
- ¹³ Clark W. and Marshall W.A. treatise on the law of crimes. Mundelein (III), 1967, p. 618.
- ¹⁴ Уголовное право зарубежных государств. Стадии преступления и соучастие. М., 1973. с. 123.
- ¹⁵ Aaronson V. United States 175 F. 2d 41 (4th Cir. 1949).
- ¹⁶ დაწვრილებით იხ.: Лясс Н. В. Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных теориях. — Л., 1997. с. 105-107.
- ¹⁷ Mckinneys Consolidated laws of New York: Annotated book 39. Penal law N.Y., 1967. p. 39.
- ¹⁸ State V. Parker 282 Minn. 343. 164 N. W. 2d 633 (1968).
- ¹⁹ Jonson Ph. E Criminal Law. Cases, materials and text on the substantive criminal law in its prosedural context. St. Paul, Minn., 1980. p. 607-608.
- ²⁰ Unites States V. Milby 400 F. 2d 702 (6th Cir. 1968). Crimes V. United States, 379 F. 2d 791 (5 th Cir. 1967). Bassionni M. Cherif. Op. cit. p. 147.
- ²¹ Nye and Nissen V. Unites States, 336, U. S. 619. 69 S. Ct. 769 L. Ed. 919 (1949).
- ²² აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (პარ. 215.40) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას (თავისუფლების აღკვეთით 4 წლამდე ვადით, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის) ოფიციალურ წარმოებაში გამოყენებულ მტკიცებულებათა დაფარვის ან განადგურებისათვის.
- ²³ გარდა ამისა, ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა (კანონთა კრებული, კარი 18) ითვალისწინებს დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას: ფელონის ჩამდენი პირის (რომლის დასაკავებლადაც არსებობს ორდერი ან ბრძანება) დაფარვისათვის – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (პარ.1071); და პატიმრობიდან გაქცეული პირის დაფარვისათვის – ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით (პარ.1072).
- ²⁴ ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობით აშშ-ს ლაღატის ფაქტის შეუტყობინებლობა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7 წლამდე ვადით და (ან) ჯარიმით (კანონთა კრებული, კარი 18, პარ. 2382).
- ²⁵ People V. Kunkin. 9 Cal. Sd 245, 107 Cal. Rptr. 184, 507 p. 2d 1392 (1973).


Accomplicity in the International Criminal Law – by Anglo-Saxon countries

ELENE GVENTSADZE

Phd candidate, Ivane Javakishvili Tbilisi State University

The accessory theory is not recognized by the international criminal law. In international crimes the center of threat is quite frequently varied consisting of principal offender, organizer and instigator as these are the persons who can combine criminal activities of many persons. The matter is not changed by the circumstance in which a principal offender does not participate in a common activity due to some reason or participated but the result was not achieved.

The international criminal law imposes a criminal liability on the persons not for participating in the others' crime or for the crime committed by the principal offender as a result of their influence and facilitation, but for the contribution they made in the common activity since each of them individually violated the relations among the community protected by the criminal law. The issue of so called 'excess' of the principal offender is solved based on such an understanding of liabilities of the accomplices. The 'excess' of the principal offender refers to such a criminal act which goes beyond the framework of the common plan of the accomplices, i.e. it is separate from their agreement. Since the accomplicity is an intentional joint participation



and there is no intention in case of 'excess' of the principal offender, therefore the accomplices may not be held liable for such an action of the principal offender of which they were not aware and about which they had not agreed. Proceeding from the personal liability the liability is imposed on the person for the crime he/she committed.

The present paper discussed one of the important institutes, the accomplicity (the example of the Anglo-Saxon legal system) which is provided for in the general part of the criminal law

The institute of accomplicity has the longest history of the development in the criminal law of England. Before the adoption of the law the classification of accomplicity was divided in 3 big groups: the action consisting of treason; felonies (a crime); misdemeanor (a punishable action). After the Law of Criminal Law was adopted in 1967 the system of accomplicity matching the felonies was determined which combined a principal offender and accomplices before and after the commission of a crime.

The institute of accomplicity in USA has been significantly influenced by the general law of England. According to the criminal law of USA the accomplicity exists only in a completed crime but this does not mean that if the crime has not been completed the accomplices are released from the criminal responsibility. Dividing the accomplices into principal offenders (I and II degree crime) and a helper before the fact of crime is committed has been actually abolished in all the states. The liability may be imposed on the accomplice in case his/her participation is proved in the completed crime.

კრიმინოლოგია და ორგანიზებული დანაშაულის მეცნიერული შესწავლის ძირითადი ასპექტები

ბურამ რობაჰა

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, შსს სასაზღვრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

მსოფლიო ქვეყნების უდიდესი ნაწილისათვის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ამ ბრძოლის აქტუალობა საგრძნობლად გაზარდა. ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებები გავრცელდა მთელს მსოფლიოში, გაიზარდა დანაშაულის მასშტაბები, სისასტიკე, რამაც საფრთხე შეუქმნა კაცობრიობას, მშვიდობას, უშიშროებასა და ა.შ. მსოფლიოს არასდროს დაავინყდება ახლო წარსულში ორგანიზებულ დანაშაულობათა შედეგად კაცობრიობისათვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანი, ასევე, ის ფსიქოლოგიური სტრესი, რაც განიცადა ათეულობით ათასმა ადამიანმა. 2001 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ში, 2002 წლის 23-26 ოქტომბერს, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში თეატრალურ ცენტრში „ნორდ-ოსტა“ და 2009 წლის 8 დეკემბერს, ერაყში, ბაღდადში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს შეეწირა

უამრავი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე, დაინვა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები, ინფრასტრუქტურა, დაიღუპა სამოქალაქო მოსახლეობა და ა.შ.

თითქმის ყოველდღე ხდება მსოფლიოში ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებები, რაც დიდ საფიქრალს უჩენს სამართალდამცავ სტრუქტურებს ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებისათვის. კრიმინოლოგების კვლევებითა და სხვადასხვა დროს ჩადენილ ორგანიზებულ დანაშაულობებზე სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების მონაცემებით დადგენილია, რომ უახლოეს წარსულში ორგანიზებული დანაშაული იგეგმებოდა, მზადდებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოში, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ეს ხდებოდა ერთსა და იმავე ქვეყანაში. დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვადასხვაა, უმეტესად, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური, მათ შორის, შურისძიება. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ზოგადად და ზემოხსენებულ შემთხვევებშიც, ძალიან მაღალია ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოცდილება, ინტელექტური პოტენციალი, რაც საშუალებას აძლევს დამნაშავეებს დანაშაულებრივი გზით დაეუფლონ და კრიმინალური მიზნებისათვის გამოიყენონ უახლესი ტექნიკა, ტექნოლოგიები და განახორციელონ ტექნოლოგიური ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების ორგანიზება და წარმართვა, გონივრულ ვადებში ჭეშმარიტების დადგენა, კანონმდებლობის ზედმინევენით ცოდნის გარდა, მოითხოვს დამნაშავეთა ფსიქოლოგიის შესწავლას, პიროვნული თვისებების დადგენას, დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების გარკვევას, ცხოვრებისეული მიდრეკილებების გამოვლენას, რაც, ბუნებრივია, საკმაოდ რთულია და შესაბამისად, დამატებით საზრუნავს უჩენს გამოძიებას. სამართალმწარმოებელი ორგანო კარგად უნდა ერკვეოდეს კრიმინოლოგიის საფუძვლებში, შეეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება და სხვ. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება განვიხილოთ ორგანიზებული დანაშაული კრიმინოლოგიურ ჭრილში, ხოლო ვიდრე ამას გავაკეთებთ, ზოგადად, მიმოვიხილოთ კრიმინოლოგიის მეცნიერული საფუძვლები და ის მეთოდები, რომელსაც იყენებს იგი დანაშაულობის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულობის შესწავლისას.

კრიმინოლოგია იურიდიულ მეცნიერებათა შორის შედარებით ახალი დარგია. მას დაახლოებით მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი. ტერმინი „კრიმინოლოგია“ ხმარებაში შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც იტალიელმა მეცნიერებმა ტოპინარდომ და გაროფალომ 1885 წელს გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია. კრიმინოლოგია ეტიმოლოგიურად (წარმომავლობის, შემადგენლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის მიხედვით) ნიშნავს მოძღვრებას (სწავლებას) დანაშაულის შესახებ.

დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა, ყოველთვის აინტერესებდა საზოგადოებას, ადამიანები მუდამ ცდილობდნენ მოეძიათ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები, მეთოდები და ხერხები. უძველესი დროიდან დაწყებული მრავალი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ექიმის, ისტორიკოსისა და სამართალმცოდნის შრომებში გვხვდება მსჯელობა დანაშაულობის ფენომენზე, დანაშაულის ჩამდენ პირებზე და აგრეთვე, თუ რატომ სჩადიან ადამიანები დანაშაულს. ვინაიდან, კრიმინოლოგია ზოგადად, სისხლისსამართლებრივი დანაშაულობის შესახებ მეცნიერებაა, ზემოჩამოთვლილი საკითხების შესწავლა და ანალიზი სწორედ კრიმინოლოგიის კვლევის ძირითად სფეროში შედის. კრიმინოლოგიის გარდა, სხვა სამართლებრივმა

მეცნიერებებმა (სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა და სხვ.) ადამიანებს შესაძლებლობა მისცა გაეგოთ დანაშაულის ბუნება, დანაშაულის სახეობები, დანაშაულობასთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები, საპროცესო საქმიანობისა და დამნაშავეებისადმი მოპყრობის წესები. აღნიშნული საკითხების ღრმად შესწავლამ ნათელყო მეცნიერების სხვა დარგების მიღწევების (დამოუკიდებელი მეთოდების) გამოყენების აუცილებლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში და ეს საკითხი კრიმინოლოგიამ გადაწყვიტა. მეცნიერების ამ სფერომ დანაშაულობასთან ბრძოლის სამართლებრივი და არასამართლებრივი (ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სხვ.) მეთოდების სინთეზი მოახდინა. დანაშაულობის შეცნობის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სასამართლო ფსიქიატრიამ, ასევე, სწრაფად განვითარებადმა სასამართლო (კრიმინალურმა) ფსიქოლოგიამ. მართალია, სპეციფიკიდან გამომდინარე, მეცნიერების ამ დარგებმა მთლიანად ვერ მოიცვა დანაშაულობის პრობლემა, მაგრამ მათი მიღწევების გამოყენებამ ხელი შეუწყო კრიმინოლოგიის განვითარებას. კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და უკავშირდება სხვა სოციალურ მოვლენებს. მასთან ბრძოლა მოითხოვს სპეციფიკურ და ზოგადი სახის მეთოდების გამოყენებას. იგი არის მეცნიერება დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ. კრიმინოლოგია, ყველა სხვა მეცნიერების მსგავსად, იყენებს კვლევის მეთოდებს: **1. სტატისტიკური**, რომლის დახმარებით იკვლევენ დანაშაულობის რაოდენობრივ-თვისობრივ მაჩვენებლებსა და პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევები; **2. ანკეტური**, კრიმინოგენური პრობლემების კვლევის ხერხი, რომლის შინაარსიც აისახება, როგორც რესპოდენტ პირთა გამოკითხვაში, ასევე, იმ მონაცემების განზოგადებაში, რაც, მაგალითად, მოცემულია სისხლის სამართლის საქმეში. გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული ანკეტების საფუძველზე. ანკეტურ გამოკითხვას შეიძლება დაექვემდებარონ დამნაშავეები, დაზარალებულები, სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები და ა.შ.; **3. ინტერვიუ** ანუ საუბარი, რომლის დროსაც ერთ-ერთი მონაწილე იძლევა კითხვებს, ხოლო მეორე პასუხობს. ინტერვიუ ანკეტური მეთოდისაგან იმით განსხვავდება, რომ ინტერვიუს დროს პასუხების მიღება ხდება ზეპირი ფორმით და შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრულ პირობებში, სასწრაფოდ იქნეს მიღებული აუცილებელი ინფორმაცია. წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერვიუს წარმმართველი პირის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას, რადგანაც მასზეა დამოკიდებული რესპოდენტისაგან სწორი და უტყუარი ინფორმაციის მიღება; **4. ტესტირება**, რომელიც გამოცდილებას, სინჯს, შემოწმებას, გამოცდას ნიშნავს, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდია. იგი იყენებს სტანდარტულ კითხვებს, რომელთაც გარკვეული შკალას შეესაბამება. ამ მეთოდით სარგებლობისას იყენებენ განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ცხრილს, რომელიც მიმართულია სტანდარტული კითხვებისა და ამოცანების გადასაწყვეტად; **5. სოციომეტრია**, ამ მეთოდის საშუალებით ხდება ადამიანებს შორის ემოციურ-ფსიქოლოგიური კავშირების განსაზღვრა. იგი ამავე დროს არის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემა და პროცედურა მოვლენათა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზისათვის. იკვლევს კონკრეტული ინდივიდის სოციალურ-ემოციურ კავშირს იმ პირთა ჯგუფთან, სადაც იგი ცხოვრობს და მუშაობს. ამ მეთოდის დახმარებით შესაძლებელი ხდება გამოვიკვლიოთ ადამიანთა ჯგუფში ურთიერთკავშირის კრიმინოლოგიური თავისებურებები, შევაფასოთ და გამოვავლინოთ ფსიქოლოგიური ურთიერთკავშირის ხასიათი, კონფლიქტური სიტუაციების არსებობა, დაჯგუფება, ლიდერობა და ა.შ. სოციომეტრიული კვლევა გულისხმობს მეტწილად, გამოკითხვის წერილობითი და ზეპირი მეთოდების (ანკეტური, ინტერვიუ) გამოყენებას. მიღებული მონაცემები

მუშავდება და ჯამდება სოციომატრიკებში (სქემებში); **6. დოკუმენტური**, იგი გულისხმობს ისეთი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების შესწავლას, რასაც კრიმინოლოგიური კვლევებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. დოკუმენტური ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის განზოგადება. კრიმინოლოგია სამართლის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით ერთადერთია, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეებზე დაყრდნობით, აქვს ყველაზე მეტი უტყუარი დოკუმენტური მონაცემები დანაშაულის ფაქტებზე, გადაცდომებზე, დანაშაულობაზე, დაზარალებულებზე, დანაშაულის ჩამდენ პირებზე და ა.შ. **7. დაკვირვება**, ანუ ვითარების (სიტუაციის) ვიზუალური აღქმის პროცესი, რასაც კრიმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ცნობილია დაკვირვების ისეთი სახეები, როგორიცაა: ა) უშუალო, რომლის დროსაც მკვლევარი კონკრეტულ სიტუაციაზე თავის როლს ზღუდავს; ბ) დაკვირვებაში ჩართვა, რომლის განხორციელებისას მკვლევარი ხდება კოლექტივებსა და ჯგუფებში შესასწავლი პროცესების (საქმიანობის) აქტიური მონაწილე ისე, რომ მისი როლის შესახებ მეტწილად, არავინ არ იცის. სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში დაკვირვება გულისხმობს ადამიანის ქცევას დაკვირვებას, რის საფუძველზეც გამოაქვთ ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური დასკვნები; **8. ექსპერიმენტი**, ანუ ექსპერიმენტული დაკვირვება, რაც გულისხმობს მკვლევარის, მეცნიერის მიერ წინასწარი გეგმის მიხედვით, ხელოვნურად გამოწვეულ მოვლენებზე დაკვირვებას; **9. საექსპერტო შეფასება**, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ მოვლენის პროგნოზირებისას. ამ მეთოდით, შედეგის შეფასების საფუძველია სათანადო სპეციალისტების აზრი, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გააზრებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე.

ზემოჩამოთვლილი კვლევის მეთოდების მიმოხილვის შემდეგ, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ორგანიზებულ დანაშაულობას განვიხილავთ კრიმინოლოგიურ ქრილში. ორგანიზებული დანაშაულობა დანაშაულობის რთული და საშიში სახეა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს. იგი ჯგუფური დანაშაულობის შემადგენელი ნაწილი და მისი ერთ-ერთი სახეა. ჯგუფური დანაშაულის ცნების თვალსაჩინო სისხლისსამართლებრივ გაგებას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი. აღნიშნული მუხლი ოთხი ნაწილისგან შედგება და განმარტავს, რომ: 1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი; 2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად; 3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხორციელდა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად; 4. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება პირს, ვინც შექმნა ან ხელმძღვანელობდა ასეთი ჯგუფს. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

ჯგუფურ დანაშაულობაში შეიძლება გამოიყოს სამი ფორმა: 1. ორგანიზებული ჯგუფი; 2. დანაშაულებრივი ორგანიზაცია; 3. დანაშაულებრივი კავშირი. ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია, რომ მისი ხელმძღვანელი იმავდროულად არ არის ჯგუფის ორგანიზატორი; დანაშაულებრივი ორგანიზაცია ითვლება უფრო ძალისმიერ ფორმად და მისი მართვა შედარებით

გართულებულია. დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, არ არის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორი. აღნიშნულ ჯგუფში ერთნი მართავენ ორგანიზაციას, მეორენი სჩადიან კონკრეტულ დანაშაულს, მესამენი ახდენენ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციასა და სხვა. დანაშაულებრივი კავშირი ორგანიზებული დანაშაულობის უმაღლესი ფორმაა. მას აქვს პირველი და მეორე ფორმის ნიშნები, უფრო მეტიც, იგი გვევლინება მათი „ლიდერების“ საკოორდინაციო ორგანოდაც. კრიმინალური სამყაროს „ლიდერები“ (ხელმძღვანელები) ხშირად იკრიბებიან, რომ გადაანაწილონ თავიანთი საქმიანობის სფეროები, მოახდინონ დანაშაულებრივი საქმიანობის კოორდინაცია და სხვ. განმარტების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულობა არის დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიანების ფუნქციონირება, რომლისთვისაც დანაშაულის ჩადენა არის შემოსავლის წყარო (ანუ ბიზნესი) და კორუფციის დახმარებით ქმნიან სოციალური კონტროლისაგან დაცულ სისტემას. აღნიშნული განმარტებიდან შეიძლება გამოვყოთ ორგანიზებული დანაშაულობის სამი ძირითადი ნიშანი: 1. პირთა გაერთიანების არსებობა დანაშაულთა სისტემატური ჩადენისათვის, სადაც მონაწილეთა შორის არის მკვეთრად გამოხატული იერარქია და მკაცრი დისციპლინა, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიერ დადგენილი ქცევის წესებსა და ტრადიციებს. დანაშაულებრივ გაერთიანებაში ძალაუფლების თავმოყრა ხდება ერთი ან რამდენიმე ლიდერის ხელში, ხოლო მონაწილეთა რიცხვი მერყეობს ხუთიდან რამდენიმე ასეულ, ზოგჯერ, რამდენიმე ათას ადამიანამდეც; 2. ეკონომიკური მხარე, ანუ კანონმდებლობის დარღვევის მთავარი მიზანია გამდიდრება და კაპიტალის დაგროვება. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დანაშაულებრივი გაერთიანება შექმნილია სამენარმეო სანარმოთა სახით, რათა სისტემატურად ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედებები და მიიღონ დიდი მოგება. მატერიალური ზიანი, რომელიც ადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ მენარმეებსა და კომერციულ სტრუქტურებს ძალიან დიდ თანხებს შეადგენს. გარდა ამისა, ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი დანაშაულებრივი საქმიანობის კვლავნარმოების პროცესისთვის გამოიყენება; 3. კორუფცია, რომელიც ნიშნავს სახელმწიფო მოხელეთა გახრწნას, თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. კორუფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარკვეულ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო და სხვა სახის გარიგებებთან, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებს. ცნობილი გერმანელი კრიმინოლოგი ჰანს იოაჰიმ შნაიდერი გამოყოფს ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელ შვიდ განსხვავებულ ნიშანს, ესენია: 1. მოსახლეობის დაკმაყოფილება არალეგალურ საქონელსა (მაგალითად, ნარკოტიკები) და მომსახურებაზე (მაგალითად, პროსტიტუცია); 2. რაციონალურობა და გეგმაზომიერება, რაც მცირე რისკის განვეით მსხვილი მოგების მიღებას განაპირობებს; 3. ჯგუფში როლების განაწილება და მკვეთრი გამიჯვნა; 4. იმ მონაწილეთა პროფესიონალიზმი, რომელთაც დანაშაულებრივ სამყაროში მაღალი რეიტინგი აქვთ; 5. ცენტრალური დაქვემდებარება და იერარქიული სტრუქტურა (იგულისხმება თითოეული დანაშაულებრივი ჯგუფი და ყოველი სინდიკატი, ასევე, მათი ხელმძღვანელების საერთაშორისო კავშირები სხვა სინდიკატებთან და დანაშაულებრივ ჯგუფებთან); 6. მკაცრი დისციპლინა, რომელიც ჯგუფის მონაწილეებს ავალდებულებს დანაშაულებრივი ოპერაციის შესრულებას მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებისა და მითითებების შესაბამისად; 7. დანაშაულებრივი საქმიანობის სახელმწიფოებრივი სისხლისამართლებრივი დევნისგან ნეიტრალიზება ხელისუფლების სისტემატურად მოსყიდვის გზით.

ფორმების მიხედვით გამოყოფენ ისეთ ორგანიზებულ დანაშაულობას, როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური „თეთრსაყელოიანთა“ და საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაულო-

ბანი. „თეთრსაყელოიანთა“ დანაშაულობის წარმომადგენლები დანაშაულს სჩადიან მოტყუებისა (მათ შორის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) და მოსყიდვის გზით, ხოლო საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენი ჯგუფები იყენებენ მუქარას, შანტაჟს, ძალადობას, მოტაცების ფარულ ხერხებსა და სხვ. ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით არსებობს სუსტად ორგანიზებული ანუ პრიმიტიული და მაღალ დონეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები. მარტივ ჯგუფებში არ არის მკაცრი თანაქვემდებარეობა, მკაფიოდ გამოხატული ლიდერი, იგი მცირერიცხოვანია (3-4 ადამიანი) და ძირითადად, იყენებს დანაშაულთა ჩადენის ერთი და იმავე ხერხს. მარტივი ჯგუფების არსებობა დამახასიათებელია კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო ქონების დამტაცებელთათვის, საყოფაცხოვრებო სფეროში მოსაქმე თაღლითებისათვის, ბინის ქურდებისთვის და სხვ. ასეთი ჯგუფების ხვედრითი წილი ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებში ექსპერტების შეფასებით 20%-ია. ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს, ზემოხსენებული მარტივი ჯგუფებისაგან განსხვავებით ჰყავს ამკარად გამოხატული ლიდერი, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედებათა მიმართულებას, გეგმავს დანაშაულთა ჩადენას და ორგანიზებას უკეთებს მას. ასეთი ჯგუფები, როგორც წესი, შედგება 5-10 და მეტ ადამიანისაგან. მათი წევრები ჩვეულებრივ, ქურდობენ, იპარავენ ავტომობილებს, სხვადასხვა ძვირადღირებულ, მათ შორის, ანტიკვარულ ნივთებს, სჩადიან ეკონომიკური სახის თაღლითობას, გამოძალვას და სხვ.

მაღალი დონის ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებს მიეკუთვნება დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც ეწევიან თაღლითობას, ნარკობიზნესს, უკანონო მენარმეობასა და სხვ. გაერთიანების წევრთა რაოდენობა ხშირად აღემატება 10 ადამიანს, ზოგჯერ კი, შეიძლება რამდენიმე ასეული იყოს. ამ შემთხვევაში, დანაშაულებრივი გაერთიანებების ორგანიზებულობის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე მარტივად ორგანიზებული ჯგუფების, შესაბამისად, უფრო დიდია დასახელებული ჯგუფების მიერ საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის მოცულობა და მასშტაბები. აღნიშნული ჯგუფები ეწევიან რეკეტს, ასევე, ცდილობენ სხვადასხვა ჩრდილოვანი და კორუფციული გზების მეშვეობით დაამყარონ კონტაქტი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან და გაიადვილონ საქმიანობა.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად მსოფლიოს დიდი ძალისხმევისა ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულობას, სამწუხაროდ, მაინც მაღალია ამგვარი დანაშაულობის გავრცელების მასშტაბები. ამიტომ აუცილებელია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენონ კრიმინოლოგიის მეცნიერების მიღწევები და კოორდინირებული საქმიანობით უფრო ეფექტიანი გახადონ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2010 წ;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2010 წ;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2010 წ;
4. ი. გომიაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 1998 წ;
5. ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003 წ;
6. მ. ბაძალუა, ჯგუფური დანაშაულობა, თბილისი, 1998 წ.
7. თ. წერეთელი, გ. ტყემელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969 წ;
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ – რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3200-ს დადგენილებით;
9. „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი“ – რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3202-ს დადგენილებით.

Criminology and Main Aspects of Scientific Study of the Organized Crime

GURAM ROGAVA

*Associated Professor , Zugdidi Independent University vjtsse-colonel of Border Police,
Ministry of Internal Affairs*

The present paper reviews a brief history of developing the criminology as a science and discusses main aspects of scientific study of organized crimes. The paper covers the methods of the criminology which are used to study various crimes and among them organized crimes. The emphasis is made on the necessity of introducing the achievements of the criminology in the practice which will make the actions taken by the law enforcement bodies against combating and preventing organized crimes.

სუიციდური ტერორიზმი

ნინო ოსაძე

სამართლის მაგისტრი, ჰამბურგის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი,
თეუსუ-ს სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი ტერორიზმის გლობალური საშიშროება, რომლის არეალიც სამწუხაროდ, დღითი დღე ფართოვდება. იმავდროულად ყალიბდება ტერორიზმის ახალი სახეები, მათ შორისაა, უკვე განვითარებული, დანერგილი და ასევე, „პოპულარული“ მისი ერთ-ერთი ახალი სახე – სუიციდური ტერორიზმი.

ხშირად კამათის საგანია ზოგადად, ტერორიზმის შემადგენელი ელემენტები თუ სახეები. მათი სწორად განსაზღვრისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ რას მოიცავს ტერორიზმის ესა თუ ის სახე. კერძოდ, საზოგადოებაში ხშირად ისმის ტერმინი „თვითამფეთქებელი ტერორისტები“ (Suicide Bombings) და რატომღაც ავტომატურად ვგულისხმობთ ტერორისტებს, რომლებიც ნაღმის საშუალებით იფეთქებენ თავს. ასეთი განსაზღვრება ძალიან ვიწროა, რადგან გარდა ნაღმისა, მიზნის მისაღწევად ასევე, ხშირად იყენებენ სხვა სახის იარაღსაც, როგორცაა ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალება – თვითმფრინავი. ზემოაღნიშნულის შთამბეჭდავი მაგალითია, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში. ტერორიზმის ფენომენის განსაზღვრისას, გარდა აღნიშნულისა, ასევე უამრავი ტერმინი გვხვდება, როგორცაა: „გენოციდური დაბომბვა“ (Genocide Bombing), „მონამეობითი ტერორისტული ოპერაცია“ (Martyrdom Terrorism Operation) და სხვა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანის მიზანია ადამიანთა დაშინება, ფსიქოლოგიური ზეწოლა საზოგადოებაზე და სახელმწიფოში პოლიტიკური არეულობის გამონევა.

სუიციდური ტერორიზმის ფაქტები ჯერ კიდევ, მე-18–19 საუკუნეებში გვხვდება, განსაკუთრებით კი, მუსლიმანურ საზოგადოებაში, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთში (ატჯეჰი, სუმატრა) და სამხრეთ ფილიპინებში (მინდანაო, სულუ). ამ რეგიონებში მცხოვრები საზოგადოება განსაკუთრებულად იყო ანგაჟირებული „სუიციდური რიტუალებით“ (თითოეულ თვითმკვლელობას თან სდევდა რელიგიური რიტუალი), რომელიც გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება იყო, რათა ევროპელი კოლონისტებისთვის ეჩვენებინათ თავიანთი სიმამაცე და შეუპოვრობა.¹ ამ დრომდე მსოფლიოსთვის ნაკლებად იყო ცნობილი სუიციდური ტერორიზმი, თუმცა 1983 წლის აპრილში, ბეირუთში აშშ-ს საელჩოზე თავდასხმამ, რომელსაც მოჰყვა ტერორისტების 188 სუიციდური ოპერაცია შრი-ლანკაში, ავღანეთში, პაკისტანში, ისრაელში, ინდოეთსა და თურქეთში მსოფლიო სერიოზული საშიშროების წინაშე დააყენა.²

მაინც რა არის სუიციდ-ტერორისტის მოტივი? რამდენად საშიშია იგი და რამდენად გავრცობადია ეს ფენომენი? სუიციდის განმარტებელ ტერორისტს ყველასათვის კარგად ცნობილი ტერმინით „კამიკაძ“-ით მოიხსენიებენ. „კამიკაძები“ (იაპონურად ნიშნავს „ღვთიურ ქარს“) იყვნენ იაპონელი თვითმკვლელი მფრინავები, რომელთა მისია იყო რაც შეიძლება მეტი საბრძოლო გემი გაენადგურებინათ მეორე მსოფლიო ომის დროს, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. სუიციდური ტერორიზმის განხილვამდე უპრიანი იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ტერორიზმის მოტივი. ტერორიზმს ორი სახის მიზანი აქვს: მხარდაჭერთა მოზიდვა და მონინააღმდეგეების განადგურება. ტერორიზმს უამრავი სახე გააჩნია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია **დემონსტრაციული, დესტრუქციული და სუიციდური** ტერორიზმი. **დემონსტრაციული** ტერორიზმის მოტივია რაც შეიძლება მეტი აქტივისტის მოზიდვა და ყურადღების მიპყრობა, ამის ნათელი მაგალითია ე.წ. „ნარინჯისფერი მოხალისეები“ – ჩრდილოეთ ირლანდია, „ნაციონალურ-ლიბერალური არმია“ – კოლუმბია და „ნითელი ბრიგადა“ – იტალია. სწორედ ამ დაჯგუფებების მიერ განხორციელდა სხვადასხვა აფეთქება, თვითმფრინავების გატაცება თუ ადამიანთა მძევლად აყვანა, მათი ქმედება ემსახურება ერთ მიზანს: რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენება, რომელიც გამოიწვევს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. **დესტრუქციული** ტერორიზმი **დემონსტრაციულ** ტერორიზმთან შედარებით აგრესიულ ხასიათს ატარებს, ასეთი სახის ტერორისტების მიზანია რაც შეიძლება მეტი ოპონენტის განადგურება, რათა პატივისცემა დაიმსახურონ მუსლიმანურ საზოგადოებაში. მაგალითად, პალესტინელები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ებრაელი განადგურონ, რათა გამოიწვიონ ებრაული საზოგადოების პანიკა და დაიმსახურონ მუსულმანთა პატივისცემა.

ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ **სუიციდურ** ტერორიზმზე, რომელიც მაღალი საშიშროებისაა და აგრესიულ ხასიათს ატარებს. სუიციდური ტერორიზმის განმასხვავებელი ნიშანია საკუთარი სიცოცხლის ფასად მიზნის მიღწევა. ამ სახის ტერორისტებს ოპერაციის დროს გადარჩენის არანაირი იმედი არ აქვთ, მათი მისია სისრულეში იქნება მოყვანილი მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ. სუიციდის ჩამდენი ტერორისტის ქმედება ორი სახისაა: 1. ტერორისტი თვითონ იფეთქებს თავს; 2. ელოდება სხვისგან განადგურებას. სუიციდურ ტერორიზმზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ასეთი ქმედების ჩამდენი პირები ფსიქოლოგიურად სრულიად ჯანმრთელები არიან და არანაირი პათოლოგიით არ ხასიათდებიან.³ მაშინ ლოგიკურად იზადება კითხვა, თუ რატომ ილტვიან ასეთი ქმედების ჩასადენად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ჩაწვდეთ ტერორიზმის ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს. სუიციდ-ტერო-

რისტების მიერ „მონამობითი ტერორისტულ ოპერაციას“ (Martyrdom Terrorism Operation) გმირობის და რელიგიური თავდადების გარდა, თან სდევს საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოხდენისა და მათ მესხიერებაში აღბეჭდვის სურვილი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სუიციდური ტერორიზმის დროს, სხვა ტერორისტული აქტებისგან განსხვავებით, მისიის სისრულეში მოყვანა უფრო გარანტირებულია და „ეფექტიანია“. სუიციდ-ტერორისტები ე.წ. ჭკვიანი და ცოცხალი ნაღმები არიან, რომელთაც მექანიკური მართვა არ სჭირდებათ და მწყობრიდან არ გამოდიან.

სუიციდური ტერორიზმის ფენომენი შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

■ **ტერორისტული აქტის ამსრულებელის თავდადება.** სუიციდური ტერორიზმის განმახორციელებელი პირი ითვლება ე.წ. შაჰიდად, რომელიც მონანილეობს ჯიჰადში (სალვით ბრძოლა), რომელიც გულისხმობს თავდადებას მისიის სისრულეში მოყვანისათვის, ყოველივე ამის შემდეგ, იგი იქნება შერაცხული გმირად როგორც ოჯახისათვის, ასევე ტერორისტული დაჯგუფებისათვის. შაჰიდის ნოდებისათვის ირჩევენ მხოლოდ რჩეულებს, რომლებიც ვალდებულნი არიან გაუძლონ მკაცრ სწავლებას და რეჟიმს. საბოლოოდ, ისინი ე.წ. ფანატიკოსებად ყალიბდებიან, რომელთა აზროვნება და იდეოლოგია სრულიად განსხვავებული და ურყევეა.

■ **ტერორისტული აქტის სისრულეში მოყვანის გარანტია.** სხვა ტერორისტული აქტებისგან განსხვავებით, თუ ტერორისტი დატოვებს ნაღმს რომელიმე ადგილას, გამორიცხული არ არის, რომ იგი იქნას განაღმული და მოახდინონ მისი ადგილიდან ლიკვიდაცია, ხოლო სუიციდური ტერორიზმის დროს თვითონ ტერორისტი წარმოადგენს ნაღმს, რომლის ლიკვიდაციაც არცთუ ისე ადვილია.

■ **არანაირი ცოცხალი კვალის დატოვება.** სუიციდის განმახორციელებელი ტერორისტები მისიის შესრულებისას, რომ არ იქნან აყვანილნი ან უკან არ დაიხიონ – ტერორისტული ორგანიზაციები მიმართავენ სხვასხვა ხერხს, კერძოდ, პალესტინელთა ტერორისტული დაჯგუფებები ხშირად იყენებენ ტელეფონის აპარატში ჩამონტაჟებულ ნაღმს, რომელიც დარეკვისას ავტომატურად ფეთქდება.

■ **ფსიქოლოგიური ტრამვა.** როგორც წესი, „კამიკაძის“ აფეთქების დროს სხეული ნანევრდება და ბუნებრივია, ამ სურათის დანახვა გარშემომყოფებისათვის ძლიერი ფსიქოლოგიური ტრამვაა.

■ **სხვადასხვა სახის დაავადების გავრცელება.** თუ სუიციდის განმახორციელებელი ტერორისტი შიდსის ან სხვა მძიმე სახის დაავადების მატარებელია, მისი აფეთქების შემთხვევაში, ძვლის, სხეულის სხვა ნაწილებთან ან სისხლიან საგნებთან შემთხვევითი შეხება ავტომატურად იწვევს გარშემომყოფების დაავადებას და უფრო მეტიც, სუიციდის განმახორციელებელი ბევრი ტერორისტი გამიზნულად იყენებს თავის სანამლავეს (ანტიკოაგულანტი) ნაღმებზე ან ფრჩხილებს ქვეშ, რათა აფეთქების შემდეგ გამოიწვიოს მსხვერპლთა შორის შეუჩერებელი სისხლდენა.⁴

2005 წლის აგვისტოში, აშშ-ის კონგრესმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც 1980 წლიდან 2003 წლამდე მხოლოდ 3% იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული სუიციდური ტერორისტული აქტები, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში (2003-2007 წწ.) 300-მდე მეტი სუიციდური ტერორისტული აქტი დაფიქსირდა, რომელმაც ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა. სუიციდური ტერორისტული აქტების 70% რელიგიურ ხასიათს ატარებდა.⁵

| ქვეყანა | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | რელიგიური მოტივი | მსხვერპლი |
|-------------------|------|------|------|------|------------------|-----------|
| ავღანეთი | | 1 | 1 | 2 | 2 | 11 |
| ჩეჩნეთი/რუსეთი | 8 | 1 | 1 | 10 | 20 | 382 |
| ჩინეთი | | | 2 | | 0 | 5 |
| ინდონეზია | | | 1 | 1 | 2 | 215 |
| ერაყი | | 1 | 2 | 33 | 15 | 244 |
| ქაშმირი (ინდოეთი) | 17 | 29 | 18 | 11 | 75 | 409 |
| პაკისტანი | | | 2 | 2 | 4 | 84 |
| პალესტინა/ისრაელი | 3 | 40 | 64 | 22 | 78 | 555 |
| საუდის არაბეთი | | 1 | | 5 | 6 | 57 |
| შრი-ლანკა | 14 | 4 | | 1 | 0 | 205 |
| თურქეთი | | 1 | | 5 | 4 | 64 |
| აშშ | | 4 | | | 4 | 3002 |

სუიციდური ტერორიზმის დროს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „შავი ქვრივები“. მდებარეობითი სქესის მონაწილეობა სუიციდური ტერორისტული აქტის დროს უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ყურანიდან გამომდინარე, მუსულმანი ქალის ვალდებულებაა მეუღლეზე და შვილებზე ზრუნვა და დიასახლისობა, თუმცა სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებები, როგორცაა LTTE (შრი-ლანკის ტერორისტული დაჯგუფება) და PKK (ქურთთა ტერორისტული დაჯგუფება), მიესალმება მდებარეობითი სქესის აქტიურ მონაწილეობას სუიციდური ტერორისტული აქტის დროს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩეჩენ და პალესტინელთა ტერორისტული დაჯგუფებები არ აძლევენ ქალებს სრულ თავისუფალ სტატუსს, ანუ არ ხდება მათი განვრთნა და მომზადება ტერორისტული აქტების განსახორციელებლად, რადგან ისინი არ ცნობენ „სქესთა თანასწორობას“. მაგალითად, ჰამასის დაჯგუფება სასტიკად ეწინააღმდეგება და სრულიად არ არის დაინტერესებული ქალთა მონაწილეობაზე. ტერორისტი ქალებიდან ვაფა იდრისი პირველი პალესტინელი ტერორისტი ქალი იყო, რომელმაც 2002 წელს განახორციელა სუიციდური ტერორისტული აქტი. აქედან მოყოლებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დროს 20 სუიციდური ტერორისტული აქტიდან 6 მდებარეობითი სქესის მიერ იქნა განხორციელებული.⁶

ტერორისტული აქტის განსახორციელებლად, LTTE და PKK დაჯგუფებების მიერ მამაკაცების მსგავსად, „სპარტანული წესით“ ხდება ქალების განვრთნა, რაც გულისხმობს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებას. ფრანგი ფილოსოფოსის ბერნარდ-ჰენრი ლევის განცხადებით, ასეთი სახის წვრთნები ითვალისწინებს სხვადასხვა ასაფეთქებელი საშუალების დამალვას ქალების ვაგინაში, მიუხედავად საქალწულე აპკის ქონისა.⁷ ქალების მიერ სუიციდური ტერორისტული აქტის განხორციელებისას, ხშირად ყველაზე დიდ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური მოტივი, კერძოდ, შურისძიება მეუღლის, შვილის ან ძმის სიკვდილის გამო. სწორედ ამიტომ უმეტესი სუიციდური ტერორისტული აქტი ქვრივების მიერ არის განხორციელებული.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ტერორისტული დაჯგუფებების მიერ განხორციელებული სუიციდური ტერორისტული აქტი სხვადასხვა დატვირთვის მატარებელია. კერძოდ, ჩეჩნეთის და შრი-ლანკის დაჯგუფებათა ტერორისტული ქმედებები რელიგიური ხასიათსაა, მაშინ როდესაც პალესტინური დაჯგუფების მოტივი ტერიტორიის მისაკუთრებაა. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუიციდური ტერორიზმი არის დინამიური და განვითარებადი ფენომენი, რომელსაც თან სდევს კულტურული, სოციალური და რელიგიური მოტივი. სხვა ტერორიზმის სახეებთან შედარებით, სუიციდური ტერორიზმის დროს გამოირიცხულია ტერორისტის აყვანა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა ან პატიმრობა, მათ მიერ დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედება არ ითვალისწინებს მასზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რაც საბოლოოდ, ართულებს სუიციდური ტერორისტული აქტის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთას.

როგორც ვხედავთ სუიციდური ტერორიზმი გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს, რაც გულისხმობს, რომ უახლოეს მომავალში, შეიძლება საქართველოც დადგეს ამ პრობლემის წინაშე, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორია არ არის დაცული, კერძოდ, აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც ხელს უწყობს ზოგადად, ტერორიზმის, მათ შორის, სუიციდური ტერორიზმის გავრცელებას. საბედნიეროდ, დღესდღეისობით, საქართველოში არ ყოფილა სუიციდური ტერორიზმის არცერთი შემთხვევა, თუმცა, სამომავლოდ მაინც გასათვალისწინებელია პრევენციული ზომების მიღება.

პრევენციისათვის უპრიანი იქნება სუიციდური ტერორიზმის აღსაკვეთად ყურადღება დაეთმოს: 1. სუიციდური ტერაქტის გამომწვევი მიზეზების საფუძვლიან შესწავლას; 2. სუიციდურ-ტერორისტული დაჯგუფებების დამახასიათებელი ნიშნების გაანალიზებას, რომელიც გულისხმობს სოციალურ და პიროვნულ ფაქტორებს; 3. სუიციდურ-ტერორისტული დაჯგუფებათა სწავლების და მეთოდის ღრმა შესწავლას, რომელსაც იყენებენ ტერორისტული აქტის განსახორციელებლად; 4. სახელმწიფოს მხრიდან დროულ რეაგირებას და შესაბამისი ზომების მიღებას; 5. საზოგადოებამ მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს მუსულმანური რელიგიის განხილვის დროს, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივი მუსულმანი აღქმულია როგორც ტერორისტად, რაც იწვევს ტერორისტული დაჯგუფებების უფრო მეტ გალიზიანებას, აგრესიას და შურისძიებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ნანყვეტი ჟურნალ "Time"-თვის ტერორისტის მიერ მიცემული ინტერვიუდან. <http://www.time.com/time/magazine/article/0,9171,1077288-6,00.html> \l "ixzz0 mom1s CaN;
2. Stephen F. Dale "Religious Suicide in Islamic Asia: Anticolonial terrorism in India, Indonesia and the Philippines", Journal of Conflict Resolution Vol. 32, No. 1 (March 1988);
3. Robert A. Pape "The Strategic Logic of Suicide Terrorism ", journal of American political Science review Vol. 97, No. 3 (August 2003);
4. Ehud Sprinzak, " Rational Fanatics" Foreign Policy, September/October 2000;
5. "Training Key " journal published by the International Association of Chiefs of Police, 515 N. Washington, 2005;
6. Terrorists and Suicide Attacks (Congressional Research Service Rep. to Congress, Washington, DC, 28 August 2005)
7. <http://www.ict.org.il/articles/articledet.cfm?articleid=470>
8. Bernard-Henri Levy "Reflections on War, Evil and the End of History (France: Grasset and Fasquelle, 2001).

შენიშვნები:

- ¹ Stephen F. Dale "Religious Suicide in Islamic Asia: Anticolonial terrorism in India, Indonesia and the Philippines", Journal of Conflict Resolution Vol. 32, No. 1 (March 1988).
- ² Robert A. Pape "The Strategic Logic of Suicide Terrorism ", journal of American political Science review Vol. 97, No. 3 (August 2003).
- ³ Ehud Sprinzak, " Rational Fanatics" Foreign Policy, September/October 2000.
- ⁴ "Training Key " journal published by the International Association of Chiefs of Police, 515 N. Washington, 2005.
- ⁵ Terrorists and Suicide Attacks (Congressional Research Service Rep. to Congress, Washington, DC, 28 August 2005).
- ⁶ <http://www.ict.org.il/articles/articledet.cfm?articleid=470>
- ⁷ Bernard-Henri Levy "Reflections on War, Evil and the End of History (France: Grasset and Fasquelle, 2001).



Terrorism – Suicidal Terrorism

NINO OSADZE

*Master of Law Undergraduate at the Hamburg University Phd candidate, Law Faculty,
Tbilisi State University of Economic Relations*

The phenomenon of terrorism is a very topical and problematic issue nowadays. Its scope is on increase on a daily basis and new types of terrorism emerge, out of which I will emphasis on the suicidal terrorism.

Superficially the suicidal terrorism is an easy problem to apprehend, though its composition as a crime, motif, etc consist of many elements which require a diligent observation and examination which not so easy, especially if we take into consideration that actually there is no chance of investigation after the suicide of the person who committed a crime. The paper emphasizes on the forms of carrying out the suicidal terrorism, namely it is mentioned that the suicidal bomb blast is not the only form of carrying out the suicidal terrorism. The motif of terrorists, as to what leads them to take such an action, as well as physiological factors which are always in play in case of the suicide committed by a terrorist. The paper also mentions the possibility to use the suicidal terrorism as an organizational as well as an individual tool.

The present paper is an attempt to expose the community to a broad picture of the suicidal terrorism, its essence and threat it poses. Even though such a criminal act has never been performed in Georgia, it would be desirable if preventive measures (covered in the paper) are taken in advance in order to avoid such grievous results which are always follow the performance of suicidal terrorism.

თანამონაწილეობის გუნების ამცხსორული გაგებისთვის*

გიორგი ბარამიძე

სამართლის დოქტორი

- * ჟურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“ (№1(24), 2010 წელი) სამართლის დოქტორის გიორგი ბარამიძის სტატია ტექნიკური მიზეზის გამო, დაიბეჭდა შენიშვნების გარეშე. გთავაზობთ აღნიშნულ შენიშვნებს.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: А.И. Жиряев, О стечении нескольких преступников при одном и том же преступлении, Дерпт, 1850, с. 39; Н.С. Таганцев, Русское уголовное право (лекции), часть общая, т. I, С-Петербург, 1902, с. 758-759; М.И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть I, Свердловск, 1960, с. 98-102; მისივე, К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве, „Правоведение“, 1959, №4; მისივე, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 138-149; В.А. Владимиров, Рецензия на книгу М.И. Ковалева „Соучастие в преступлении“, часть I, Свердловск, 1960, Советское государство и право, 1961, №5; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., „მეცნიერება“, 1965, გვ. 71-84; თ. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., „მეცნიერება“, 1974, გვ. 3-23; მისივე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 179; И. Жордания, Понятие, классификация и правовое значение способов совершения преступлений, Авт. дис... кан. юр. наук, Тбилиси, 1971, с. 13; თ. ებრაელიძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის, დის. იურ. მეცნ. კ. სამ. ხარ. მოს., თბ., 1995, გვ. 61-62; ნ. გვენეტაძე, დანაშაულის ორგანიზატორი, დის... იურ. მეცნ. კ. სამ. ხარ. მოს., თბ., 1994, გვ. 88-93; С.В. Афиногенов, Соучастие в преступлении (понятие, виды и формы) Авт. дис. кан. юр. н. М., 1991, с.16-17; ნ. სარია, თანამონაწილეობა და შეცდომის პრობლემა სისხლის სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, 1997, №7-8, გვ. 48-54; ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი (დანაშაული), თბ., „ქრონოგრაფი“, 1997, გვ. 354-358; მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 2000, გვ. 87-90; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედაქტორები გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, თსუ, 2004, გვ.193-195; ა. მახარაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის, თბ., „უნივერსალი“, 2006, გვ. 6-28.
- ² И.Я. Фойницкий, Уголовно-правовая доктрина о соучастии, ЮВ, Т.7, 1891, с. 8; Н.С. Тимошев, Юридическая природа уголовной ответственности соучастников, Петербург, 1915, с. 120; Г.И. Волков, Классовая природа преступления и советское уголовное право, ОГИЗ, М., 1935, с. 114; А.И. Траинин, Учение о соучастии, М., Юристанд, 1941, с. 124-125; М.А. Шнейдер, Соучастие

в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 66; П.И. Гришаев, Г.А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, с. 172-174; Ван ци, Виды соучастников по советскому уголовному праву, Дис. кан. юр. н., Л., 1959, с. 138-140; М.Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Л., 1955, с. 135-136; misive, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1, с. 87; В.С. Прохоров, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, Дис. кан. юр. н., Л., 1962, с. 105-108; misive, Вопросы теории соучастия в советском уголовно-правовой литературе, „Правоведение“, 1962, №2, с. 126-127; У.Л. Кобиашвили, к вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, „Правоведение“, 1963, №3; მისივე, თანამონაწილეობის აქტუ-სორული თეორიის შესახებ, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №3, 1968, გვ. 24-34; Ф.Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 71-72; misive, Соучастие: Социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, 1986, с. 156-160; А.В. Ушаков, Основание и предела ответственности соучастников в преступлениях по советскому уголовному праву, Дис. кан. юр. н., М., 1970, с. 114-128; А.Н. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, №1, с. 104; П.Ф. Тельнов, Ответственности за соучастие в преступлении, М., 1978, с. 52-53; Г.М. Джекебаев, Л.М. Вайберг, Р.Н. Суданова, Соучастие в преступлении, Алма-Ата, Наука, 1981, с. 120-123; Л.Д. Гаухман, Соучастие в преступлении по советскому законодательству, М., Академия МВД СССР, 1990, с. 41 и др.

- ³ უ. კობიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.
- ⁴ თ. ნერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74-75.
- ⁵ მ. შნიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66.
- ⁶ პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 173.
- ⁷ ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126-127.
- ⁸ პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53; გ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41.
- ⁹ მ. შნიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76; Ф.Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 212.
- ¹⁰ თ. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 9.
- ¹¹ ა. ტრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124; მ. შარგოროდსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 87; მ. შნიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66; პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 172 და სხვა.
- ¹² თ. ნერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74.
- ¹³ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი I, გვ. 98-99.
- ¹⁴ პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17; მ. შარგოროდსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89; უ. კობიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27; В.А. Григорьев, Соучастие в преступлении по уголовному праву Российской Федерации, УФА, УВШ, 1995, с. 48; პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.
- ¹⁵ თ. ნერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66-67.
- ¹⁶ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 148.
- ¹⁷ უ. კობიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28-29.
- ¹⁸ ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.
- ¹⁹ პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 172.
- ²⁰ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143-144; აგრეთვე, თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149-150.
- ²¹ თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-13.
- ²² М.Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Л., 1955, с. 135-136; მისივე, აგრეთვე, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, №1, с. 87.
- ²³ უ. კობიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.
- ²⁴ თ. ნერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76-77, 83; თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19-20; ა. მახარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 249-250.
- ²⁵ თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 174.
- ²⁶ ი. ფოინიცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.
- ²⁷ თ. ნერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 197; აგრეთვე, თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 113.

